

ბილწანდ თოჭრინძედილი

ქსრთული ეთნოლოგიის  
სწოთაფეეებოთან



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

## როლანდ თოფჩიშვილი

# ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2018

# **Roland Topchishvili**

## **The Origins of Georgian Ethnology**

წინამდებარე წიგნი ერთგვარი ცდაა თვალი გავადევნოთ ქართული ეთნოლოგიის სათავეებს და ამ სათავეებთან მდგომი მოღვაწეების – ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ივანე ჯავახიშვილის – შემოქმედებას. წიგნის ერთი მონაკვეთი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ეხება, რომელმაც პირველი სამეცნიერო ეთნოლოგიური უჯრედები შექმნა საქართველოში, ბოლო ნაწილი კი – ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ისეთ შესანიშნავ წარმომადგენლებს, როგორებიც ალექსი რობაქიძე და მიხეილ გეგეშიძე იყვნენ. წიგნი დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოადგებათ ეთნოლოგიის მძარბოვლების სტუდენტებს.

### **რედაქტორები**

სალომე ბახია-ოქრუაშვილი

თეიმურაზ გვიმრაძე

### **რეცენზენტები**

ნათია ჯალაბაძე

ლავრენტი ჯანიაშვილი

© რ. ოფჩიშვილი, 2018

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2018

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

ISBN 978-9941-26-176-3

**წიგნი ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს**



**გიორგი ჩიტაია მოწაფეებთან ერთად**

## ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ქართული განათლების, მეცნიერების და სულიერების ბურჯი

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წელი გავიდა. ქართველი ერის ისტორიაში ესაა დიდი საიუბილეო თარიღი. უნივერსიტეტის საფუძველჩამყრელები დიდი ქართველი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ, რომელთა სათავეში *ივანე ჯავახიშვილი* იდგა. ეს იყო და არის ერთადერთი უნივერსიტეტი საქართველოში, რომელშიც ეროვნული სული ტრიალებდა, სადაც იბადებოდა ეროვნული იდეები და ფიქრობდნენ საქართველოს მომავალზე. რომ არ ყოფილიყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არც დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებლობა შედგებოდა. წინამდებარე სტრიქონების ავტორიც ამ უნივერსიტეტის აღზრდილია – ზუსტად 50 წლის წინ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი მასშტაბის იუბილე აღინიშნა, ის პირველი კურსის სტუდენტი იყო და დღესაც გულმოდგინედ ინახავს საიუბილეო სამკერდე ნიშანს, რომელსაც მამინ უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორი თუ სტუდენტი, კარისკაცი თუ დამლაგებელი სიამაყით ატარებდა. ამ უნივერსიტეტში მოხდა ქართული მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების წარმოქმნა და ჩამოყალიბება, აღიზარდა თაობები. აქვე ჩაეყარა საფუძველი ქართულ მეცნიერულ ეთნოლოგიასაც, რომელსაც *გიორგი ჩიტაია* ხელმძღვანელობდა. მის მიერ შექმნილი ეთნოლოგიის კათედრა რიგით მეორე იყო საბჭოთა კავშირში. წინამდებარე მოკრძალებული წიგნის ავტორიც ამ დიდი მეცნიერის ერთ-ერთი ბოლო მოწაფე გახლდათ. გარდა გიორგი ჩიტაიასი უნივერსიტეტში მისი სტუდენტობის დროს მოღვაწეობდნენ სხვა დიდი მეცნიერებიც, რომელთა საჯარო ლექციებიც დიდ სააქტო დარბაზში მოუსმენია (აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ახვლედიანი...). არავისთვის საკამათო არაა, რომ უნივერსიტე-

ტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი მოვლენა იყო ქართული მეცნიერებისა და განათლების სფეროში. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებაშიც. წინამდებარე მოკრძალებულ წიგნშიც, რომელიც ქართული ეთნოლოგიის სათავეში მდგომთა შემოქმედებას ეძღვნება, განსაკუთრებითაა საუბარი ივანე ჯავახიშვილის წვლილზე ეთნოლოგიის, მეტადრე ისტორიული ეთნოლოგიის, განვითარებაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულ განათლებასა და მეცნიერებაში ერთგვარი კრიზისია, მათ შორის არც ეთნოლოგიას ულხინს. ამ სფეროში მოღვაწენი, დიდი თუ პატარა ყველა ცდილობს კრიზისიდან გამოსვლას, რაც იმედია წარმატებით დაგვირგვინდება. არ ულხინდათ თავის დროზე ქართული მეცნიერების სათავეებში მდგომ მოღვაწეებს, მაგრამ დიდი საქმენი აკეთეს. ასეთ აუცილებელ სამეცნიერო დარგად მიაჩნდათ ეთნოლოგიაც, რომლის ძირითადი ფუნქციაც ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი დიდი კულტურის გამოძეურება და შესწავლა იყო; და არა მხოლოდ ეს... ხალხური კულტურის შემსწავლელი მეცნიერება აუცილებლად თანამედროვეობის შესწავლის სამსახურშიც უნდა ყოფილიყო ჩამდგარი. ამას კი კარგად დავინახავთ, თუ წიგნში წარმოდგენილ იმ მონკვეთებში ჩავიხედავთ, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის დამსახურებას ეძღვნება, რაც ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების წინაშე გასწიეს. დიახ, ეს ორი მოღვაწეც ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან იდგა – მათ ქართველი ხალხის მომავალი სხვა მხრივ ვერ წარმოედგინათ.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, ალბათ, მკითხველისათვის მოულოდნელი არ უნდა იყოს, რომ წინამდებარე წიგნი – „ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან“ – ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო – 100 წლისთავს – ეძღვნება.

## შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთნოლოგია *ხალხური კულტურის* შემსწავლელი მეცნიერებაა. ხალხურ კულტურას სხვანაირად *გლეხურ კულტურასაც* უწოდებენ; ხშირად გამოიყენებენ ტერმინს „ეთნიკურ კულტურასაც“. ყველა ხალხმ/ეთნოსმა მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური კულტურა შექმნა. ასე რომ, ეთნიკურობის განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ხალხური/გლეხური/ეთნიკური კულტურაა. კულტურის ამ ფენომენმა ინდუსტრიალიზაციის განვითარებასთან ერთად თანდათან გაქრობა დაიწყო, სწრაფი ტემპით ხდებოდა მისი ნიველირება, მკვიდრდებოდა კულტურის საერთო ელემენტები, რაც ევროპეიზაციის სახელითაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, ეთნიკურობის/ეთნიკური ცნობიერების ეს არსებითი ნიშანი დღესაც ერთ-ერთი განმსაზღვრელია. ყველა ხალხი ცდილობს თავის მიერ შექმნილი ხალხური კულტურის მთელი რიგი ელემენტების შენარჩუნებას. საამისოდ ფოლკლორული ანსამბლების მიერ ეროვნული სამოსის გამოყენება შეიძლება გავიხსენოთ, აგრეთვე კვებითი კულტურის მდგრადობა.

ქართული ეთნოგრაფიული რეალიები დაცული გვაქვს ჯერ კიდევ V საუკუნეში შექმნილ ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ სალიტერატურო ძეგლში „შუშანიკის წამებაში“. ეთნოლოგიური მონაცემების სიუხვით გამოირჩევა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომლის ავტორიც *ვახუშტი ბაგრატიონი* გახლავთ. ვახუშტი პირველი იყო, რომელმაც დაახასიათა საქართველოს ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებები, ტიპი, ჩაცმულობა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, გადასაყვანი და გადასაზიდი საშუალებანი, საქორწინო ურთიერთობანი, სისხლ-მეისისხლეობა, რელიგიურ-კონფესიური ვითარება, ოჯახი და გვარი, მეურნეობის ფორმები. ვახუშტივე შეეხო საქართველოში უცხო ეთნიკურ ერთეულთა საქართველოში მიგრაციის ფაქტებს, მა-

გალითად, ოსებისას, და ამ მიგრაციის განმაპირობებელი ფაქტებიც მიუთითა. ბატონიშვილს არც ფეოდალური გვარების წარმომავლობის საკითხები დარჩენია ყურადღების მიღმა. შუბლებელია გვერდი ავუაროთ ამავე საუკუნის ბოლოს დაწერილ იოანე ბაგრატიონის „კალმასობას“.

XIX საუკუნეში ხალხური კულტურის შესწავლას დიდი გასაქანი მიეცა და, ბუნებრივია, ამ მოვლენების მიღმა არც საქართველო დარჩა. განათლებულმა ქართველებმა დაიწყეს ქართული ეთნიკური კულტურის ფაქტების შეგროვება და გამოქვეყნება. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ამ პროცესმა დიდი ილია ჭავჭავაძის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ მიიღო. მას კარგად ესმოდა, რომ წარსულში ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ყველა ტრადიცია სასწარაფოდ დასაფიქსირებელი იყო. ამიტომაც იყო, რომ მთელმა რიგმა კალმოსნებმა, რომლებსაც ილიას დავალება ჰქონდათ მიცემული, დაკისრებულ მოვალეობას ბრწყინვალედ გაართვეს თავი.

დიახ, ილიას მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეთნოლოგიას. ის შესანიშნავად იცნობდა ქართულ სოფელს, გლეხურ კულტურას, მას აღნიშნული პრობლემის შესახებ აქვს ისეთი დაკვირვებები, გამოთქმული გარკვეული მოსაზრებები, რომელსაც აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ილიას მთავარი მიზანი ქართველი ერის კონსოლიდაცია იყო. იგივე შეიძლება ითქვას, იაკობ გოგებაშვილის შესახებ. ამ ორი დიდი მოღვაწის საქმე კი დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გააგრძელა, ხოლო ეთნოლოგიის როგორც მეცნიერების საბოლოო ფორმირება საქართველოში გიორგი ჩიჭაიას სახელთანაა დაკავშირებული. გიორგი ჩიჭაიამდე ეთნოლოგიური ნაშრომების ციკლი შექმნა თედო სახოკიამ. მაგრამ გიორგი ჩიჭაია პირველი იყო, რომელმაც მოწაფეები შემოიკრიბა და ეთნოლოგიური კვლევის ცენტრები შექმნა. წინამდებარე წიგნი მხოლოდ ერთგვარი ცდაა თვალი გავადევნოთ ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან მდგომ მოღვაწეებს.



## ილია ჭავჭავაძე და ეთნოლოგია

XIX საუკუნეში ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის წინაშე დადგა. სწორედ ამ დროს ქვეყანას მოევლინა ილია ჭავჭავაძე. მინავლებული ეროვნული ცნობიერების აღსადგენად საჭირო იყო ბრძოლა და ამ ბრძოლას, ოღონდ კალმით, სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძე. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის მოქმედების არეალი მხოლოდ მწერლობა არ იყო. ის თავისი პუბლიცისტური წერილებით ერის კონსოლიდაციის, ქართული ეთნიკური ცნობიერების აღდგენისა და განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხის ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების გამომზეურება-შესწავლას.

1887 წელს ილია ჭავჭავაძე აქვეყნებს საპროგრამო წერილს „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“. წინასწარ უნდა ითქვას, რომ ამ წერილით ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ეთნოგრაფიული/ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებას, რითაც მოუწოდებდა თანამემამულეებს შეეკრიბათ ხალხში შემორჩენილი საუნჯე. ასეთი მონაცემები კი მწერლის აზრით, დიდ გავლენას მოახდენს „ხალხის გონებისა და ცნობიერების განვითარებაზედ, ეროვნულ წარმატებაზედ“<sup>1</sup>. ილია შეაგონებს თანამემამულეებს, რომ კარგია ხალხური პოეტური ნაწარმოებების შეკრება და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდვა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ „სხვა საგნები-კი ხალხის ნაწარმოებებისა“, რომელიც „სრულიად დავიწყებული გვაქვს“. პირველ რიგში ის ხალხის ეკონომიკური და იურდიული ურთიერთობების ამსახველი მონაცემების შეკრებას გულისხმობდა: „ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ყველა შეგნებული ქართველისათვის იცოდეს – რავარ და რომელ ჩვეულებებს მისდევს მდაბიო ხალხი თავის

---

<sup>1</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, თბ., 1987, გვ. 162.

ეკონომიკურ და იურდიულ ურთიერთობების შესახებ. ეს სფერო ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურობის დამოკიდებულებაზედ და სხვა“<sup>2</sup>. ილიას სიტყვების ინტერპრეტირებას სჯობს ისევ ამონარიდი მოვიყვანოთ: „სადაც ძღაბით ხალხის ცხოვრების შესწავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯეა დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ ძღაბით ხალხის ყოველგვარ ჩვეულებას, ცხოვრებას ჯეროვანს ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერსა სტოვებენ“<sup>3</sup>. დიას, ილიამ იცოდა, რომ ხალხის მიერ შექმნილ ტრადიციებს, ეთნიკურ კულტურას მოწინავე ხალხები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რადგან ამგვარ შეკრებასა და კვლევას „მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი, მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმის წადილი, საჭიროება: სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ – რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“<sup>4</sup>. ილია მოუწოდებდა „ნასწავლ საზოგადოებას“ პროგრამა შეედგინა ხალხის ზნე-ჩვეულებათა შეკრებისა და შესწავლისათვის.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ საისტორიო წყაროებში დადასტურებული მთელი რიგი მოვლენების აღდგენა ეთნოგრაფიული ფაქტების საშუალებით უნდა მომხდარიყო, განსაკუთრებით კი ხალხში შემონახული იმ ტრადიციების საშუალებით, რომელიც სამეურნეო-ეკონომიკურ, სოციალურ და სარწმუნოებრივ საკითხებს ეხებოდა („ხალხის ცხო-

---

<sup>2</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 163.

<sup>3</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 163.

<sup>4</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 163.

ვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებით ნაწარმოები უნდა შეეკრიბოთ“). ამის შესახებ ვიორჯი ჩიტაიაც აღნიშნავდა: „ილია ჭავჭავაძე აღიარებდა, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალის გაუთვალისწინებლად საქართველოს ისტორია ვერ დაიწერებოდა, ის ამ მასალის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ მეფეების ისტორია იქნებოდა. ამიტომ ის მოითხოვდა ეთნოგრაფიული მასალების შეგროვებას. საგულისხმოა, რომ თვით ილია „მეზავრის წერილებიდან“ დაწყებული, ეთნოგრაფიულ მასალას გულმოდგინედ აგროვებდა... ამით აიხსნება, რომ ილია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას და ამიტომ იყო, რომ მან შექმნა შესანიშნავი კადრი ეთნოგრაფიული მასალის შემგროვებლებისა, რომელთა მიერ შეკრებილ მასალებს სისტემატურად ივერიაში ჰბეჭდავდა“<sup>5</sup>.

მაღევე ილია ჭავჭავაძემ თავად გამოძებნა ის განათლებული ადამიანები, რომლებსაც დაავალა საქართველოს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში ეთნოგრაფიული მასალების შეკრება. ესენი იყვნენ: ვაჟა-ფშაველა, (წერდა შესანიშნავ წერილებს ფშავისა და ხევსურეთის შესახებ), ნიკო ხიზანიშვილი (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებ), ალექსანდრე ყაზბეგი (მონევეების ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ ნარკვევებს), ნიკოლოზ აბაზაძე (შემოგვინახა ეთნოგრაფიული რეალიები ქართლის შესახებ). საინგილოს შესახებ მასალებს კრებდნენ დიმიტრი და მოსე ჯანაშვილები, კახეთში – ზაქარია გულისაშვილი, სამცხე-ჯავახეთში – ივანე გვარამაძე, აფხაზეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში – თედო სახოკია, ნიკო ჯანაშია, სვანეთში – ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი).

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში ეთნოლოგიური კვლევის ორგანიზატორი გახლდათ. ფაქტობრივად ცოტა მოგვიანებით საპროგრამო დო-

---

<sup>5</sup>გ. ჩიტაია. წინასიტყვაობა ნიკო ხიზანიშვილის წიგნზე „ეთნოგრაფიული ნაწერები“, თბ., 1940, გვ. X.

კუმენტში მოცემული მითითებების რეალიზება მოუხდა ივანე ჯავახიშვილს, რომელიც საქართველოს ისტორიის გაბმული თხრობისას ხშირად იყენებდა ხალხში გაბნეულ მარგალიტებს (წეს-ჩვეულებებს). მანვე ილიას ანდერძის სრული რეალიზება მოახდინა, როდესაც 1930-იან წლებში მთელ საქართველოში პროგრამითა და კითხვარით შეიარაღებული ახალგაზრდა მკვლევარები დააგზავნა, რითაც ქვეყანას გადაურჩინეს სამეურნეო ყოფის, შინამრეწველობის და ეკონომიკის ამსახველი და გაქრობის პირას მისული უნიკალური ტრადიციები.

ეთნოლოგიის სფეროში ილიას ცოდნა იმდროინდელ მეცნიერულ ცოდნას ემყარებოდა (*მორგანი, ტეილორი, სპენსერი, ლებოკი...*), კარგად ფლობდა მაშინდელ ეთნოლოგიაში დამკვიდრებულ ევოლუციონიზმის პრინციპებს და ისტორიულ-შედარებით მეთოდს. შემთხვევითი არ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებული ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპერატორო საზოგადოების ნამდვილი წევრი გახლდათ. ბუნებრივია, ილია ჭავჭავაძეს ეთნოლოგიური მეცნიერების ცოდნა პეტერბურგში სწავლის პერიოდში ჰქონდა მიღებული და იქ ჰქონდა მას შესწავლილი ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი. ამ მეთოდს კი ის ხშირად იყენებდა თავის პუბლიცისტურ თუ საპოლემიკო წერილებში. ქართული ეთნოგრაფიული მონაცემების განხილვისას მოიხმობდა მონაცემებს სხვა ხალხთა ეთნოგრაფიული ყოფიდან. უდავოდ ტეილორის გავლენის შედეგი იყო, როდესაც ილია ამა თუ იმ მოვლენის კომპლექსურ შესწავლას მოითხოვდა: „რამდენადაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურ ნაშთსა და კვალს, იმდენად ძლიერ ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სადღეე შედეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ ამჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოად-

გენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი – სულ უდიდესს – პროგრესსა“<sup>6</sup>. ამკარაა, რომ ქართველ მოღვაწეს ზედმიწევნით კარგად ჰქონდა შესწავლილი ევოლუციონიზმის პრინციპები.

ილიასათვის უმთავარესი ეროვნული ცნობიერების აღორძინება იყო, ამიტომაც ის ერის ცნების საკითხს დასტრიალებდა. ამ მიზნით თარგმნა და „ივერიაში“ გამოაქვეყნა ფრანგი მეცნიერის *ერნესტ რენანის* ნაშრომი – „რა არის ერი“. ერის ცნებასთანაა დაკავშირებული მისი ცნობილი ფრაზა – „მამული, ენა, სარწმუნოება“ – რაც იმდროინდელ მეცნიერებაში ერის ნიშნების – ტერიტორია, ენა, კულტურა – პერიფრაზირება იყო. რა თქმა უნდა, ერს ქმნის საერთო ტერიტორია (მამული), ენა (სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა) და კულტურა (რომელიც საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ნიადაგზე იყო შექმნილი). ქრისტიანობასთან რომ იყო დაკავშირებული ქართველი ერის განმტკიცება, ამის შესახებ ილია გარკვევით და სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა და ხალხის ბრძოლაც მის დასაცავად მეტწილად ამით იყო განპირობებული: „*ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთიანებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდან სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ერი ამისთვის უფრო ხელდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დულაბობას უწევდა ერთობას*“<sup>7</sup>. ილია სრულიად მართალი იყო, რადგან ის ქართულ წყაროებს სათანადოდ ფლობდა და მის ანალიზსაც შესანიშნავად ახდენდა. ილიამ კარგად იცის, რომ შუა საუკუნეებში, და უფრო ადრეც, ხალხის კუ-

<sup>6</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 57.

<sup>7</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 56.

ლტურა რელიგიას ეფუძნებოდა. საამისოდ მას ძველი ბერძნების მაგალითი მოჰყავდა: „განა ძველმა სარწმუნოებამ ძველის ბერძნებისას არ შეჰქმნა იგი მათი ხელოვნება, რომელიც დღესაც ქვეყანას აკვირვებს და სახელს ბერძნისას ჰფენს მთელს ქვეყნიერებაზე!“<sup>8</sup>.

მაგრამ, როცა საკითხი დადგა მუსლიმი ქართველების ეთნიკური ცნობიერების შესახებ, მათი ქართულ ეთნიკურ სამყაროში დაბრუნების შესახებ, მისთვის სარწმუნოება უკვე აღარ იყო მთავარი. ერთ-ერთ წერილში ილია ერის უმთავარეს ნიშნად კი უკვე ისტორიის მახსოვრობას ასახელებს: „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულღვმულობს... არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შემსჭვალავს ხოლმე ადამიანთ ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი ერთი ღვაწლისა დამდები, ერთსა და იმავე ჭირსა და ღხინში გამოტარებული ერთსულოვნებით, ერთგულებით ძლიერია“. „ბევრი მეტი აღარ არის იგი ერი, რომელსაც ისტორია ჰქონია და იგი მკვიდრად დაუვიწყნია“; „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულღვმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეთ არის, საცა ერი ერობს“<sup>9</sup>. დიახ, ილია თანამედროვე მეცნიერების დონეზე იდგა. ზემოთ ერნესტ რენანის ნაშრომი – „რა არის ერი“ – ვახსენეთ. ილიასათვის ფრანგი მეცნიერის დებულებები ქართველი ერის დადგინებისათვის მყარი არგუმენტი იყო. მართალია, ენა, წარმომავლობა და საერთო რელიგია ერის ნიშნებია, მაგრამ მთავარი მაინც საერთო ისტორიაა. დიახ, ქართველ ერს საერთო სალიტერატურო, სალვთისმეტყველო და სახელმწიფო ენა ჰქონდა და აქვს, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ქართველთა ზოგიერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფს (მეგრელები, სვანები) სალიტერატურო ენისაგან ერთგვარად დაშორებული მეტყველება გააჩნია. აგრეთვე ქართველთა მნიშვნელოვანმა ნა-

<sup>8</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 57.

<sup>9</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, 1986, გვ. 167, 168.

წილმა გვიან შუა საუკუნეებში სხვა რელიგია-კონფესიები მიიღო. მაგრამ ილია ჭავჭავაძე მეცნიერულ არგუმენტებს ეყრდნობა – მთავარია ერს შენარჩუნებული ჰქონდეს ისტორიის მახსოვრობა; მეგრელებსა და სვანებსაც, ქართველ მაჰადიანთა, ქართველ გრიგორიანელთა, ქართველ კათოლიკეთა წინაპრებს საერთო ისტორია, ამ ისტორიაში საერთო კულტურა ჰქონდათ შექმნილი. სხვათა შორის, *ერნესტ რენანი* როდესაც ერის განმარტებას აყალიბებდა და ისტორიულ მენსიერებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, პირველ ყოვლისა, ფრანგულ სინამდვილეს უწევდა ანგარიშს: საფრანგეთის სახელმწიფოშიც ფრანგულენოვან მოსახლეობასთან ერთად ხომ არაფრანგულენოვანი მოსახლეობაც (პროვანსალები, ბრეტონელები, კორსიკელები...) ცხოვრობდნენ, რომლებიც ფრანგებთან ერთად ქმნიდნენ საფრანგეთის ისტორიასა და ერთიან ფრანგულ კულტურას.

ილია ჭავჭავაძეს სრულყოფილი ცოდნა ჰქონდა იმდროინდელ ეთნოლოგიურ მეცნიერებაში პირველყოფილი რელიგიების, რწმენა-წარმოდგენების შესახებ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ის ქრისტიანობამდე ქართველთა „ღმერთების“ შესახებ საუბრობს. ბუნებრივია, ეს ცოდნა „ქართლის ცხოვრების“ გამოწველილი შესწავლით ჰქონდა ჩამოყალიბებული. ასახელებდა რა *არმაზს*, *ვაცსა* და *გაიძს* წერდა, რომ „*ჩვენის ღმერთების პანთეონში ბევრი სხვა ღმერთებიც მოიპოვებიან, მაგალითებრ „ბოჩი“: ... „ამას გარდა, ჯერ კიდევ მამასახლისობის დროს, ყოფილა კერპი „ზადენი“, „აინინა“, „დანინა“<sup>10</sup>. ქართველი მოღვაწე იქვე აღნიშნავდა, რომ ჩამოთვლილ ღვთაებათა ფუნქციები გაურკვეველია: „*არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა, – თვითოეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავებელნი არიან და რა აზრს, იდეას უწინდელის ქართველისას წარმოადგენდნენ*“<sup>11</sup>. იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ კერპთთაყვანისმცემლობა*

<sup>10</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 100-101.

<sup>11</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 101.

თავდაპირველი რელიგია არ იყო ქართველებისა, და, რომ უფრო ადრე, ისინი მნათობებს ეთაყვანებოდნენ: ქრისტეს შობამდე მეცხრე საუკუნიდან „მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპთმსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე. ჩვენ ლებოკი ვიმოწმეთ, რომ კერპთმსახურება ძალიან შორს გაცილებულია პირველდაწყებით სარწმუნოებისაგან და წარმოადგენს უფრო უმაღლესს ხარისხს რჯულის განვითარებისას და წარმატებისას, ვიდრე მნათობთა მსახურება და თაყვანისცემა“<sup>12</sup>.

ილია წუხდა იმის შესახებ, რომ ქართველობა სხვადასხვა რელიგია-კონფესიების გავრცელებამ გათიშა და რომ „შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ ძმები – ერთად სისხლის ძღვრელები, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულები და ერთად მოღვნიენი“. მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ „სარწმუნოების სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს, რადგან ქართველმა ... იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისი სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წავგაყვედრებენ“<sup>13</sup>. ასე რომ, ილია ჭავჭავაძეს ქართველთა ტოლერანტული და შემწყნარებლური ხასიათიც არ დარჩენია ყურადღების მიღმა.

ილია ჭავჭავაძისათვის, როდესაც ქართველთა შემწყნარებლობაზე საუბრობს, სამაგალითო დავით აღმაშენებელია. ამ შემთხვევაში მწერალი არა ქართულ, არამედ უცხოურ (სომხურ და არაბულ) წყაროებს ეყრდნობა: „დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ თავის დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი, თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარ-

---

<sup>12</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 104.

<sup>13</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 11.



წმუნობისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელად არა ჰზოგავდა, ამისთანა კაცთმოყვრული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან<sup>14</sup>. ილიას მოჰყავს სომეხი მემატანეების – მათე ედესელისა და ვარდან ღიღის სიტყვები დავით აღმაშენებლის შესახებ, მაგრამ აქ უპრიანია მის მიერ მოხმობილი მუსლიმი მწერლის ალ-აინის სიტყვებს მოვუხმოთ: „დავითს სთხოვეს მუსულმანებმა, რომ ქრისტანეთ არა ჰქონოდათ ნება მუსულმანებთან ერთად შესვლისა აბანოში და აღეკრძალნა ვიაურებისათვის მათი ავად ხსენება. დავითმა ყოველივე ეს თხოვნა აუსრულა. დავითი თავისი შვილის დიმიტრიითურთ ყოველ-ღლე დადიოდა უმთავარესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლედა ფულს ქატიბს და მუაძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულოუვას უნიშნავდა. ... დავითი უფრო მეტს პატივსა-სცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი“<sup>15</sup>.

ქვეყნის წინსვლისათვის ილიას აუცილებლად მიაჩნდა პროგრესული იდეების დანერგვა, თუმცა მოითხოვდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციებისათვის ანგარიშის გაწევას, მათ დაცვას, რადგან ქართველმა ხალხმა ისინი ბუნებრივ-გეოგრაფიული და ლანშაფტური ფაქტორების გათვალისწინებით, „გონებით“ შექმნა.

ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის გადარჩენის პრობლემა-საც შეეხო. ამ საკითხის გადასაწყვეტად კი მისთვის მთავარი იყო ეკონომიკიუო წყობის, მიწათმოქმედების, მიწათმფლობე-

---

<sup>14</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 154-155.

<sup>15</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 155-156.

ლობისა და მიწათსარგებლობის კვლევა (გუთინისა და ხმლის ერთობლიობა), რაშიც ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტებს გულისხმობდა. ამიტომაც მისი ხელდასხმით საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში დაგზავნილ სწავლულებს სწორედ აღნიშნული მოვლენის აღნუსხვა ევალებოდათ.

XIX საუკუნეში ქართულ საზოგადოებას ბრძოლა უხდებოდა რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა ერთიანი ქართული ეთნიკური ერთეულის დაშლა-დაქუცმაცებას, როდესაც ქართველთა ლოკალურ-ტერიტორიული ჯგუფის წარმომადგენლებს, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს არაქართველებად აცხადებდა. ილია, როგორც ყოველთვის, აქაც პირველი იყო. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა 1877 წელს დაწერილი მისი წერილი „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“. წერილში საუბარია იმაზე, რომ გორის საოსტატო სემინარიაში ორმოცდაათი მოსწავლე შესულა, რომელთა შორისაც ოცდაათობმეტი ქართველი იყო და დანარჩენი – სხვა. ქართველთა რაოდენობა კი ცამეტამდე დაუყვანიათ იმით, რომ ქართველთა ერთი ნაწილი არაქართველებად გამოუცხადებიათ: სემინარიის **„ღირექტორს მოუწვევია საშველად მეცნიერება, გამოუძებნია და დაუსკვნია, რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარტომობასაო; ამათ შორის რუსები არიანი ექვსნი, ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, პოლაკები ორნი, ინგილონი ორნი, გურუღნი ორნი, ფშავნი ორნი, აბხაზნი ორნი, უდინი ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. ამგვარად, ქართველი, გურუღი, იმერელი, ფშაველი – ქართველებად არ უცვნიან გორის სემინარიის მეცნიერებას. მაშ, უფ. ღირექტორის აზრით, რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვორონეჟელი, – რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვადასხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ... იმას ეს უფიქრია: „მართლა ქართველი, რომ ქართველად დარჩესო, ხომ მკითხავენ, ოც-და-თერთმეტი ქართველი მოწაფე გყავს და რა-**

*ტომ ქართულს არ ასწავლიო; თავი რად ავიტკივოო. ის არ სჯობია, ვსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არის!*<sup>16</sup>. ასე იბრძოდა, ილია ჭავჭავაძე ქართული ეთნიკური ერთობის ერთობისათვის, ერის კონსოლიდაციისათვის, იმ დროს, როდესაც იმპერიის ხელისუფლება მისი დეზინტეგრაციისათვის ძალებს არ ზოგავდა.

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, მწერალი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ისეთ საკითხებსაც კი ეხება, როგორიცაა წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენები, რომელიც მაგიის სფეროს განეკუთვნება. კონკრეტულად საუბარია ქართველთა მიერ მოჭრილი ფრჩხილისა და თმის გადაძალვის ან დაწვის წესთან. ილია ამ შემთხვევაშიც ფრიად წარმატებით იყენებს ისტორიულ-შედარებით მეთოდს და აღნიშნავს, რომ ასეთი ტრადიცია დამახასიათებელი იყო პირველყოფილი ხალხებისათვის (ავსტრალიელებისათვის, პოლინეზიელებისა და გვინეელებისათვის), აგრეთვე სპარსელებისა და ევროპელებისათვის. რა თქმა უნდა, ავტორი ეყრდნობა იმ დროისათვის ცნობილ ეთნოლოგ-ანთროპოლოგებს. ასევე ქრისტიანობამდელ დროს უკავშირებს მწერალი, ისეთ ჩვეულებას, როგორიცაა შესანდობარის დროს ღვინის მიწაზე გადაქცევა და პურზე დაწვეთება. ანალოგიური წესი ჰქონიათ არაუკანელებს. საამისოდ კი *სმიტსა და სპენსერს* იმოწმებს, რის შემდეგაც წერს: „*განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზე ღვინოს თავს გადავუქცევთ და ხან პურზედ დაგაწვეთებთ, ხან მიწაზედ, იმისდა მიხედვით, ვდგევართ, თუ ვსხედვართ, და პური ხელთა გვაქვს თუ არა სმის დროსა. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ ამ სათავი-დამვე მომდინარეობს*“<sup>17</sup>.

ილიას მსხვერპლთმეწირვის ტრადიციაც არ გამორჩა, რისთვისაც იმოწმებს ისეთ მეცნიერს, როგორიცაა *ლუბოკი*. მეცნიერის ნააზრევის ანალიზის შემდეგ, ის ასკვნის, რომ ის

16. ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 229-230.

17. ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 112.

ყველა ხალხისათვის იყო დამახასიათებელი. ეყრდნობა რა ტე-  
ილორს, მკითხველს აუწყებს, რომ „ევროპაში, მას აქეთ რაკი  
გადავარდა ცოლებისა და მოსამსახურეების თან გადაყოლება,  
ცხენის დაკვლა მიცვალებულის საფლავზედ და მიცვალებულ-  
თან ერთად მისი დამარხვა კიდევ დიდხანს იყო ჩვეულებადო.  
ამისი მაგალითი ყოფილა ჯერ კიდევ 1781 წელს ინგლისში  
და ბევრგან სხვაგანაც. დღესაც მიცვალებულს უკან მიაყო-  
ლებენ ხოლმე ცხენსა. ეს ჩვეულება ჩვენშიც არის დღეს: ამ  
შემთხვევისათვის ცხენს უკუღმა შეჰკაზმავენ, ვითოდღა მიცვა-  
ლებულის უკან მოსაბრუნებლად“<sup>18</sup>. ერის უარყოფით თვისებე-  
ბზე ლაღადებდა მწერალი წერილში „რა გითხრათ? რით გა-  
გახაროთ?“ და ძველქართველთა დადებითი თვისებების გახსე-  
ნებით თანამედროვეებს ოპტიმიზმს უნერგავდა, გამოღვიძებისა-  
კენ, ცოდნის მიღებისა და ხელებდაკაპიწებული შრომისაკენ  
მოუწოდებდა.

ილია ჭავჭავაძე წერილში „ერი და ისტორია“ გაკვრით  
ქართველი ერის ხასიათსაც შეეხო და მისი უარყოფითი ნიშ-  
ნების თქმასაც არ მოერიდა: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი  
უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით, ბევრი მაგარი და ბევ-  
რიც უვარგისი ქვა ჩაუდია იმ საძირკველში, რომელზედაც  
დღეს ჩვენი აწმყო დამყარებული მერმისის ამოსაგებად“. გა-  
დარჩენის ერთ-ერთ ფაქტორად მას საძირკველში ჩადებული  
მაგარი ქვა მიაჩნდა. „ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით – რა  
ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან ვანათლებასა,  
ან ვამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების  
საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი და ფხვნილი  
ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას“<sup>19</sup>. უფრო დაწვრილე-  
ბით ქართველი ერის ხასიათზე 1886 წელს დაწერილ სხვა  
პუბლიკაციაში საუბრობს: „ჩვენი, ქართველების, ხასიათი მარ-  
თლა რომ ახირებული და მიუწვდომელი რამ არის. კარგი, მე-

<sup>18</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 115.

<sup>19</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 166.

ტად ნიჭიერი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამოცდილებით სახელგანთქმული კალამია საჭირო, რომ გამოიკვლიოს გზა ამ ხასიათის საცნობად და გამოსახატავად და ერთი რამ დასკვნა გამოიყენოს იმ ერთი მეორის საწინააღმდეგო თვისებათაგან, რომელთაგანაც შეძღვ არია ეს ხასიათი, თითქო ათას-ფეროვანი ჩუქურთმა არისო. ერთის მხრით ჩვენ მართლა, ხელგაშლილი, გულახდილი და სულმაღალი რაინდები ვართ. თუკი რაიმე გრძნობამ გვიღია და ვაგვიტაცა, ჩვენ თავმოტაცებულ ცხენსავით შეჩერება არ ვიცით, რაც უნდა საშინელი ბოლო მოსდევდეს ჩვენს ვატაცებას და რაც უნდა ცხადად და უტყუარად ვხედავდეთ ამ შედეგს ჩვენის ვატაცებისას, ჩვენ მაინც რაღაც გამოუცნობის მორჩილებით ვნებდებით მის მომხიბლავ ძალას...

ერთის მხრივ ესეა, მეორეს მხრით... ზოგიერთის გრძნობა გარეშე მეთვალყურესათვის წარმოადგენს პაწია ძღვრიე და ხავსით მოსილ ტბას, რომლის ადიდება და აგორება ისე შეუძლებელია, როგორც უბრალო თვალთაგან უხილავის კბილის ჭიის ვეშაპად გარდაქმნა. რაც ვინდა მრისხანე ცხოვრების გრიგალი დაჰქროდეს ამ ტბას, მისი ტალღები მაინც მყუდროდ განისვენებენ თავის ბინაზედ და არ ექვემდებარებიან მოძრაობის ქარ-ტყეხილსა... ამ შემთხვევაში ზოგიერთი ჩვენგანი – ძვნიდარს ჰგავს, სულგანაბულად ძღვნიდარეს, რომელსაც თითქო არც ეხება ის, რაც ხდება საერთო ცხოვრების არემარეზე...

ამგვარი სამარეებური უგრძობლობა. – თავს იჩენს ხოლმე ჩვენში ყოველთვის, როცა საქმე შეეხება არა უთავბოლო ფულის ფლანგვას, სმას და ქეიფს, არამედ „იმ-თავმომამებურებელს“ სვანს, რომელსაც საზოგადო საქმეს ეძახიან“<sup>20</sup>. ილია ჭავჭავაძეს ზუსტი დიაგნოზი აქვს თავისი ერისათვის დასმული. ეს ხასიათი (ორბუნებოვანება) ქართველთა მთელ ხანგრძ-

---

<sup>20</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 262.

ლივ ისტორიას გასდევდა და დღესაც დაღს ასვამს მას და განვითარებასა და წინსვლაში უშლის ხელს.

ილია ჭავჭავაძის ყურადღების მიღმა ქართველი კაცის შემოქმედების თითქმის არცერთი სფერო არ რჩებოდა, მათ შორის, ქართული ხალხური მუსიკაც, რასაც 1886 წელს სპეციალური წერილი უძღვნა. მან მისი რაობის საკითხი დააყენა და ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ხალხს, ისევე როგორც ენა, მუსიკაც თავისი საკუთარი, ორიგინალური აქვს: „სიმღერა გულის-თქმა. როგორც ცალკე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არ ჰგავს... ამის გამო, გულის-თქმაც, გულის გამოძეგვებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველ ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის“<sup>21</sup>. ახდენს ქართული ხალხური სიმღერების კლასიფიკაციას, გამოყოფს სამხიარულო და სამგლოვიარო, საქორწილო და საგმირო სიმღერებს: „სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინ მოდის, როცა გულს მწუხრება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა. ჩვენებური „ზარი“, ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან და-ძმასავით შესისხლხორცებული, იგივე სიმღერაა სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ „მყრული“ – სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც „ორ-პირი“ – ვაჟკაცობისა, მედგრობისა და მხნეობისა“<sup>22</sup>. ილია კითხვას სვამს: „რომელს ეკუთვნის ქართული ხალხური სიმღერა – ევროპულს თუ აზიურს? და, პასუხობს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს „ისტორია უფრო აზიის კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იყო უკანასკნელ საუკუნემდე“, ის მაინც დამოუკიდებელია, არც ევროპულია და არც აზიური, მან განვითარების თავისი გზა გაიარა: „ქართული სიმღერა ხომ ევროპულს სრულებით არ ჰგავს, ჰგავს კი აზიურს?“ ... ეს საერო სიმღერა თვით-ნაჩენია თავით, თავისით-მყოფია“. „სპარსელს ჩვენი ბანით სათქმელი სიმღერა სულ არ მოსწო-

<sup>21</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, გვ. 133.

<sup>22</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, გვ. 132.

ნს, იმიტომ რომ არ ესმის. რომ ესმოდეს, ევ იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ძირი ან ფერი ერთი აქვთ აქაურს და იმათ სიმღერებს. ან თუნდაც აზიის სხვა ერი აიღეთ, – განა აქაური სიმღერები ჰგვანან რომელსაღე ერის სიმღერას აზიაში?“<sup>23</sup>. ილია დასახელებულ წერილში არაერთხელ უსვამს ხაზს ქართული სიმღერების „თვით-ნაჩვენობასა და თვით-მყოფობაზე“. მართალია ილია ჭავჭავაძე წერდა ქართველთა წარსულზე, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც ქვეყნის მომავალი, ქართველი ხალხის გადარჩენის საკითხი იყო. ეს პრობლემა, რომელიც ილიას დროს აქტუალური იყო, დღესაც აქტუალურია. ამ საკითხს მიუძღვნა მან საყოველთაოდ ცნობილი პუბლიკაცია „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ თითქოს დღევანდელ ქართველებს მიმართავს: „ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა ვინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეოთა-მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ. ვართ-კი ასეთნი?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“<sup>24</sup>. დიას, წარსულში თუ ვაჟკაცობამ, ხმაღმა გვიხსნა, რომელსაც ქართველები თავად ჭედავდნენ, ილია თანამემამულეებს მოუწოდებს, რომ „წავიდა ის დრო: დაჩლოუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანნი, ან ჩარხნი ქარხნისა, ან მართულობა მანქანისა. ეხლა ... ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს“<sup>25</sup>. იქვე მწერალი იმასაც გვეუბნება, რომ „ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული-კი თან

<sup>23</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, გვ. 125.

<sup>24</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, გვ. 174.

<sup>25</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, გვ. 176.

გავკითხვან, ფეხ-ქვეშედან მიწას გამოგვაცლის, სახელს გავკვირდეთ, გავკვირდეთ, გავკვირდეთ, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ველარავინ-ლა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დაუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ეს ყოველივე ვიცით და ვემზადებით?.. რა ვითხრათ? რით გავახაროთ?“<sup>26</sup>.

შეიძლება ვინმემ კითხვა დაგვისვას: რა კავშირშია ყოველივე ზემოთ თქმული ეთნოლოგიასთან? – ნამდვილად კავშირშია, რადგან ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი ერის გადარჩენის პრობლემაა; აგრეთვე: ეთნოლოგია მხოლოდ წარსულში შექმნილი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემსწავლელი მეცნიერება არაა. ის თანამედროვეობასაც სწავლობს, ძველსა და ახალ ყოფას მჭიდრო ურთიერთკავშირში განიხილავს.

ილია ჭავჭავაძე დიდი მოვლენა რომ იყო საქართველოს ისტორიაში, ეს იმითაც დასტურდება, რომ მისი ნააზრევი თანამედროვეობასაც ეხმიანება. ამიტომ რადგანაც ეთნოლოგიას არა მხოლოდ ხალხის წარსული ყოფა და კულტურა აინტერესებს, არამედ დღევანდელობაც, კიდევ ერთ საკითხს შევეხებით. ცნობილია, რომ ქართველთა დიდმა ნაწილმა თანამედროვე საქართველოში ასპარეზი ვერ ნახა, ისინი სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად უცხო ქვეყნებში იხიზნებიან, ჩვენში კი უცხო ქვეყნის მკვიდრნი მოდიან. ამ პრობლემაზე განათლებული და გაუნათლებელი ადამიანებიც კი ბევრს მსჯელობენ, ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქვეყანაში სიღარიბეა. ახლა ილია ჭავჭავაძის მიერ 1889 წელს დაწერილი წერილიდან „იხვე განათლების შესახებ“ მოვიყვანოთ ამონარიდი: „საკვირველია!

---

<sup>26</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, გვ. 176.



თუ უცხო-ქვეყნელი მოდის აქ, ამ მისთვის უთვისტომო ქვეყანაში, საცა არც მტკაველი მიწა აქვს, არც ერთი კაცი ჰყავს ხელშეშფოები და გულშემატკივარი და მარტო თავის თაოსნობაზედ და მხნეობაზედ დანდობილი, ჰშოულობს საქმეს, თავს ირჩენს, ძლიდრდება, კეთდება, ჩვენ რაღა მიწაცა გვაქვს, მაძულ-დედულიც, ბინაც, მახლობელნი და ნათესაობაც გვყავს და მაინც ვჩივით და ვტირით სიღარიბეს, ჩვენ საკუთარ სუფრაზედ სხვანი ძლებიან, ჩვენის საკუთარის ჯამიდან სველ ლუკმას სხვა იღებს, ჩვენის ქვეყნის რძე-ნაღები სხვას მიაქვს და ჩვენ-კი, ცარიელზედ ვასულნი, მარტო ვჩივით და ვტირით, გეშინ და გეწყურიანო. ის-კი ვიცით, რომ „ტირილითა და ვიშითა“ სოფელი არ აშენდება“<sup>27</sup>. ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებელ წამლად კი ილიას ცოდნა და განათლება მიანდა: „ჩვენი უცოდინრობა, უსწავლელობა ისე გვაბრკოლებს და გვაბორკილებს, რომ ცილობაც ველარ ვაგვიწევია ახალმოსულთა უცხოელთათვის. ყველგან ივინი გვჯობნიან, ყველგან ივინი გვასწრებენ, გამოსარჩენ საქმეს ხელიდამ გვაცლიან. რას იზამთ? – სხვა ვერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან, თუ არა ის ხერხი, ის უნარი, ის ძალ-ღონე, რომელსაც მარტო ცოდნა და სწავლა-განათლება იძლევა.

ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურებისა ევ უვიცობა, ევ ცოდნის უქონლობაა“<sup>28</sup>. დღესაც ქართველები ბეწვის ხიდზე გავდივართ, რადგან თანამედროვეთა ყველაზე დიდი პრობლემა გაუნათლებლობაა, რაშიც უწინდელ ქართველებსაგან მთლად ვერ დავადანაშაულებთ – დღეს პრობლემა ხელისუფალთა მიერ განათლების ოპტიმალური ვარიანტის მიუგებლობაა.

---

<sup>27</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი III, გვ. 269.

<sup>28</sup>ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები, ტომი IV, გვ. 270.

ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებას აშკარად ეტყობა, რომ მან კარგად იცოდა ქართველი გლეხების ყოფა და კულტურა. ცნობილია, რომ ის მუდმივად ხალხში, გლეხებს შორის ტრიალებდა. მოხვევების ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნითი ცოდნა ჩანს „მგზავრის წერილებში“. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, რომ „ი. ჭავჭავაძემ მკითხველს გააცნო ხევის სამეურნეო პირობები, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა, მათი საქმიანობა, ისტორიული ხასიათის გადმოცემები და მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ვერ დაეკარგა ვერც ერთ ქართველ თუ რუს ან უცხოელ დამკვირვებელს, რომელსაც ასე ზუსტად და შეუფერადებლად დაეხატოს ხევის იმდროინდელი სურათი მისი ეთნოგრაფიული თავისებურებებითა და ისტორიული ეტიუდებით. სამგალითოდ იკმარებდა დაკვირვებები გერგეტის სამების (XIII-XIV სს.), მის ერთ მხარეზე მიშენებული სათემო საბჭოსა და არშის ციხის შესახებ. ამ თვალსაზრისით ასევე შთამბეჭდავი სურათია ასახული პოემა „განდევილში“, რომლის წყაროდ გამოყენებულია ხევი გაგონილი ლეგენდები გამოქვაბულ ბეთლემის შესახებ“<sup>29</sup>.

„მგზავრის წერილებში“ განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული მოხვევთა ყოფაში XIX საუკუნიდან წარმოქმნილ ახალ საქმიანობას, როგორც იყო ქირაზე სამუშაოდ სიარული. მწერალი მოხვევე ლელთ ლუნას პირით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ საუბრობს, რომ საქართველოს მთისა და ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული სამეურნეო-ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ მთა და ბარი უერთმანეთოდ არ ვარგოდნენ, „ორივენი ერთადა, უერთ-ურთოდ ქვეყა-

---

<sup>29</sup> ვ. ითონიშვილი. ქართული ეთნოლოგიის ნარკვევები, თბ., 1989, გვ. 97-98.

ნაი გონჯაა“. ილიას შემოქმედებაში ასახულ ამ ფაქტს ჯერ კიდევ ადრე მიექცა ყურადღება ქართულ ეთნოლოგიაში<sup>30</sup>.

ილიას ბიოგრაფი გრიგოლ ყიფშიძე XX საუკუნის დასაწყისში აღნიშნავდა: „ილიას საკმაოდ ხანგრძლივ ყოფნას ხალხში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის შემოქმედებისათვის. ხალხში, სოფლად ცხოვრება, დაკვირვება და შესწავლა მისი ავკარგისა, შთაბეჭდილებანი ბუნებისა, არაგვისა და თერგის ხეობისა, უმნიშვნელოდ არ დარჩა ილიას შემოქმედებისათვის. მწერლის შემოქმედება მუდამ რეალურ ცხოვრებაზეა დამყარებული“<sup>31</sup>.

ილია ჭავჭავაძემ ერთ-ერთმა პირველმა აღნიშნა, რომ ქართველი ერის ძირითად სამეურნეო საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა, სომხებივით ვაჭრობისათვის რომ მიემართათ, ეს გამოიწვევდა მათ დაქსაქსვას და ეროვნული კონსოლიდაცია შეუძლებელი იქნებოდა – „მარტო ვაჭრობაზე მიქცეული ერი დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტულია“ და რომ ქართველები სწორედ მიწაზე მიჯვავებულობამ გადაარჩინა; ის ხალხები კი რომელიც მხოლოდ ხმაღზე იყვნენ დაყრდნობილი გაქრნენ. საამისოდ კი მონღოლებისა და სხვების მაგალითები მოჰყავს<sup>32</sup>. მწერალი განსაკუთრებით აფასებდა ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციას და ევროპულ წესთან შედარებით მას უპირატესობას ანიჭებდა.

ილიას ერთი საინტერესო ტრადიცია აქვს დადასტურებული, კერძოდ, საქმე ეხება ურმების ქარავანს (მაგალითად, ურმების ქარავნებით მიდიოდნენ ქართველები აღზევანში მარილის მოსატანად). მეურმე-მექარავნეები პირველ ურემზე მამალს სვამდნენ, რომელიც საათის ფუნქციას ასრულებდა, მისი ყივი-

---

<sup>30</sup> ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 2009, გვ. 254.

<sup>31</sup> ვ. ყიფშიძე. ილია ჭავჭავაძე. – წიგნი „ილია“, თბ., 1987, გვ. 61.

<sup>32</sup> ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, გვ. 255.

ლი გათენების მომასწავებელი იყო. წინა ურმის მეურმეობას კარგი ხარ-კამეჩის პატრონს ანდობდნენ.

XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერს მხედველობის არედან არ გამორჩენია ქართველ გლეხთა კატეგორიები და განსაკუთრებით ხიზნობის ინსტიტუტი, რომელიც ფეოდალისა და თავისუფალი გლეხის ურთიერთობის გამომხატველი იყო. ხიზანი თავადის მამულზე იყო დასახლებული, მაგრამ ის მის ყმას არ წარმოადგენდა; ხიზანს შეეძლო თავისუფლად სხვაგან წასულიყო. ხიზანი უმეტეს შემთხვევაში მიგრანტი, შემოხიზნული იყო (ხიზნებს წარმოადგენდნენ შიდა ქართლის მთებში დასახლებული ოსები. ოსების ხიზნობა დადასტურებულია XIX საუკუნის რუსული აღწერის დავთრებში). ილიას კალამი საქართველოში (განსაკუთრებით კახეთში) არსებულ სათემო მამულებსაც შეეხო. მას არც „საბლის მამულები“ გამორჩენია მხედველობის არედან. როდესაც სათემო მამულებზე საუბრობს ევროპული მაგალითებიც მოჰყავს შესადარებლად, განსაკუთრებით გერმანელთა და დანიელთა ცხოვრებიდან. როდესაც გერმანელებზე საუბრობს, ისტორიის სიღრმეში იხედება და *ტაკიტს* იმოწმებს.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს ფაქტობრივად მხედველობის არედან არ გამორჩენია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ეთნოლოგიის არცერთი საკითხი. რა თქმა უნდა, ყველა საკითხს ის ჩაღრმავებულად არ შეხებია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ მოვლენებზე გარკვეული კომენტარი, მეცნიერული ახსნა აქვს მოცემული. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ქართულ ეთნოლოგიაში გამოთქმულ თვალსაზრისს: *„ილიას შეხედულებანი ხალხის ადამ-წესებსა და ჩვეულებებზე, ხალხური სამართლის ტრადიციულ ფორმებზე, მის ადგილსა და როლზე ცხოვრების ქართული წესის ფორმირების პროცესში ეპოქალური თეორიული კვლევა-ძიების დონეზეა წარმოჩენილი. ასევე მეცნიერული ანალიზის ფონზეა გააზრებული ილიას მსჯელობა ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ეთნიკური*

ისტორიის, ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფობის, ეთნოსისა და მისი სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშნების ... შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ილიას დაკვირვებები და დასკვნები ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფისა და კულტურის საკითხებზე<sup>33</sup>. თქმულს დავამატებთ, რომ ილია ჭავჭავაძის ყველა მსჯელობა ქართული ეთნოსის, მისი განვითარების, ქართველი გლეხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი ეთნიკური/ხალხური კულტურის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ მომავალი საქართველოს შენების, ქართველი ერის კონსოლიდაციის სურვილით იყო განპირობებული.

---

<sup>33</sup>ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, გვ. 67.

## ეთნიკური, რელიგიური და სოციალური პრობლემები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში

თანამედროვე საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ძირითადად ცნობილია როგორც პედაგოგი და სახელმძღვანელოების (განსაკუთრებით „დედა-ენის“) ავტორი. მაგრამ მის შემოქმედებაში ფართო ადგილი უკავია პუბლიცისტიკას, რომელიც ეთნოლოგიის ფართო სპექტრსაც მოიცავს, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას ეთნიკური და რელიგიური ურთიერთობის, სოციალური პრობლემების და ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის შესახებ. ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თვალსაზრისით მისი შემოქმედება წმინდა მეცნიერული არაა – ის არ შეიცავს ემპირიულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს, სამეცნიერო აპარატურას. თუმცა პუბლიკაციებში მოცემულია ფრიად საყურადღები დასკვნები ამა თუ იმ ეთნოგრაფიული ფაქტის შესახებ და ეს მსჯელობანი და დასკვნები არა მხოლოდ იმდროინდელი მეცნიერების სათანადო ღონეზეა, არამედ დღევანდელ გამოწვევებსაც პასუხობს.

1877 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით „ქართლი“. კავთურას ხეობაში – ქვათახევის მონასტერში ის დაესწრო „საეკლესიო-სახალხო“ ზემს. მისი მიზანი იყო სალოცავში ურმებით მოსულ ხალხზე დაკვირვება, ქართული ხალხური სიმღერებისა და ხალხური პოეზიის გამოაშკარავება. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ სალოცავად მოსული ხალხი, ტყეში თავმოყრილი იყო ათეულ ცალკე ჯგუფებად, რომლებიც აქ ურმებით იყვნენ მოსული. ეს ხალხი „თითქმის მთელი ღამის განმავლობაში მღეროდა ათასნაირ ხალხურ მოტივებზე და უთვალავი სიმღერებით ააშკარავებდა ქართული ხალხური პოეზიის საოცარ სიმდიდრეს“<sup>34</sup>.

---

<sup>34</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი I, თბ., 1989, გვ. 101.

„დაირასა და დიპლიპიტოს ხმაზე“ ახალგაზრდა ქალიშვილის ცეკვით მოხიბლული იაკობ გოგებაშვილი აღმოაჩენს, რომ ის ეთნიკური სომეხი იყო: „ჩვენს წინაშე იყო სომხის ოჯახი, რომელიც ქალაქიდან ჩამოსულა სალოცავად მართლმადიდებლურ ქართულ მონასტერში“<sup>35</sup>. სომხურ-გრიგორიანული ოჯახის მართლმადიდებლურ ეკლესიაში/დღეობაში სალოცავად მისვლა კი განპირობებული იყო იმ აღთქმის საფუძველზე, რაც მძიმე ავადმყოფობის გამო დადო. პუბლიკაციიდან მკითხველი იგებს, რომ XIX საუკუნის საქართველოში ჩვეულებრივი ამბავი იყო სომხების ქართულ სალოცავებში სიარული. ინფორმატორის ცნობით, „ტაძრის დღესასწაულს მუდამ ესწრებიან სომეხთა ოჯახები, რომლებიც სალოცავად მოდიან სხვა დროსაც ქართველებთან ერთადო. „დაიცადეთ“, მითხრამან, „ხვალ დღესასწაულის წინადლით არა ერთი ურმით მოვლენ სომეხთა ოჯახები სალოცავად“. და მართლა, მეორე დღეს ნასადილევს ურმებით მოვიდა სომეხთა რამდენიმე ოჯახი, რომლებიც განლაგდნენ ნაცნობ ქართველ ოჯახთა ახლოს და მათთან ერთად შექმნეს მეგობრულად მოქეიფე ჯგუფები. ამ ოჯახებს თვალყურს ვადევნებდი და დავინახე, რომ ისინი მართლმადიდებელთა ტაძარში ისეთივე მოკრძალებით ლოცულობდნენ, როგორც ქართველები, უკანასკნელთა მსგავსად კოცნიდნენ ხატებს, ბერებს უკვეთავდნენ მოსახსენებლებს, ემთხვეოდნენ ჯვარს, იღებდნენ ჯვარს, იღებდნენ სეფისკერს, იცხებდნენ მირონს“<sup>36</sup>. უფრო მეტი, სომხებს მიღებული ჰქონდათ არა მხოლოდ ქართული ენა, არამედ ზნე-ჩვეულებებიც. ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ, ქართლში სომხები ინტეგრირებული იყვნენ ქართველებთან. პუბლიცისტიკისათვის აღნიშნული კონკრეტული ფაქტი იყო საბაბი, იმისათვის, რომ დაეგმო ქართველი და სომეხი ინტელიგენტების ქმედებანი, რომლებიც თავიანთი უტაქტო გამოსვლებით ზიანს აყენებდნენ ამ ურთიერთობას. მაგალითად მოყავს ფაქტი, რომ „სატახტო ქალაქის პრე-

<sup>35</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 103.

<sup>36</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 103.

სის ერთ-ერთმა ორგანომ“ განაცხადა, რომ „ამიერკავკასიის ორი მთავარი ეროვნება, ქართველები და სომხები, ურთიერთ სიძულვილით არიან გამსჭვალული“<sup>37</sup>. პოსტსაბჭოთა ეპოქაში ცნობილია, თუ როგორ დაუპირისპირა სხვადასხვა ეთნოსები ერთმანეთს რუსეთის იმპერიამ, როგორ გააჩაღა მათ შორის ომები. ეს კი იმპერიისათვის დამახასიათებელი ტრადიციული მეთოდი იყო. ამის დამადასტურებელი ფაქტები კი არა ერთი და ორი აქვს იაკობ გოგებაშვილს მოხმობილი. ის განსაკუთრებით გმობს ასეთ ფაქტებს ლიტერატურის სფეროში: „ისინი მზად არიან ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში აამონ თავიანთ უმეცარ მკითხველთა უხეშ ინსტიქტებს, განავითარონ მათში რასობრივი განკერძოებულობა, წაუსისინონ საზოგადოებრივი აზრი იმ ეროვნებებს, რომელთაც საერთო სამშობლოსადმი ერთგულების გარდა არასოდეს არაფერი გამოუმჟღავნებიათ“<sup>38</sup>. ამიერკავკასიის ორი ერის დაპირისპირების მცდელობებს, ქართველი მოღვაწე „ბოროტ განზრახვას“ უწოდებს და ასკვნის: „ქართველებსა და სომხებს შორის არათუ არ არსებობს არავითარი ანტაგონიზმი, არამედ მათ შორის არსებობს უაღრესად მტკიცე, უაღრესად გულითადი ძმური კავშირი“<sup>39</sup>.

იაკობ გოგებაშვილი საქართველოში მცხოვრები სომხების ენობრივ ვითარებასაც, სომეხთა მიერ ქართული ენის გათავისებასაც შეეხო: სომეხებმა „არა მარტო სოფლად, არამედ სამაზრო ქალაქებშიც ქართული ენა გაიხადეს სიტყვიერ იარაღად, თავიანთ ყოველ დღიურ ურთიერთობაში სომხები და ქართველები ერთმანეთისაგან თავს არაფრით არ ანსხვავებენ. ... ქართლში არ გაგონილა სომეხთა და ქართველთა პარტიებად დაყოფა არჩევნების დროს, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში“<sup>40</sup>.

---

37. ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 104.

38. ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 105.

39. ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 106.

40. ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 107.



იაკობ გოგებაშვილი უფრო შორსაც მიდის და ქართველებსა და სომხებს ახლო მონათესავე ეროვნებებად აცხადებს: „ეროვნული სულისკვეთების ნათესაობა იმდენად ძლიერია, რომ მან სრულიად გააქარწყლა რელიგიური განსხვავების შეგნების გავლენა და ორივე ეროვნების თვით რელიგიურ ცხოვრებაშიც კი თანხმობა და ერთობა შეიტანა“<sup>41</sup>. თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ეს შეხედულება რეალობას არ შეესაბამება. როგორც ჩანს, ის ლეონტი მროველის კონცეფციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ქართველთა და სომეხთა სიახლოვის მიზეზად თუ ბევრი ამ უკანასკნელთა სოფლებში, ქართველთა შორის, ცხოვრებას მიიჩნევდა, იაკობ გოგებაშვილი ურჩევდა ამ ორი ეთნოსის ურთიერთობა ქალაქებშიც ენახათ: „ვინც ქართველთა და სომეხთა ამ უმჭიდროეს ურთიერთობას ხსნის უკანასკნელთა გაფანტულობით სოფლის ქართველ მოსახლეობას შორის, სომეხთა ტაძრებისა და მღვდლების სიმორით მრავალ პუნქტიდან, სადაც მათი მრევლი ცხოვობს, მას ურჩევთ უფრო ახლოს გაეცნონ ქალაქელ ქართველთა და სომეხთა ურთიერთობას. აქაც ის დაინახავს იმავე თანხმობას, ურთიერთობისა და ძმობის იმავე სულისკვეთებას, რაც ალაფრთოვანებს ორივე ეროვნების სოფლის მოსახლეობას. კეთილი მეზობლობა, ხშირი საქორწინო და სულიერი ნათესაობის გაბმა, სოლოდარობა ამქართა არჩევნების დროს, სომეხთა და ქართველთა პარტიებად დაყოფის სრულიად არ არსებობა, – აი ქალაქის ორივე ეროვნების დაბალ წოდებათა ურთიერთდამოკიდებულება. რელიგიურ ურთიერთობაც კი იგივეა. მრავალი ქალაქელი სომხისათვის ქართველთა ეკლესიები სალოცავი ადგილია. ... მეორე მხრივ, სომეხთა განთქმულ სალოცავს, სურბ-კარაპეტის სახელწოდებით ... დიდ პატივს სცემს მრავალი ქართველი, დიდი რაოდენობით ესწრებიან რელიგიურ-სახალხო ზეიმს, რომელიც იმართება ამ ეკლესიის ხატობაზე“<sup>42</sup>.

---

<sup>41</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 108.

<sup>42</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 112.

საქართველოში მცხოვრები სომხებისა და ქართველთა ეთნიკური ურთიერთობის შესახებ, იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ „სომეხთა რელიგია, ენა, ეროვნულობა ხელშეუხებელი ხდება და არავის არ მოსდის თავში ველური და სასტიკი აზრი – წაართვან მათ ეროვნული თავისებურებანი, გაუპიროვნონ და გააქართველონ ისინი“<sup>43</sup>. ამ სტრიქონების ავტორი მართალია. საქართველოში არცერთი ეთნოსის წარმომადგენელთა ძალადობრივი გაქართველება არ ხდებოდა. თუმცა იმ ფაქტებსაც ვერ გამოვირიცხავთ, რომ გაქართველების შემთხვევები იყო და ეს ხდებოდა თავისთავად, როგორც ბუნებრივი მოვლენა. უფრო მეტი, საქართველოში არაერთი ფაქტია დადასტურებული, როდესაც სომხური ეკლესიის წარმომადგენლები სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე ნათლავდნენ ქართველებს, ე. ი. ასომხებდნენ. სამწუხაროდ, იაკობ გოგებაშვილმა ასეთი ფაქტების შესახებ არაფერი არ იცის.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი პუბლიცისტი მაინც ვერ უარყოფს ერთგვარ დაპირისპირებას, რომელიც ქართულ-სომხურ ურთიერთობებში არსებობდა. ამის მიზეზად კი მას „ხალხის ექსპლუატატორთა“ ის კლასი მიაჩნია, „რომელსაც ეწოდება კულაკ-მრეწველები“. „ბუნებრივია, რომ ამ ჯურის ადამიანებს თავისთავისადმი უნდა გამოეწვიოთ შრომისმოყვარულ, მაგრამ ღარიბ, მათ მიერ ექსპლოატირებულ ქართველ ხალხში მტრული გრძნობა და არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება“. ... „რომელიმე კარაპეტი ქართველ ხალხს სძულს არა იმიტომ, რომ მისი გვარი იანციით ბოლოვდება, არამედ იმიტომ, რომ ის წარმოადგენს გაუმაძღარ წურბელას, რომელიც ხალხის სისხლსა სწოვს, რომ ის ასევე სძულს იმ სომხებსაც, რომელნიც მისი ექსპლუატატორობის მსხვერპლნი ხდებიან“<sup>44</sup>. ასეთია იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება ქართულ-სომხური ურთიერთობის შესახებ. ის ამ ურთიერთობის

---

<sup>43</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 111.

<sup>44</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 103.

გულმხურვალე დამცველია და მისი პუბლიკაცია იმას ემსახურება, რომ მომავალში ეს ურთიერთობა უხინჯო იყოს. აგრეთვე: ის ცდილობს ორი ხალხის წარსული და მისი დროინდელი ურთიერთობა ნათელ ფერებში დაინახოს. თუ გავითვალისწინებთ მთელ რიგ ფაქტებს, ქართულ-სომხურ ურთიერთობებს გარკვეული შეფერხებებიც ახლდა, განსაკუთრებით კი საეკლესიო განხეთქილების შემდეგ. სომეხი სასულიერო მოღვაწეებისათვის უცხო არ იყო ქალქედონისტი ქართველების წყევლა.

იაკობ გოგებაშვილი საქართველოში მცხოვრები სომხებისა და, აგრეთვე, ოსების ენობრივ ვითარებას რუსულ ენაზე დაწერილ და მის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელ სტატიაშიც – „კრიზისი საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლაში“ – შეეხო, რომელიც მღვდელ *ვოსტორგოვის* ანტიქართული საქმიანობით იყო განპირობებული. თავდაპირველად მწერალი შიდა ქართლის ბარში განსახლებული ოსების შესახებ აღნიშნავდა: „ისინი გადმოსახლდნენ ჩრდილო ოსეთიდან ნახევარი საუკუნის წინათ... ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მათ სავსებით შეითვისეს ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი, ბევრმა მათგანმა ცოლად შეირთო ქართველი ქალი, ატარებენ ქართულ სახელებსა და გვარებს, დადიან ქართულ ეკლესიაში, სახლშიც და ეკლესიაშიც ლოცულობენ ქართულ ენაზე, ძალიან სურთ ისწავლონ ქართული წერა-კითხვა, რასაც მეტად საჭიროდ თვლიან, მაგრამ ამასთან ერთად ოსური ენაც არ დავიწყებიათ“<sup>45</sup>. ქართლ-კახეთში მცხოვრები სომხების შესახებ კი აღნიშნავს, რომ „ისინი ტიპის მიხედვით, ჩაცმულობით, ყოფაცხოვრებითა და ზნე-ჩვეულებებით, სახელებითა და გვარებით ნამდვილი ქართველები არიან, ლაპარაკობენ მხოლოდ ქართულ ენაზე და მათვის სრულიად უცხოა სომხური ენა. ქართველებისაგან ისინი განსხვავდებიან მხოლოდ გრივორიანული სარწმუნოებით, მაგრამ ეს განსხვავებაც მეტად ირ-

---

<sup>45</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., 1990, გვ. 273.

დილება იმ გარემოებით, რომ გრიგორიანელები ხშირად დადიან მართლმადიდებელ ეკლესიებში, შინ ლოცულობენ მხოლოდ ქართულ ენაზე, მიდიან ქართველ წმინდანთა სალოცავად და დღესასწაულებზე სახლში იწვევენ მართლმადიდებელ მღვდლებს სხვადასხვა კურთხევისათვის. ქართველების აზრით, ეს სოფლელი გრიგორიანები ქართველები არიან, რომლებმაც სომხებთან ერთად დაგემეს მეოთხე მსოფლიო საკრებულოს დადგენილება და ამით ჩამოშორდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას. ... გასულ საუკუნეებში ამ გრიგორიანებს შორის ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და რომ დღემდე დაცულია ამ ენაზე დაბეჭდილი საეკლესიო სომხური წიგნები“<sup>46</sup>. ამასთან დაკავშირებით, პუბლიცისტი მოხდენილად იყენებს სახელმწიფო საბჭოს წევრის *კირილე იანოვსკის* შეხედულებას, რომელიც მას „მისლში“ დაუბეჭდავს. ამ შეხედულებით სწავლის დროს მშობლიურ ენად უნდა იქნეს მიჩნეული რომელზედაც ბავშვი ან ყმაწვილი ოჯახში ლაპარაკობს. რადგან საქართველოში მცხოვრები ბევრი სომეხი ქართულ ენაზე ლაპარაკობს, მათი მშობლიური ენაც ქართულია. იანოვსკივე მშობლიური ენისაგან ეროვნულ ენას მიჯნავდა. შესაბამისად გაქართველებული ოსებისა და გრიგორიანელთა სასწავლო ენა მხოლოდ და მხოლოდ ქართული უნდა ყოფილიყო. დასახელებული წერილის ბოლოს იაკობ გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა და იმდროინდელ ქართველებში საყოველთაოდ გავრცელებულ მოსაზრებას ახმოვანებდა, რომ „ახლა ქართველები, ჩვენ, ალბათ, ვისჯებით რუსეთთან თანამორწმუნეობისა და საერთო სამშობლოსადმი ზედმეტი ერთგულების გამო. ეს არის დასკვნა, რომელმაც არ შეიძლება არ ჩაგაფიქროთ“<sup>47</sup>.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა უმიწაწყლო ქართველი გლეხების საკითხს. ის კითხვას სვამდა: „რამდენად უჭირავს ჩვენს ხალხს თავისუფა-

<sup>46</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 276.

<sup>47</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 283.

ლი მიწები გადასახლებისათვის და სად უნდა გადასახლდეს?“<sup>48</sup>. მან ეს საკითხი მას შემდეგ გააქტიურა, რაც რუსეთის მწერლობაში, საზოგადოებასა და ხელისუფლებაში დაიწყო „დიდი ბაასი და სჯა“ რუსეთის გლეხობის საქართველოში გადმოსახლების შესახებ. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „რუსეთის გლეხების გადმოსახლებას ჩვენშიაც აპირებენ. ამას ქადაგებდნენ ზოგიერთი რუსული ჟურნალ-გაზეთები, წარსულის წლის „კაკაკაზმაც“ ბანი მისცა, და სატახტო მართებლობას კიდევ გამოუგზავნა აგენტები, რომელთაც უნდა დაათვალიერონ და ამოარჩიონ თავისუფალი ადგილები შავი ზღვის ახლო რუსეთის გლეხობისათვის“<sup>49</sup>.

ქართველი მოღვაწე კი საკმაოდ გაისარჯა და დაასაბუთა, რომ „საქართველოს გლეხობას ერთი სამად და ოთხად უფრო მომეტებულად უჭირს თავისუფალი მიწები და გადასახლება, ვიდრე რუსეთისას“. იაკობ გოგებაშვილი იმასაც ასაბუთებდა, რომ „თავისუფალი მიწები ბათუმის მაზრისა და აფხაზეთისა შეადგენენ ძველს ჩვენს საკუთრებას და დასახლებულნი იყვნენ უმეტეს ნაწილად ქართველთა ტომით“. „სამართალი მოითხოვს, რომ ქართველის ტომისაგან დატოვებული ქვეყანა შეიქნეს საკუთრებად ქართველისავე ტომისა, რომელსაც ძველს დროში აუარებელი სისხლი უღვრია მათის მტრისაგან დაფარვისათვის. საქართველოში თავისუფალი მიწების ქართველთა დასახლების უპრიანობაზე ის სხვა მიზეზსაც ასახელებდა: „სახელმწიფო ვალდებულია თავისუფალი მიწები დაურიგოს იმ გაჭირვებულებს, რომელნიც უფრო უკეთესად გამოიყენებენ მათ. კაკასიის ჰაერი და ბუნება ისე ძლიერ განსხვავდება რუსეთის ჰაერისა და ბუნებისაგან, რომ რუსის გლეხობა აქ ვერ გაძლებს და შეიქმნება მსხვერპლი აქაურის ავის ციებისა, მალარიისა“<sup>50</sup>.

---

<sup>48</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 257.

<sup>49</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 257.

<sup>50</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 258.

განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა იმერლების, მეგრელების, რაჭველების და გურულების მიმე მდგომარეობას. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დასავლეთ ქართველებს არავისზე ნაკლებად არ უყვართ სამშობლო მხარე და სწორედ მიწის სიმცირისა და სიმწირის გამო უხდებოდა მშობლიური კერის დატოვება: „იძულებული არიან დასტოვონ ყველაფერი, დაიფანტნენ აქეთ-იქით ან მთელის წლობით, ან მარტო ზამთრობით, გახდნენ ლაქიებად, მზარეულებად, კუჩრებად, კურტნიან მუშებად და მოიპოვონ საცხოვრებელი ღონისძიება, რომელსაც მათ ვერ აძლევს მათი პაწია, ერთის მტკაველის ოდენა უძრავი მიწა, ერთის მტკაველის ოდენა უძრავი ქონება“<sup>51</sup>.

დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მიწის სივიწროვეს იაკობ გოგებაშვილი კონკრეტული ფაქტებით ასახულებდა და აღნიშნავდა, რომ „სამეგრელოში თითო კვადრატის ვერსზედ ცხოვრობს 1800 სული. ამ სივიწროვეს ერთი-ორად ზდის ის გარემოება, რომ ნახევარი სამეგრელო ტყესა და ჭაობს უჭირავს, რის გამოც თითო გამოსადევს კვადრატის ვერსზედ აქ 3600 სული მოდის. ეს ისეთი სივიწროვეა, რომელიც რუსეთის არც ერთ კუთხეში არ გავონილა. ... ამისთანავე ვიწრო ტაფაში იწვის ... რაჭაც თავის პატიოსნის და მუყაითის მცხოვრებლებითა“<sup>52</sup>.

იაკობ გოგებაშვილი დასახელებულ პრობლემას სხვა პუბლიკაციაშიც – „საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“ – შეეხო; ის წერდა: „თავისუფალი სახელმწიფო მიწები არათუ ამიერკავკასიის სხვა გუბერნიებში, არამედ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებშიც ამჟამად ქართველებისათვის აკრძალული ხილია. დიანხ, მიწა ... არ შეიძლება უკიდურესად გაჭირვებულ ქართველს მიეცეს დასამუშავებლად. შავიზღვის სანაპიროებზე სახელმწიფო მიწებს ადვილად ღებულობენ რუსებს გარდა გერმანელები, მოლდოველები, ესტონელები, ლატვიელები და სომხები; – მხოლოდ ქართველებს ეუბნებიან კატე-

<sup>51</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 259.

<sup>52</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 259.

გორიულ უარს“. „ქართველებისათვის თავისუფალი სახელმწიფო მიწების მიცემის აკრძალვა ბევრ მათგანს მძიმე მდგომარეობაში აყენებს, რადგან ახლა საქართველოში მცირემიწიანობა და უმიწაწყლობა მის შვილთა მთავარი გასაჭირია. ... უმიწაწყლო ქართველ გლეხებს უკიდურესი გაჭირვება მიერეკება ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ისინი უჩვევი ცივი ჰავისა და სხვა არახელსაყრელი პირობების გამო მრავლად იღუპებიან“<sup>53</sup>. მოყვანილი ციტატით მხილებულია ცარიზმის პოლიტიკა, რომელიც შეგნებულად ახდენდა იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების აღრევას, რაც სწრაფად გარუსების ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნეოდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, პატრიოტი ქართველი არც თანამემამულე მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლებას – მუჰაჯირობას – ივიწყებდა და მწუხარებით მათ სამუდამო დაკარგვაზე საუბრობდა: „ამ მოქმედებაში ის აზრიც უნდა გვაძინებდეს, რომ ერთს უბედურებას – ძმების სამუდამოდ გადაკარგვას სათათრეთში ძველის საქართველოდგან – არას გზით არ უნდა დავუმატოთ მეორეც – ძველის ჩვენის ტერიტორიის ხელიდან გაშვება, დაკარგვა, უცხო ტომთა სასარგებლოდ...“<sup>54</sup>

იაკობ გოგებაშვილი სხვა პუბლიკაციებშიც ეხება მიგრაციის საკითხს. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავასახელოთ მისი სტატია „დაურღვეველი კავშირი ქართული ტერიტორიისა და ქართველის ერის შორის“. ამ ნაშრომშიც ის იმის შესახებ საუბრობს, რომ „ბუნება და ადამიანი განუწყვეტლად მოქმედებენ“. კონკრეტულად დასახელებული საკითხის შესახებ კი წერს: „დასავლეთის უძამულო გლეხობა და აზნაურობა ჩრდილო კავკასიაში-კი არ უნდა გადასახლდნენ, გზა უნდა გაიკვლიონ შავი ზღვის ნაპირებისაკენ, ბათუმისა, ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოს მახრებისაკენ. ... ამ გადასახლებას უძამულო ქართველებისას თავისი კუთხითგან სხვა ქართულს კუთხეში ერთი უდიდესი სიკეთეც თანა სდევს:

<sup>53</sup>ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 228, 229.

<sup>54</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 260.

სხვა-და-სხვა კუთხის ქართველების დამოყვრება მეტად ეხმარება ჩამომავლობის გაუკეთესობასა. ... თბილისის სასწავლებლებში ის ქართველები უფრო მეტს ნიჭს და წარმატებას იჩენენ, რომელნიც დედით ამერნი არიან და მამით იმერნი. ქუთაისშიაც უფრო კარგად სწავლობენ ის მოწაფეები, რომელთაც მამა ჰყავთ ამერი და დედა იმერი<sup>55</sup>. მოყვანილი ციტატის შემდეგ მხოლოდ ის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პუბლიცისტს გარკვეული ცოდნა გააჩნდა ფიზიკური ანთროპოლოგიის შესახებაც, რომლის თანახმადაც დაშორებულ წყვილებს ფიზიკურად და გონებრივად უკეთესი შთამომავლობა უჩნდება. ამავე პრობლემას იაკობ გოგებაშვილი სხვა წერილშიც – „ქართველთა ერის მოდგმის გაუმჯობესება“ – შეეხო<sup>56</sup>.

იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმოდა, რომ ეთნოსის/ერის არსებობის ერთ-ერთი უმთავარესი ნიშანი იყო ტერიტორია. ქართველებისათვის კი ეს ის მიწა-წყალი იყო, რომელზედაც ჩამოყალიბდნენ და ეთნიკური ისტორიის ყველა ეტაპი გაიარეს. ამიტომ მისი ჭეშმარიტად სალი აზრით ჩვენი ერის გადარჩენის მთავარი პირობა ამ ტერიტორიაზე მკვიდრად ცხოვრება იყო: „...თუ ჩვენი ხალხი გამოესალმება მიწა-წყალსა (ამაში ის უმთავარესად მიწის უცხოელებზე გასხვისებას გულისხმობდა – რ. თ.), მის გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება, თუნდაც პირველს ხანებში მრავალი სამოხელეო ადგილი ეჭიროს ადმინისტრაციაში, სასამართლოსა და ჯარში. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვებია ერის ცხოვრებისათვის, და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ისე ერი იღუპება, როცა ხელიდგან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“<sup>57</sup>.

იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებით შეწუხებული იყო აფხაზთა მუჰაჯირობით. ამ საკითხზე მან 1877 წელს ვრცელი წერილი გამოაქვეყნა რუსულ ენაზე. აღნიშნავდა, რომ „ეს გადასახლება დროებითი არ არის, არამედ სამუდამოა: აფხაზე-

<sup>55</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 350.

<sup>56</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 351-354.

<sup>57</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 74.



თი ვერასდროს ველარ იხილავს თავის შვილებს“. ამის შემდეგ კი დღის წესრიგში დადგა ამ ტერიტორიის დასახლების საკითხი, რათა საქართველოს ძირძველი ტერიტორია უცხო ეთნიკურ ერთეულებს არ მიესაკუთრებინათ. ცარიზმს კი გადაწყვეტილი ჰქონდა აფხაზეთში რუსების და შემდეგ სომხების დასახლება. ცნობილია, რომ ეთნოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა ბუნებისა და ადამიანების/საზოგადოების ურთიერთმიმართებაა, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან, კლიმატთან და ლანდშაფტთან მიმართებაში იქმნებოდა ხალხური კულტურა, რომ ადაპტირებული ლანდშაფტიდან ადამიანთა ჯგუფების მიგრაცია აკლიმატიზაციის პრობლემას აწყდებოდა. ქართველ პუბლიცისტს ეს პრობლემა იმდროინდელი მეცნიერების ღონეზე ჰქონდა გაანალიზებული. ამიტომაც მას შეუძლებლად მიაჩნდა აფხაზეთის ბუნებრივ-კლიმატურ ნესტიან პირობებში ჩრდილოელი რუსებისა და სამხრეთელი სომხების დასახლება. ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ასეთი მიგრანტტებისათვის გარდუვალი იქნებოდა ციებ-ცხელება, მაღარია და ბოლოს სიკვდილი (მისი ეს პროგნოზი შემდეგ აკი გამართლდა კიდევ). დასმულ კითხვას პასუხს დასაბუთებულს აძლევდა. ვისაც პრობლემა არ შეექმნება აფხაზეთში დასახლებით, ისენი მხოლოდ აფხაზეთთან ახლო მოსახლე და მის ბუნებრივ პირობებთან შეგუებული ქართული მოსახლეობა – მეგრელები არიანო – მათ კლიმატი ვერ დაცდიდა, რადგან სამეგრელოსა და აფხაზეთის ჰავა ერთგვაროვანია: „მეგრელები ისე გრძნობენ თავს აფხაზეთში, როგორც საკუთარ სახლში. ეს არც გასაკვირია. სამეგრელო ერთადერთი კუთხეა ჩვენში, რომელიც ყოველმხრივ ძალიან ჰგავს აფხაზეთს. ჰაერის ტემპერატურა აქაც მაღალი, აქაც ჭარბობს შავიზღვის პირას მდებარეობით გამოწვეული ნალექები და სინსეტე. ამიტომ მეგრელი ტომის ორგანიზმი სავსებით შეგუებულია ასეთ ატმოსფეროსთან“<sup>58</sup>. აგრეთვე მეგრელები შრომისმოყვარენი არიან,

---

<sup>58</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 371.

ვაჭრობაშიც მარიფათიანნი არიან, სამეგრელო გადამეტსახლებულია მოსახლეობით და მათი აფხაზეთში დასახლებაც ისტორიულად გამართლებულია, რადგან, თავის ღროზე, „წინათ, არც თუ ისე შორეულ წარსულში, აფხაზეთის აღმოსავლეთის ნაწილი მეგრელებს ეჭირათ და სასაზღრო მდინარე არა ენგური, არამედ კოდორი იყო“. იაკობი არწმუნებდა ხელისუფლებას, რომ აფხაზეთში რუსების დასახლება მათ ფიზიკურ განადგურებას გამოიწვევდა. იმაზეც მიუთითებდა, რომ „აფხაზეთში სახელმწიფო სამსახურში გამწესებული ცოლშვილიანი მოხელეები, იძულებული არიან თავისი ცოლშვილი თბილისში, ქუთაისში და სხვა ადგილებში დააბინაონ, ხოლო თვითონ მოსაწყენ და მარტოხელა ცხოვრებას ეწიონ“<sup>59</sup>.

იაკობ გოგებაშვილის ზემოხსენებულ არგუმენტირებულ მსჯელობას მკვეთრი რეაქცია მოსდევდა მათ მხრიდან, ვისაც საქართველოს ტერიტორიის ეთნიკური აჭრელების სურვილი ამოძრავებდა, არც ზემოხსენებული პუბლიკაცია „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“ დარჩა უპასუხოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით გაზეთი „კავკაზი“ გამოირჩეოდა, რომელიც მიუთითებდა, რომ „პირიქით, მეგრელები სხვა ხალხზე უფრო ადრე ამოინოცებიან აფხაზეთშიო“ და რომ „ვითომც მეგრელებს არ გააჩნიათ არც საკმაო ცოდნა და არც უნარი აფხაზეთში კულტურის შეტანის საქმეში“<sup>60</sup>. ერთ-ერთი ოპონენტი კი მეგრელთა დაბალი კულტურის გამონატულებად იმას მიიჩნევდა, რომ მათ ხორბლის კულტურა არ იცოდნენ და მხოლოდ ღომისა და სიმინდის მოყვანით კმაყოფილდებოდნენ. პასუხის გაცემაშიც არ უღალატა იაკობ გოგებაშვილს ლოგიკამ. მისი პასუხი შეუდარებელია და მოპაექრებს ისევ ადამიანებისა და ბუნების ურთიერთმიმართებას შეახსენებს, რომ ამა თუ იმ მხარის სასოფლო-სამეურნეო კულტურა ბუნებით, გეოგრაფიით და კლიმატით იყო განპირობებული. ის იმასაც შეახსენებდა მოწინააღმდეგებს, რომ „სიმინდის მოყვანა სამეგრე-

---

<sup>59</sup> ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 368.

<sup>60</sup> ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 375.

ლოში, ადგილობრივი პირობების გამო, მოითხოვს იმდენად დიდ შრომას, და ისეთ დაბრკოლებებს ქმნის, რომ სხვა უფრო ნაკლებ შრომისმოყვარე და არაბეჯითი ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. მაგრამ მეგრელები ადვილად ერევიან დაბრკოლებებს თავისი გამრჯეული ხასიათისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ამხანაგური წესით შესრულების წყალობით და ლებულობენ სიმინდის ისეთ მოსავალს, რომ არა თუ მარტო თავიანთ თავს უზრუნველყოფენ წლების განმავლობაში, არამედ რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულების სიმინდს გზავნიან საზღვარგარეთ ფოთის ნავთსადგურიდან<sup>61</sup>. მაგალითად, უთითებს რომ 1862 წელს საზღვარგარეთ 500 ათასი მანეთის სიმინდი გაიტანეს. მკითხველს „ნადობის“ ტრადიციასაც ზედმიწევნით აცნობს. არაკეთილმოსურნეს იმასაც შეახსენებს, რომ სამეგრელოში ხეებზე ამგებული მალღარი ვენახი არა მეგრელთა სიზარმაცის და უღარდელობის შედეგია, არამედ იმ სინესტისა, რომელიც აქ იყო: „ამ ჭაობიან მხარეში ხეებზე გაშვებული ვაზი უკეთეს ღვინოს იძლევა, ვიდრე სასხლავი ან ასაკრელი ვაზი, რადგან ნიადაგი აქ მეტად ნესტიანია და რაც უფრო მალღა იქნება ყურძნის მტევნები, მით უკეთესად მწიფდება, მით უფრო მშრალია და მით ნაკლებ ღჭება. ამგვარად ის, რაც ბეც ადამიანს სიზარმაცისა და უღარდელობის შედეგად მოეჩვენება, სინამდვილეში, თუ საქმეს ახლო გავეცნობით, წარმოადგენს გონივრული გამოცდილებისა და ბუნებრივ თავისებურებათა საღი ვაგების შედეგს“<sup>62</sup>. ასეთივე მეცნიერული მიდგომა გააჩნდა სამეგრელოში არსებული სამეურნეო ყოფის სხვადასხვა მხარესა და მატერიალურ კულტურაზე (ღვინის დაყენების წესი, საცხოვრებელი სახლები). თითქმის არ დარჩა მეგრელთა საქმიანობის არცერთი სფერო იაკობ გოგებაშვილის შეუფასებელი. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ის ვაჭრობაში მათი ფხიანობის შესახებ („მეგრელებს სოხუმში მთელი რიგი დუქნები ჰქონდათ“). აქ მხოლოდ ის

<sup>61</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 378.

<sup>62</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 380-381.

შეიძლება გავისხენოთ, რომ ივანე ჯავახიშვილის შემოქმედებაც საქართველოში ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთობის საკითხებსაც შეეხო. შეგახსენებთ, რომ სამეგრელოს ეთნოგრაფიული დახასიათება იაკობ გოგებაშვილმა იმიტომ მოახდინა, რომ აფხაზეთში მეგრელთა ჩასახლების მოწინააღმდეგეთა უსუსური არგუმენტები ემხილებინა.

იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში აფხაზეთისა და აფხაზების საკითხი მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით არ ამოიწურება – მან 1907 წელს რუსულ ენაზე გაზეთ „ზაკავკაზიეში“ გამოაქვეყნა წერილი „აფხაზეთის შესახებ“. სტატიაში მწერალი და პუბლიცისტი მათ წინააღმდეგ ილაშქრებს, ვინც ნეგატიურად იყო განწყობილი აფხაზურ ენაზე საღვთისმსახურო წიგნების თარგმნისა და ღვთისმსახურების შესრულების შესახებ. მისი არგუმენტი ასეთი გახლდათ: „მართალია, აფხაზეთი მრავალი საუკუნის მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ; მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე, როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“<sup>63</sup>. იაკობი თანამემამულეებს მოუწოდებდა: „ჩვენ, ქართველებს, მხურვალედ გვსურს როგორც ჩვენი საღვთისმსახურო ენის, ისე ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარება და გამდიდრება, მოვალენი ვართ იგივე ვისურვოთ სხვა ეროვნებებისთვისაც, მათ შორის აფხაზებისთვისაც“<sup>64</sup>. შემდეგ ის მკითხველს ახსენებს ქართველთა „ისტორიულ ტრადიციებს“, რომელიც „ყველა სხვა ეროვნების თანასწორუფლებიანობას“ ეფუძნებოდა, რომ „ქართველთა სამეფოში არ იყვნენ გერები და ბედკრულნი, თავისი სამეფოს საზღვრებს

<sup>63</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი III, თბ., 1990, გვ. 134.

<sup>64</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი III, გვ. 134.

ყველანი ისე თავდადებით იცავდნენ, როგორც ღვიძლი შვილები. სწორედ ამით აიხსნება ქართველთა სამეფოს განსაცვიფრებლად ხანგრძლივი არსებობა“<sup>65</sup>. იმავე სტატიაში ავტორი ფრიად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის, რომ „უსამღვდელოესი კირიონი დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. მან მომთხოვა კიდეც მონაწილეობა მიმელო აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელოს შექმნაში“<sup>66</sup>. ასე ფიქრობდნენ და მსჯელობდნენ მოწინავე ქართველები აფხაზების მომავალზე, ამით ცდილობდნენ აფხაზეთსა და ქართველებს შორის ძველი ძმობის ხიდის განმტკიცებას, აჩვენებდნენ ტოლერანტობის მაგალითს.

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერია ერთიან ქართულ ეთნოსს ჰყოფდა და მისი ეთნოგრაფიულ ჯგუფებს სხვადასხვა ხალხებად აცხადებდა. იაკობ გოგებაშვილს ამ მხრივაც მოუხდა ბრძოლა, რომელმაც 1894 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა სტატია „ნაციონალური ერთობა ქართველებისა“. ქართველთა მოძულენი მაშინ წერდნენ, რომ „ქართველები იმდენად უნიჭონი არიანო, რომ ერს ვერ შეადგენენ და მხოლოდ თემების გროვას წარმოადგენენო“<sup>67</sup>. მწერალი კითხვას სვამს: „მერე რითი ასაბუთებენ ამ თავისს აზრსა? ქართველებმა ათასის წლის განმავლობაში ვერ მოახერხეს, რომ ერთი სახელმწიფო შეედგინათო. განა ეს საბუთი ჩირად ღირს?“ ამ შემთხვევაში მას მოუხდა მთელი რიგი პარალელური ფაქტების მოშველიება სხვადასხვა ხალხების ეთნიკური ისტორიიდან, რომ თუ ქართველები ერს კი არა მხოლოდ თემების გროვას წარმოადგენენ, ძველი ბერძენებაც განცალკევებით ცხოვრობდნენ და ერი არ იყვნენ? აი, კონკრეტულად რას ვკითხულობთ სტატიაში: „ძველი ბერძენნი ითვლებოდნენ და ითვლებიან სამაგალითო, უნიჭიერესს ერად; მაგრამ, თუმცა საბერძნეთი პატარა ქვეყანა იყო და პატარა ნახევარ კუნძული

<sup>65</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი III, გვ. 135.

<sup>66</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი III, გვ. 135.

<sup>67</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 99.

ეჭირა, მაინც ერთი სახელმწიფო ვერ შეადგინეს ბერძნებმა. ... მიუხედავად ამისა, ბერძენნი წარმოადგენენ ერთს დიდებულს ერსა. რაღა? იმიტომ, რომ ერთის ჩამომავლობისანი იყვნენ, ერთ ენაზედ ლაპარაკობდნენ, ერთი ლიტერატურა ჰქონდათ, ერთი ჰომეროსი ჰყავდათ, ერთი კულტურა შეჰქმნეს და ერთს სარწმუნოებას აღიარებდნენ. ქართველებში ვხედავთ თუ არა ასეთსავე ერთიანობას? ოღონდაც. ჰყავთ ყველა ქართველებს, იმერებს და ამერებს, ერთი მამამთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან, ერთს ენაზე უბნობენ, ერთი ლიტერატურა დაჰბადეს, ყველას ეროვნულ გენიოსებად და ტალანტებად მიაჩნიათ: რუსთაველი, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი და სხვანი. ერთის სარწმუნოების მიმდევარნი არიან. ყველა ამას ემატება ერთი ისტორიული მოვლენაც, რომელსაც ბერძნების წარსულში ვერა ვხედავთ: ათასის წლის განმავლობაში საქართველო ხშირად ერთს შეერთებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ფარნაოზიდან დაწყებული მეთექვსმეტე საუკუნემდე<sup>68</sup>.

ასევე დიდი ხნის განმავლობაში გერმანელები სხვადასხვა სახელმწიფოებში ცხოვრობდნენ და რელიგიურად ორად იყვნენ გაყოფილი. ისინიც თემების გროვას წარმოადგენდნენ? იაკობ გოგებაშვილი გერმანელთა ენასაც ეხება და ხაზს უსვამს, რომ ენითაც ძლიერ განირჩევა სამხრეთის გერმანია ჩრდილო-გერმანიითგანა. მაგრამ გერმანელნი-კი ყველას მიაჩნდა და მიაჩნია ერად და არა თემების კრებულად<sup>69</sup>. ბოლოს ასკვნიდა, რომ სომხებსაც არ ჰქონიათ უკვე ძალიან დიდი ხანია სახელმწიფოებრიობა, ისინიც მრავალი ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულებისაგან შედგებიან და მათ ამ ხვედრს არავინ არგუნებს. **„ჩვენ, რომელთაც ერთი-ორად მეტი საბუთი გვაქვს ვატაროთ სახელი ერისა ... გვართმევენ ამ სახელს და**

---

<sup>68</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 100.

<sup>69</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 100.

**ველურ თემების სიმდაბლევად ჩამოყვავართ. რა დავაშავეთ, „ვის რა ვირი მოვპარეთ“?**

რა შეიძლება ითქვას იაკობ გოგებაშვილის აღნიშნული მსჯელობის შესახებ? ქართველ მწერალს ზედმიწევნითი ცოდნა ჰქონდა ერის თეორიის შესახებ. ერს ნამდვილად სახელმწიფოებრიობა ქმნის. სტატიაში მხილებული არიან ქართველთმოდულები, რომლებსაც საქართველოს ისტორიის შესახებ არავითარი ცოდნა არ ჰქონდათ, ან ჰქონდათ და მას შეგნებულად ამახინჯებდნენ. ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ ქართველი ერის უარმყოფელი ერის წარმომადგენლებს ავიწყდებოდათ, რომ მათ მოუსპეს ქართველ ხალხს სახელმწიფოებრიობა. იაკობ გოგებაშვილმა სხვა ხალხების ისტორია და შესაბამისად ეთნიკური ისტორიაც კარგად იცოდა. ის ჩამოთვლის ერის სხვა ნიშან-თვისებებსაც: საერთო წარმომავლობა, ენა (სალიტერატურო ენა), მაღალი დონის მწერლობა, ერთიანი კულტურა, ერთიანი რელიგია.

იაკობ გოგებაშვილის აღშფოთებას ის ფაქტიც იწვევს, რომ ქართველი ერის უარმყოფელნი ქართველთა საერთო ფიზიკური ტიპის არსებობასაც უარყოფენ: „ამერებს თავის ქალა განიერი აქვთ და იმერებს წოწლოკინა, მაღალიო, მამასადამე ფიზიკური ტიპი ერთი არ არის და ერთ ერად ვერ იცონბიანო“<sup>70</sup>. მისი პასუხი ასეთი იყო: „ისინი ივიწყებენ, ვგონებ განზრახ, რომ ამისთანავე ფიზიკურს განსხვავებას იპოვიან ... რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში და სადაც გნებავთ. ... ეს ცვლილება ნაციონალური ტიპისა სრულიადაც არ არღვევს ერთობას ერისასა, თუ ეს ერთობა დამყარებულია იმ საერთო საუნჯეებზედ, რომელნიც ჩვენ ზევით ჩამოვთვალეთ“<sup>71</sup>. ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ გვიან შუა საუკუნეებში „შეერთებულ ტერიტორიას“ მოკლებულ ქართველებს, მის „თემებს“ (ტერიტორიულ-ლოკალურ ერთეულებს, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს) საუკუნეების წინ ჩამოყალიბებული სამეურნეო-ეკონომიკური

<sup>70</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 100.

<sup>71</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 100.

ერთობა არ დაურღვევიათ, შესაბამისად, არც ერთიანი ქართველი ერის არსებობას არ შექმნია საფრთხე.

იაკობ გოგებაშვილს არც მაჰმადიანი ქართველების პრობლემა დარჩენია ყურადღების მიღმა. ის გამოეხმაურა 1895 წლის „ნოვოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულ სტატიას, რომელშიც ქობულეთელი მაჰმადიანი ქართველები „კავკასიელ თურქებად“ იყვნენ მოხსენიებული: „აქაური თურქები ყირიმელ თათრებს არ გვანან; ეს ხალხი თავაზიანია და ზნეობრივი“. გაუთვითცნობიერებლებს თუ ისტორიული ფაქტების შეგნებულად დამმანხინჯებლებს იაკობ გოგებაშვილმა მიუთითა, რომ „კორესპონდენტები ერთმანეთში ურევნ რელიგიასა და ეროვნებას და ყოფილ თურქეთის ქართველებს უწოდებენ თურქებს, რომელთანაც მათ, გარდა რელიგიისა, არაფერი აქვთ საერთო“. კონკრეტულად კი აღნიშნა, რომ „ქობულეთელები ყოველმხრივ ნამდვილი გურულებია და განსხვავდებიან მათგან მხოლოდ მაჰმადიანური რელიგიით, რომელიც ძალით მოახვიეს მათ თავზე თურქეთის ბატონობის დროს“<sup>72</sup>. სამწუხაროდ, XIX საუკუნეში არსებული შეხედულება, რომელიც ეთნიკურობასა და რელიგიურობას აიგივებდა, დღესაც გრძელდება, რაც, ბუნებრივია, ქართველთა ეთნიკური ერთობის დაშლისაკენ მიმართული მიზანმიმართული ქმედებაა. ასეთი ყალბი შეხედულებების მკითხველ საზოგადოებაში გავრცელებას დიდი ხიფათის შემცველად მიიჩნევდა, მით უმეტეს, იმ დროს, როდესაც „საქართველოს გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიას“ „ძალიან ცოტა იცნობს“.

იაკობ გოგებაშვილი დასახელებული პრობლემის შესახებ მიუთითებს ისეთ მეცნიერთა ნაშრომებს, როგორებიც იყვნენ: *ზაგორსკი, ბაქრაძე, ყაზბევი, უსლარი...* იმავე ნაშრომში ის გარკვევით მიუთითებს, რომ „მეგრელები და ლაზები შეადგენენ ქართველი მოდემის ერთსა და იმავე შტოს და მიუხედავად ერთმანეთისაგან დიდხნის უნებლიე განცალკევებისა, არი-

---

<sup>72</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი III, გვ. 141.



ან მახლობელი ძმები ენით, ზნე-ჩვეულებითა და ყოფაცხოვრებით“<sup>73</sup>.

იაკობ გოგებაშვილისათვის ქართველი მაჰმადიანების საკითხი სათუთი თემა იყო. ბუნებრივია, „დედა-ენა“ მაჰმადიანი ქართველებისთვისაც იყო განკუთვნილი. ამ მხრივ ის ყველანაირ ნიუანსს ითვალისწინებდა, მაგალითად, თავდაპირველ გამოცემაში შეტანული სიტყვები – „ჯვარი“ და „ეკლესია“ – შემდეგი გამოცემებიდან ამოიღო: თვით მეორე ნაწილიც „დედა-ენისა“ სავსებით არის მოკლებული არამც თუ საეკლესიო, არამედ სარწმუნოებრივს ელემენტსა. ეს იმ განზრახვით, რომ წიგნს მიმზიდველი ხასიათი ჰქონდეს ქართველ მაჰმადიანთა და ურიათთათვისაც“<sup>74</sup>. მან რაფიელ ერისთავის ლექსის პირველი სტრიქონი „გუთანო, ქრისტეს ნაკურთხო“, ასე შეცვალა: „გუთანო, უფლის ნაკურთხო“, „რადგანაც სიტყვა „უფალი“ საერთო და სათაყვანებელი სახელია ყველა სარწმუნოებისათვის“<sup>75</sup>. 1910 წელს დაწერილ წერილში ის ფიქრობდა ტაო-კლარჯეთში, ფერეიდანსა და საინგილოში მცხოვრები ეთნიკური ქართველების შესახებ.

იაკობ გოგებაშვილი ქართველი ერის დაქუცმაცების საკითხსაც შეეხო, რასაც რუსეთის იმპერია ჩვენს წინააღმდეგ მიზანმიმართულად მიმართავდა. ქართველი მწერლის აღშფოთების საბაბი გამხდარა «Тифлисский Настольный Календарь»-ი 1900 წლისა. წერილის დასაწყისში, რომელისთვისაც „კალენდრებიც ჩვენ გვბრძვიან“ უწოდებია, ის აღნიშნავს: „მკითხველმა კარგად უნდა იცოდეს, რომ რომელსამე ერის დანაწილება, პატარ-პატარა ლუკმებად გადაქცევა, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ამ ერის დასუსტებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისათვის. სწორედ ამ ვერაგულს ღონისძიებას ხმარობენ ქართველობის წინააღმდეგ ჩვენი ერის დუშმანი; მაგრამ განა მარტო ესენი? არა, იმისთანაიც,

<sup>73</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი III, გვ. 142.

<sup>74</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი IV, თბ., 1990, გვ. 608.

<sup>75</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი IV, გვ. 609.

რომელნიც ჩვენის მტერთა რიცხვში არ უნდა ერივნენ“<sup>76</sup>. კალენდარში თბილისის 1900 წლის ნაციონალური და სარწმუნოებრივი სტატისტიკური მონაცემები ყოფილა გამოქვეყნებული. ისევ იაკობ გოგებაშვილს მოვუსმინოთ: „აქ ყველა ევროპიელი და აზიელი ერები მოხსენიებულნი არიან, როგორც ორგანიზულნი ერთეულნი. არც ერთის მათგანის შესახებ მეკალენდრე არა ჰხმარობს პროვინციალურს, სათემო სახელეებსა; ყველა მონათლული ჰყავს საზოგადო ეროვნული სახელწოდებითა. თბილისში რუსები ამდენნი არიანო, ამბობს, სომხები ამდენნი, ფრანცუზები ამდენნიო, ნემენცები ამდენნი, ლეკები ამდენნი, ოსები ამდენნი, აისორები ამდენნი და სხვანი. ქართველების შესახებ-კი სრულიად სხვა გვარად იქცევა. ქართველი ერის შტოები ცალკე ხეებად გარდაუქცევია, თემები – ცალკე ხალხებად და ერთი ეროვნული სხეული თორმეტ-ცამეტ პატარა სხეულად მოჩვენებია. ქართველები ამდენნი არიანო, მეგრელები ამდენნი, იმერლები ამდენნიო, ფშავლები ამდენნი, თუშები ამდენნი, ხევსურები ამდენნიო. უყურეთ რამდენი ნაცია აღმოუჩენია ქართველებში!“<sup>77</sup>. უფრო მეტი: კალენდრის შემდგენელს „სხვა ეროვნებათა“ გრაფაშიც ქართველთა სხვადასხვა თემების წარმომადგენლები (მთიულები, ინგილოები, ქიზიყელები, ჯავახები, რაჭველები, გურულები, მესხნი, სვანები, სამურზაყანოელები, გამაჰმადიანებული ქართველები) შეუყვანია (4.509 კაცი). რეალურად კი თბილისში იმ დროს 48.375 ქართველი ცხოვრობდა, ნაცვლად კალენდარში ნაჩვენები 39.398-ისა. იაკობ გოგებაშვილს ისიც გამოურკვევია, რომ ქართველი კათოლიკეებიც სხვა ხალხზე იყვნენ მიწერილი და ამით სომეხთა რაოდენობა ხელოვნურად გაუზრდია. სრულიად მართალია პუბლიცისტი როდესაც დაასკვნის: „მაგრამ ეს უბრალო ფაქტიური ტყუილი როდია, რომელსაც შეუძლიან წარმოშოს მხოლოდ კერძო უსიამოვნება. იგი შეადგენს დიდად მავნებელს სიცრუეს, რომელიც არამც თუ ძლიერ ამ-

<sup>76</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 343.

<sup>77</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 343-344.

ცირებს ქართველობის მნიშვნელობას მისს დედა-ქალაქში, არამედ ძირს უთხრის ეროვნულს ერთიანობას, საბუთს აძლევს ჩვენს მტრებსა სთქვან, რომ ქართველები ერის ხარისხამდე ვერ ასულან და თემების ხარისხზე დარჩენილანო, და ამ მხრივ დაბლა სდგანან არამც თუ სომხებზე, არამედ ლეკებზედაც, ოსებზედაც, აისორებზედაც და ყველა კავკასიის ხალხებზედ, რომელნიც მთლიან ერებად იწოდებიანო“<sup>78</sup>.

იაკობ გოგებაშვილი თანამემამულეებსაც საყვედურობს, რომ „ჩვენი პერიოდული გამოცემანი, ქართველი ლიტერატორები, ჩაფლულნი უმნიშვნელო წიგნურს საკითხავებში, ვერ უწევენ ჩვენს ეროვნებას ფხიზელის მეველის სამსახურს, და თითქმის ყურადღებას არ აქცევენ ამ გვარს ფრიად მანებელს სიცრუეს, რომელიც კალენდრების და გაზეთების საშუალებით, დაუბრკოლებლივ ვრცელდება მთელს კავკასიაში და ძირს უთხრიან ჩვენის ერის სახელსა, უფლებასა და წარმატებასა“<sup>79</sup>.

სხვათა შორის, იაკობ გოგებაშვილი თბილისში ქართული მოსახლეობის კატასტროფიულ შემცირებას და სომეხთა მოძრაობას ალა-მაჰმად-ხანის შემოსევას უკავშირებდა; ის წერდა: „მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თბილისში მცხოვრებთა აღწერა მოახდინა მთავრობამა, და აღმოჩნდა ჩვენს დედა-ქალაქში 12 ათასი სომეხი და ორი ათასი ქართველი, ესე იგი ქართველობა შეადგენდა მაშინ მხოლოდ მეშვიდე ნაწილს მცხოვრებლებისას. მოხდა ეს საოცარი შემცირება ქართველთა იმის გამო, რომ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს თბილელმა ქართველობამ თითქმის მთლად შეაკლა თავი მტერსა, ან ტყვედ იქმნა წაყვანილი. ასეთივე უღმობელი ბედი ჰხვდა დარბს სომხობასაც. მაგრამ შემძლებელი სომხობა ადრიანად გაიხიზნა მთებში, საიდგანაც უვნებლად დაბრუნდა მერმე თბილისში, და გარდა ამისა, ტყვეობიდან გამოისყიდა თავისიანები, რასაც დარიბი ქართველობა ვერ ეღირსა. ამ სახით, სპარ-

<sup>78</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 345.

<sup>79</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 346.

სელების მიერ აღწერა თბილისისა დიდად დაეხმარა მისს გასომხებასა“<sup>80</sup>.

იაკობ გოგებაშვილი გარკვეულ განსხვავებას ხედავს არა მხოლოდ ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფების ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებში (რაც მისი სამართლიანი დაკვირვებით, გამოწვეულია ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნებით), არამედ ქართველთა ფიზიკურ მრავალფეროვნებაშიც: „თითოეული ქართველი თემი წარმოადგენს თავისებურს ნაწილს სხვა-და-სხვა ფეროვანის ერთეულობისას“. ამ ფაქტსაც ბუნებრივი ფაქტორებით ხსნის და, აგრეთვე იმით, რომ საუკუნეების განმავლობაში ქართველთა სხვადასხვა ჯგუფებს სხვადასხვა ეთნიკური ერთეულები ერეოდნენ. ამ შემთხვევაშიც მას სხვა ხალხების ანალოგიური მაგალითები მოჰყავს (ბერძნების, იტალიელების).

იაკობ გოგებაშვილი ენის საკითხსაც შეეხო, კერძოდ, მეგრული და სვანური მეტყველების/ენის საკითხს. მის პუბლიკაციებს ასეთი სათაური აქვს: „ბოროტი წადილი სამეგრელოს შესახებ“ და „ენა და კილო“. პირველი წერილი იმ „ჭკუით გლახაკების“ წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებმაც „გაბედეს და წარმოთქვეს, რომ სამეგრელოსა და სვანეთის სკოლებიდან დედა-ენა უნდა იქმნეს გამორიცხული, რადგან აქ ხალხი ადგილობრივ კილოკავებს ხმარობს“. მეორე მათგანში დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ „ყველა ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედა-ენად, და თემური კილოები (наречия), რომელნიც იხმარებიან ადგილობრივ“<sup>81</sup>. ის შეახსენებს ქართველთა მოძულეებს, რომ „მეოთხე საუკუნიდან დაწყებული დღეინდელ დღემდე ყველა ჩვენებურს სკოლებში, შავი ზღვიდგან დაწყებული დაღესტნის საზღვრამდე, იხმარებოდა მხოლოდ წიგნები, საერთო ლიტერატურულ დედა-ენაზე

---

<sup>80</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 346.

<sup>81</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი IV, გვ. 518.

დაწერილი<sup>82</sup>. ამ შემთხვევაში იაკობ გოგებაშვილს სომეხი ზოკების მაგალითი მოჰყავს: „ამ ხალხსაც, მთავრის სომხურის გარდა, აქვთ პროვინციალური ენებიც, მაგალითად, ზოკური, რომელნიც ისე განირჩევიან მათი დედა-ენისაგან, რომ ბევრგან ბავშვებს ძლიერ უჭირთ ამ უკანასკნელის გაგება. მიუხედავად ამისა, ყველა სომხურს სკოლებში იხმარებოდნენ და იხმარებიან სახელმძღვანელონი, რომელნიც შედგენილნი არიან ლიტერატურულ დედა-ენაზე“. მას სათანადო ცოდნა გააჩნდა კავკასიის ხალხებისა და მათი ენობრივი ვითარების შესახებ: კავკასიაში არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომელნიც რამდენიმე კილოზე არ ლაპარაკობდეს“<sup>83</sup>.

იაკობ გოგებაშვილს კარგად ესმის, რომ აღმოსავლეთ საქართველო მრავალმხრივ შესუსტდა, დაკარგა ტერიტორიები, დემოგრაფიულად კატასტროფის წინაშე დადგა. აღმოსავლეთ საქართველო დასავლეთ საქართველომ იხსნა: „სრული იმედი იყო, რომ გაძლიერებულნი იმერნი გაჭირვებულს ამერებს მოეშველებოდნენ, ზურგს მისცემდნენ და შეერთებულის ძალით დაუბრუნდებოდნენ ძვირფასს დანაკარგსა, როგორც თვითონ იბრუნებდნენ წინა საუკუნეებში თავისას ამერთა შემწეობით. მაგრამ ეშმაკს როდი ეძინა. იმან მოიწადინა თვით იმერთა სამშობლოც დაენაწილებინა, დაექუცმაცებინა, მოეწყვიტა შავის ზღვის ნაპირები თვით და დაეუძლოურებინა. სახსრებსაც მალე იპოვნის: სამეგრელოსა და სვანეთის მოწყვეტა, მოშორება საერთო ნიადაგიდან...“<sup>84</sup>

**იაკობ გოგებაშვილი საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების (ტერიტორიული, ლოკალური ერთეულების) აღსანიშნავად გამოიყენებდა ტერმინს – „თემი“, ხოლო დიალექტებს, მათ შორის, მეგრულსა და სვანურსაც „თემურ კილოებს“ უწოდებდა. ამავე ტერმინს გამოიყენებდა ივანე ჯავახიშვილი. მხარეების აღსანიშნავად პირველად ეს ტერმინი**

<sup>82</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 358.

<sup>83</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი I, გვ. 469.

<sup>84</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი IV, გვ. 516.

„ისტორიანი და შარავანდედთანის“ ავრორთან გვხვდება: „ღამასკუნელთა მიმართებისათა უყოვნელ ყვეს დღენი ყოველთავე თუთუულად თემთა“; „და გაგზავნა ლაშქარნი, რომელნი დარჩომილ იყვნეს ერთგულად მისად და სხუა თემისა და თემის: მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარნი...“<sup>85</sup>. ამავე ტერმინს გამოიყენებდა ბერი ეგნატაშვილი. აღნიშნული ტერმინი გვხვდება აგრეთვე „ძეგლი ერისთავთაში“.

„მეკალმე“ იაკობ გოგებაშვილი (ის მისი ტერმინია – რ. თ.) ქართველი ხალხის ხასიათის მთელ რიგ ნიშნებსაც შეეხო. ამ მხრივ ის ძირითადად უარყოფით თვისებებზე საუბრობდა, რათა ზოგიერთი ასეთი ავი ზნე ქართველებს გამოესწორებინათ. აი, ერთი მათგანი: „ჩვენდა სამარცხვინოდ და სავალალოდ, ჩვენში მოიპოვებიან ქვემძრომნი სულიერნი, რომელნიც ჩვენს წინაშე მხურვალე მამულიშვილის, 96 პრობის პატრიოტის როლსა თამაშობენ, და სხვაგან კი ყოველს ჩვენს საუნჯეს, ყოველს ჩვენს ეროვნულს უფლებას ძირს უთხრიან, ჩინების და ჯილდოს გულისთვის. და როდესაც ეს საძაგელნი არსებანი ჩვენთან მოდიან და როსკიპული ღრეჭით ხელს გვაწვდენენ, ჩვენ მათ სულ-მოკლე მონასავით ხელს ვართმევთ და მეგობრულად ვექცევით. ამით ჩვენ ხელებს ვიტალხიანებთ, თავს ვიმცირებთ და ვირცხვენთ. ქვემძრომებს ვაქეზებთ მოლატეობაში, პატიოსან მოღვაწეთ გულს ვუკლავთ და საზოგადოებას განრწინილობაში ვაგდებთ“<sup>86</sup>. სამწუხაროდ, ქართველი ხალხი ამ ავი თვისებებისაგან დღესაც არაა განთავისუფლებული, რამდენია დღესაც ასეთი „ქვემძრომი“, რომლებიც საკუთარი პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე „მხურვალე მამულიშვილის“ როლს თამაშობს, ამიტომ, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი მარად ჩვენი თანამედროვეცაა.

---

<sup>85</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 67, 19.

<sup>86</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 108.

ქართველთა უარყოფით ხასიათად მიაჩნდა იაკობ გოგებაშვილს ხალხის მხოლოდ დღევანდელი დღით, და არა სვალინდელი დღით, ცხოვრება. ამ პაქტს პუბლიცისტი საგარეო ფაქტორებით ხსნიდა: „იყო დრო, როდესაც ქართველი ხალხი თავისს ცხოვრებაში მისდევდა ანდაზას: დღევანდელი კვერცხი მირჩვენთან სვალინდელს ქათამსაო. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ქართველმა არ იცოდა, მეორე დღეს ცოცხალი გამოიღვიძებდა, თუ მას საიქიოს გააგზავნიდნენ ან ლეკები, ან სპარსელები, ან თურქები და სხვა მტრები, და დაიჩემებდნენ მთელს მისს სარჩო-საბადებელს. მაშინდელს დროში მხოლოდ დღევანდელი დღე ეკუთვნოდა ქართველს, სვალინდელი კი სხვის ხელში იყო. ... როდესაც ამისთანა უდიერი მდგომარეობა ხშირია და ხანგრძლივი რომელსამე ერის ისტორიულს ცხოვრებაში, ეს ერი არ შეიძლება არ გადაეჩვიოს ზრუნვას სვალინდელის დღისათვის, არ იცხოვროს მხოლოდ დღევანდელი წამით, არ მიეჩვიოს დაუდევრობას, დაუზოგველობას, ბედოვლათობას. ... ამიტომ გაგვიჯდა ძვალსა და რბილში ქართველობას უზრუნველობა მომავალზე და მონობა წუთიერის სიამოვნების გზაზე“<sup>87</sup>. ეს ხასიათი (ბედოვლათობა, დაუდევრობა, დაუზოგველობა, მომავალზე უზრუნველობა) დღესაც არ შეუცვლია ქართველ ერს. ამიტომ თითქოს დღეს ჩაგვძახის სამშობლოზე მზრუნველი ქართველი: „დროა შევიგნოთ ჟამთა ცვლილებანი, ჩვენც შევიცვალნეთ შესაფერისად და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი სალი და მომავლიანი ერი. დროა აწინდელის წამის მაგიერ გავამეფოთ ჩვენს ცხოვრებაში პრინციპი მომავლისა, პატარა დღევანდელს სიამოვნებას ვამჯობინოთ ყოველთვის სვალინდელი დიდი სიკეთე“<sup>88</sup>.

მწერალს არც ქართველთა ხასიათის ისეთი დადებითი თვისება გამოორჩა როგორცა ტოლერანტობა/შემწყნარებლობა: „ქართველთა ბუნებრივი პედაგოგიური ნიჭი მომდინარეობს

<sup>87</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 254.

<sup>88</sup>ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 254, 255.

ფრიად შესანიშნავი სათავედგან, ანუ უკეთ, საძირკველიდან, ქართველთა სულიერი ორგანიზაცია ანუ აგებულება იმგვარია, რომ ივინი მოკლებულნი არიან ვიწრო ეროვნულს ინსტიქტს, გვარტომობის ცალ-მხროვანობას, და აქვთ მიდრეკილება ფართო ადამიანობისადმი, რის გამო ხათრიჯამიანი განწყობილება ერთს მათს ძირითადს თვისებას შეადგენს“<sup>89</sup>. ბოლოს კი აცხადებს, რომ „საქართველოს სამეფოში მოქცეულს ყოველ ხალხს ქართველებთან თანასწორი უფლება ჰქონდათ მინიჭებული და არასოდეს არ განუცდიათ შევიწროება არც სარწმუნოებაში და არც ენის საქმეში. მათ მხოლოდ მოეთხოვებოდათ სახელმწიფოს ერთგულება“<sup>90</sup>. სამაგალითოდ მწერალი ქართულ-ებრაულ, ქართულ-სომხურ ურთიერთობებს იხსენებს. რაც მთავარია თათრების შესახებ აღნიშნავს: „თათრები ისე იყვნენ კმაყოფილნი თავიანთ ბედისა საქართველოს სამეფოში, რომ თავგანწირულად ებრძოდნენ შემოსეულ თათრებსავე“<sup>91</sup>. მართლაც, საქართველოს ისტორიაში ცნობილია ბორჩალოელი თათრების თავდადება ხუდია ბორჩალოელის მეთაურობით ასპინძისა და კრწანისის ბრძოლებში.

ქართველთა ხსნის ერთ-ერთ გზად მწერალს ეკონომიკური აღმავლობა მიაჩნდა, რაც განათლების ფართოდ გავრცელებით იყო შესაძლებელი. მიუხედავდ იმისა, რომ ის დიდი დამფასებელი გახლდათ ქართული ტრადიციებისა, შემონახილი სამეურნეო წეს-ჩვეულებებისა, საჭიროდ მიაჩნდა ამ სფეროში თანამედროვე მიღწევების დანერგვა: „მთავარი მიზეზი იმისა, რომ ცოდნა და განათლება ქართველთა შორის უფრო ვიწრო მილებით სდის, ვიდრე მათ მეზობელთა შორის, ეკონომიურს სფერაშია. ... ხვნა-თესვა, მისი მთავარი წყარო ცხოვრებისა, ძლიერ ნაკლებს შემოსავალს აძლევს, მეტადრე ახლა, როცა მიწა დაიღალა და გამოიფიტა ხშირი ხვნით. ... რა ეშველება ამ მთავარს მიზეზსა? ერთი მხრივ ქართველობამ უნდა მამაპა-

<sup>89</sup> ი. ვოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 294.

<sup>90</sup> ი. ვოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 295.

<sup>91</sup> ი. ვოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტომი II, გვ. 295.



პური ხენა-თესვა შესცვალოს რაციონალურს მეურნეობაზე და მეორე მხრივ გამრავლდეს და გაძლერდეს ქალაქებში, მაგრამ ბალა ისაა, რომ ორის ცვლილებისათვის საჭიროა ცოდნა, განათლება“<sup>92</sup>. რეალურ გზად იაკობ გოგებაშვილს „ახალი ტიპის ქართველის გამოზრდა“ მიაჩნდა. ასეთ გამოსაზრდელი ქვეყანად კი მისთვის ინგლისი იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილის წერილებში ქართველი ხალხის ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ეთნიკური-რელიგიური და სოციალური ურთიერთობების შესახებ მნიშვნელოვანი პრობლემებია დასმული, რომელიც ეთნოგრაფთა და სხვა ჰუმანიტართა ყურადღებას იმსახურებს. მეცნიერული ინტერპრეტაციები თანამედროვე მეცნიერების ინტერესებსაც პასუხობს. ამავე დროს მისი მსჯელობა და დასკვნები არის ჰუმანური, ტოლერენტული და ზოგიერთი დღევნდელი მეცნიერისთვის მაგალითის მომცემი და მისაბადი.

---

<sup>92</sup>ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბ., გვ. 347.

## ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოლოგია

პირველი ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელს ივანე ჯავახიშვილს ქართულ საზოგადოება იცნობს როგორც თანამედროვე ქართული საისტორიო მეცნიერების ფუძემდებელს. ეს ფაქტი, ბუნებრივია, ჭეშმარიტებას შეესაბამება. მაგრამ თქმულს უნდა დაემატოს ისიც, რომ სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა მთელ რიგ სხვა ჰუმანიტარულ სამეცნიერო დარგებსაც მისცა დასაბამი. ივანე ჯავახიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ეთნოლოგიის წინამეც, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ეთნოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მაგრამ მეცნიერების ამ დამოუკიდებელი დარგის გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო საქართველოს ისტორიის მთელი რიგი ფაქტების გააზრება, განსაკუთრებით კი იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ქართული წყაროები ძირითადად საქართველოს მოკლე პოლიტიკურ ისტორიას გადმოსცემენ. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია საუბრობდა რა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის პირველ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხული მოხსენების შესახებ, აღნიშნავდა: „აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: ქართველი ხალხის ... ყოფაში უხვადაა შემონახული მრავალი საუკუნის გადანაცხოვრები, დიდი სამეცნიერო ღირებულების მქონე ნაშთები; ხალხში წარსული კულტურის მრავალი მარგალიტია გაბნეული, რომელთა შემწეობით მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა და ისტორიული წარსულის მრავალი საკითხის გარკვევა შეიძლება“<sup>93</sup>. გ. ჩიტაია იქვე იმის შესახებაც მიუთითებდა, რომ ივანე ჯავახიშვილის ეს მოსაზრება ქართული ხალხური კულტურის შესახებ ემთხვეოდა ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს.

---

<sup>93</sup>გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად, ტომი II, თბ., 2000, გვ. 67.

გიორგი ჩიტაია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებაც აღნიშნავდა: საბჭოთა კავშირში 1929-1932 წლებში ეთნოლოგიისადმი, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერებისადმი, ერთგვარი ნიჰილისტური დამოკიდებულება არსებობდა. „ეთნოგრაფიისადმი არც ნიჰილისტურ გამოვლინებას და არც სამუზეუმო ნივთების დევნას საქართველოში ადგილი არ ჰქონია და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს, რომელიც თავიდანვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებას“<sup>94</sup>. აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ სახელოვანი მეცნიერი ეთნოგრაფიული ფაქტების ანალიზისას ისტორიზმის პრინციპს გამოიყენებდა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, თავისი სამეცნიერო მოღვაწეობიდან გამომდინარე ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიული ეთნოლოგიის ფუძემდებელიცაა.

ივანე ჯავახიშვილის საქართველოს ეთნოლოგიისადმი დამოკიდებულება შეიძლება რამდენიმე მიმართულებით განვიხილოთ, რომელთაგანაც მხოლოდ ზოგიერთ ძირითად ასპექტს გამოვყოფთ. ესენია: ეთნოგრაფიული მასალის მოპოვების მეთოდოლოგია, ქართველი ხალხის წარმომავლობა, უძველესი რწმენა-წარმოდგენები, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურა და სამეურნეო ყოფა, სოციალური ურთიერთობები, საქართველოს სხვადასხვა თემებს (ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს) შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები...

პირველ რიგში ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულებაზე ეთნოგრაფიული მასალების მოპოვების მეთოდოლოგიისა და მისი წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობის შესახებ უნდა შევჩერდეთ. ამ საკითხზე მეცნიერს თავისი დამოკიდებულება ორ ნაშრომში – „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“, „მინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის მასალების შეგროვების წესი“ – აქვს ჩამოყალიბებული. „ქართველი ერის ისტო-

---

<sup>94</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტომი II, თბ., 2000, გვ. 68.

რის შესავლის“ იმ მონაკვეთში, რომელსაც „ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა“ ეწოდება, ის აღნიშნავდა: „უძველესი მსოფლმხედველობისა და რწმენის შესასწავლად და შეძლებისამებრ სრული სურათის წარმოსადგენად ხალხში დარჩენილ თქმულებებს, ხატობათა დღესასწაულების წესებსა და წარმოსათქმელ ხუცების ლოცვა-ვედრებას, სადიდებლებსა და დამწერლობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს“<sup>95</sup>. ამ პრობლემის კვლევა კი წარმოუდგენლად მიაჩნდა ეთნოგრაფიული ფაქტების გარეშე: „ასეთ ცნობებსა და ტექსტებს ჩვეულებრივ ეთნოგრაფები ჰკრებენ ხოლმე, რომელთაც, რასაკვირველია, თავიანთი მიზანი აქვთ, რომელიც ისტორიკოსის მიზნისაგან განსხვავდება, მაგრამ თუ ეთნოგრაფიული ცნობები და ტექსტები სათანადოდ არის შეგროვებული და შესაფერისი სისწორით არის ჩაწერილი, მაშინ ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანებისათვის ისტორიკოსსაც შეუძლიან, რა თქმა უნდა, ჯეროვანი მეთოდების მოშველიებით, ცნობებისა და ჩაწერილი ტექსტების ღირებულება იმაზეა დამოკიდებული, როგორ არის ასეთი მასალა შეგროვებული და წერილობით აღბეჭდილი“<sup>96</sup>.

აკრიტიკებდა რა წინამორბედი ეთნოლოგების მიერ ეთნოგრაფიული მასალების შეკრების ზერელედ, თავიანთი სიტყვებით ჩაწერის წესს, ივანე ჯავახიშვილი ამ მონაცემების ფიქსაციისათვის მკაცრ მეცნიერულ პირობებს აყენებდა: „ჩაწერილ ცნობას, მოთხრობას, თქმულებას და სხვადასხვა დანიშნულების წარმოსათქმელებსა და ლექსებს რომ საბუთის მაგვარი ღირსება ჰქონდეს, ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ მომთხრობელისა და მთქმელისაგან შეკრებილი ცნობა და სხვა ყოველნაირი მასალა სიტყვა-სიტყვით იყოს აღბეჭდილი. ამასთანავე მარტო ამ მასალის მიმწოდებლის სახელ-გვარის

---

<sup>95</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი – საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბ., 1950, გვ. 169.

<sup>96</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, გვ. 170.

აღნიშვნა საკმარისი არ არის, არამედ უნდა მისი წლოვანებაც, ჩვეულებრივი ხელობაც (მაგ. ხევისბერია, თუ კერძო პირი, თუ ხუცესია, რომელი ხატის, ადგილობრივი მკვიდრია, თუ სხვათაგან მოსული, მისი მამა-პაპაც ამ საქმიანობას მისდევდა თუ არა), იყოს აღბეჭდილი ხოლმე<sup>97</sup>. ამასთანავე, ის აუცილებლად ითხოვდა მოპოვებული მასალის „სხვადასხვა თემში“ დაფიქსირებას. ზეპირსიტყვიერ მასალაში აუცილებლად მიიჩნევა სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენის, დანაშრევის გამოყოფას და თავდაპირველი შედგენილობის გარკვევას. ბოლოს კი ასკვნია: „ამნაირადვე თქმულებებისა და სხვა დანარჩენი სიტყვიერი ძეგლების სხვადასხვა თემში და ადგილას სხვადასხვა პირისაგან წარმოთქმულ-აღბეჭდილი და შემოდასახელებული მეთოდებით შესწავლილი ტექსტების, სხვადასხვა რედაქციების შედარებით ანალიზი მათი შინაარსის შეუმცდარად გაგებასაც გაგვიადვილებს“<sup>98</sup>.

ეთნოგრაფიული მასალების შეკრების შესახებ ივანე ჯავახიშვილს თავისი მეთოდოლოგიური პრინციპები ჩამოყალიბებული აქვს სტატიაში „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის შეგროვების წესი“, რომელიც 1935 წლის 10 აპრილის გაზეთ „საქართველოს შინამრეწველში“ გამოაქვეყნა<sup>99</sup>. შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ეთნოგრაფიულ მასალებს ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით, აქ კი მისი შეკრების ივანე ჯავახიშვილისეული „წესიდან“ ზოგიერთ ამონარიდს შემოგთავაზებთ:

---

<sup>97</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, გვ. 170.

<sup>98</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, გვ. 171.

<sup>99</sup> მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, ტომი I, თბ., 1976, გვ. 22-29.

„თვითეულმა შემგროვებელმა თავის სამოქმედო ასპარეზში მცოდნე პირებისაგან უნდა გაიგოს, სად არის ამჟამად ძველი შინამრეწველობა დაცული, ან სად არიან მოხუცებულნი, რომელთაც წინანდელი შინამრეწველობა იციან და, ან ახლაც მუშაობენ, ან წინათ უკეთებიათ, და ახსოვთ, და ეგების ნივთები და იარაღებიც მოეპოვებოდეთ. ასეთ სოფლებში მისვლის შემდეგ უნდა გამოარკვიონ, რომელ ოჯახშია უფრო უკეთესად დაცული ცნობები და ნივთები. როდესაც შემკრებელი ამ ოჯახებსა და მცოდნე პირებს გაიცნობს, უნდა ჯერ მათი ცნობების შედარებითი ღირსება ზეპირი საუბრით გამოარკვიოს და მხოლოდ ამის მერე შეუდგეს თვით ცნობების ჩაწერას. შემკრებელმა მოსაუბრე უნდა დაარწმუნოს, რომ ამ ცნობების შეგროვება მხოლოდ იმისთვის გვინდა, რომ ვიცოდეთ, თუ წინათ როგორ მუშაობდნენ და რასა და რას აკეთებდნენ, უნდა აუხსნას, რომ საუბარი დაიბეჭდება და თვითეული მოამბის გვარი და სახელიც აღნიშნული იქნება. როდესაც შემგროვებელი ჩაწერას შეუდგება, უნდა ქვემოთმოყვანილი პროგრამის მიხედვით მოსაუბრეს გამოჰკითხოთ. რაკი მომთხრობელი მოთხრობას დაიწყებს, სანამ ლაპარაკს არ დაამთავრებს, შემგროვებელმა არავითარი შეკითხვით მოთხრობა არ უნდა შეაწყვეტინოს, რომ მოთხრობის მიმდინარეობა არ დაირღვას, არ დაიბნეს და არ დაავიწყდეს ის, რასაც იტყოდა, საუბრის ბუნებრივი მიმდინარეობა რომ არ შეწყვეტილიყო. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გარკვეულ საგანზე მონათხრობი დამთავრდება, შემგროვებელმა უნდა ჩანაწერი გადაიკითხოთ და თუ რაიმე გაუგებარი აღმოჩნდა, ან ისეთი სიტყვა თუ ტერმინი იყო ნახმარი, რომლის მნიშვნელობა გამოსარკვევია, მაშინ შემგროვებელმა ან გაუგებარი, ან განუმარტავი სიტყვებისა და ტერმინების მნიშვნელობა უნდა ჰკითხოთ და ეს განმარტებამოთხრობაც უნდა ჩასწეროს“<sup>100</sup>.

---

<sup>100</sup>მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი I, თბ., 1976, გვ. 22.

„ზეპირი მოთხრობის მოსმენა-ჩაწერის შემდგომ შემგროვებელმა უნდა სთხოვოს თვით ნივთებისა და იარაღის ჩვენება (თუ შემთხვევით შენახული აქვს) და მონათხრობის ნივთებზე შემოწმება. ნივთების ფოტოგრაფიული სურათის გადაღება, ანდა მაინცდამაინც სქემატური ჩანახატი საჭიროა და სასურველი. შემგროვებელმა უნდა ჩასწეროს, სად და ვისთან არის ძველი ტანისამოს-თავსაბურავ-ფეხსაცმელი, ან ქსოვილები, ხალიჩა-ფარდაგები და საფენები, ანდა ავეჯი, მეტადრე ხისა, დაჭრელებული, იარაღი, ადამიანისა და ცხენის ჯავშანი, ჭურჭლეული და სხვა დაცული ნივთები; უნდა ჰკითხოს, მოისურვებენ თუ არა მის გაყიდვას მუზეუმისათვის და რა ფასად“<sup>101</sup>.

„მასალების შეგროვების წესში“ ფართო ჩამონათვალია ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ფორმებისა, რითაც საველე მუშაკს აბსოლუტურად ამ სფეროში ყველა ეთნოგრაფიული მოვლენის და ფაქტის დაფიქსირების შესაძლებლობა ეძლეოდა. განცვიფრებას იწვევს ის ჩამონათვალი, ტერმინები, რომელიც ამ „წესშია“ მოცემული. როდესაც მას ეცნობით, ცხადი ხდება, რომ დიდმა მეცნიერმა დაწვრილებით იცოდა ქართველი ხალხის ეთნოლოგიის ყველა ნიუანსიც კი, თითოეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის (რომლებსაც ის თემებს უწოდებდა) თავისებურებანი. მხოლოდ ჩამოთვლით დააკმაყოფილებით: *აღმშენებლობა, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი; ციხე და კოშკი, გოდოლი, ქავი; ავეჯი, ხის ჭურჭელი, მეჭურჭლეობა, თიხის ჭურჭელი; სასმისები და სითხის ჭურჭელი; დაწნული ჭურჭელი, შარაგული; ქსოვა და ხელსაქმე, ღებვა; ძაფისა და ქსოვილების შეღებვა; ფირფიტების ქსოვა; ქარგვა და მოქარგვა; ოქრომკედი, ოქრონემსული და ოქროქსოვილი; ტანისამოსი; თავსახურავი; ფეხსამოსი და ფეხსაცმელი; პურის ცხობა; დიასახლისობა,*

---

<sup>101</sup>მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი I, გვ. 23.

ბოსტნეულისა და ხილის შენახვა; შაშხის, ლორის, აპოხტის ... მუჟუჟის გაკეთება-გამოყვანა; საჭმელების მომზადება; მესაქონლეობა; ნაბდისა და ღართის, კილიკისა და ქეჩის შეთელვა; წველა და რძის ნაწარმი; საქონლის დაკვლა; ცხენის, ვირისა და ჯორის მომშენებლობა; შინაური სხვადასხვა ცხოველი; მეფუტკრეობა; მეაბრეშუმეობა; სასოფლო-სამეურნეო იარაღის კეთება; მებოსტნეობა და მებაღეობა; მევენახეობა და მეღვინეობა; მერწყველობა და მეწისქვილეობა; მეთევზეობა; მონადირება; კირისა და გაჯის გამოწვა; კრამიტის, აგურის და წყლის მიღების კეთება; მჭედლობა; ოქრომჭედლობა; მეტივეობა; მეშუმეობა და მენახშირეობა; საკრავები.

ქართველი ხალხის ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ეთნოგრაფიული პრობლემა, თავის მხრივ, მრავალ საკითხს მოიცავდა; ისინი კი დაწვრილებითაა ჩამოთვლილი, რომელთათვის მასალის შემკრებს სათანადო ყურადღება უნდა მიექცია. სანიმუშოდ მხოლოდ ერთი მათგანის მოხმობით დავკმაყოფილდებით: „ტანისამოსი: ქსოვდნენ თუ არა ძველად ტანისამოსს მთლიანად და, თუ ქსოვდნენ, რომელ ტანისამოსს? სხვადასხვა ტანისამოსის სახელები (კვართი, პერანგი, პალეკარტი, ნიფხავი, საწვივე, საბარკული, როპანგი, მუქასარი, საბეჭური, სამკერდე, კაბა, არდავი, საგულე, ფარავი, ფესტემალი, ყაბაჩა, კურტაკი, ჩოხა, საწვიმარი, სამზეური, მაზარა, ჯუბა, ჯუბაჩა, ქულაჯა, ქათიბი, ნაბადი, ღართი, ტყავი, ტყაპუჭი, ტყავ-კაბა, ქურქი, ქუქუნაკი, ლაფაჩა, ტოლომა, ხირლა და სხვ.), მათი გამოჭრილობა და ნაწილები, მასალა, დანიშნულება, შეკერვა და შემკულობა. ყველა ამის ნიმუშები, ტერმინები და ჩანახატი, ვის და სადა აქვს ძველი ტანისამოსი, მოისურვებს მუზეუმისათვის გაყიდვას თუ არა, და რა ფასად?“<sup>102</sup>.

ქართველი ხალხის მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის შესახებ ივანე ჯავახიშვილის მოწაფეებმა (სტეფანე მენთეშაშვილი, ლუბა ბოჭორიშვილი, გიორგი ბოჭორიძე,

---

<sup>102</sup>მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი I, გვ. 25.



აღექსი ოჩიაური, ნათელა ოჩიაური, ვახტანგ ჯაფარიძე, კონსტანტინე კახიანი, კონსტანტინე გვარამაძე, ბაბო წერეთელი, აბელ კიკვიძე, ნიკო რეხვიაშვილი, ფაფალა ვარდაფხაძე, კონსტანტინე გრიგოლია, ქეთევან ლომთათიძე, იოსებ გრიშაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ილარიონ პაპიაშვილი, ვასილ ჩოხელაშვილი, ირაკლი ქასაშვილი, ანა ხუბუტია, სოლომონ ანდლულაძე, თამარ ანდლულაძე, ქეთევან გოვიჩაიშვილი) დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა მოაგროვეს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლიდა და აუვლის აღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე ვერც ერთი მკვლევარი. როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილი ინტენსიურად და დაუღალავად მუშაობდა მისი მოწაფეების მიერ მთელ საქართველოში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების გამოსაცემად, რაც კარგად ჩანს ვარლამ დონდუასადმი მიწერილი ბარათით: „**დღედაღამე ამ ჩამოტანილი მასალების გამოსაცემად დამზადებისთვის ვმუშაობ. ისედაც საკუთარი კვლევა-ძიებით მოქანცულმა დიდი ზედმეტი და დამძლეული ტვირთი ავიკიდე, მაგრამ ისეთი მშვენიერი ცნობებია, რომ დაქანცულობასაც ყურადღებას არ ვაქცევ და გატაცებით ვმუშაობ. რომ დაიბეჭდება, მაშინ ყველა დარწმუნდება, რამდენად დიდი და საშვილიშვილო საქმე გაკეთდა**“<sup>103</sup>. სამწუხაროდ, მეცნიერმა „მშვენიერი ცნობების“ დაბეჭდვა ვეღარ მოასწრო. შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების დასტამბვა მხოლოდ გვიან მოხერხდა, პირველი ტომი 1976 წელს დაიბეჭდა, ბოლო – 1992 წელს. დაგეგმილი ხუთი ტომის ნაცვლად ცხრა წიგნი დაიბეჭდა (II და III ტომები ორ წიგნად, IV ტომი – სამ წიგნად). სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია გახლდათ. ივანე ჯავახიშვილის მიერ ორგანიზებული ეთნოგრაფიული მასალების დიდი მნიშვნელობის შესახებ ერთი ფაქტის აღნიშვნა მიგვაჩნია საჭიროდ. შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის მასალების პირ-

---

<sup>103</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V, თბ., 1986, გვ. 137.

ველი ტომი დაბეჭდვის შემდეგ, როდესაც მისი ხილვის საშუალება მიეცათ მეზობელი ქვეყნის ეთნოლოგებს, ისინი მხოლოდ იმას აღნიშნავდნენ, რომ რატომ ჩვენი წინა თაობის მეცნიერებს არ მოუვიდათ თავში ასეთი მასალების შეკრების აუცილებლობაო. ქართველთა ნივთიერი კულტურის აღწერა მეცნიერმა იმ დროს მოახდინა, როდესაც მთელი რიგი ეთნოგრაფიული მოვლენები და ხალხური წესები კვლომის პროცესში იყო. ამ მონაცემების შეკრებით ბევრი ქართული ლექსიკური ერთეული, ტერმინი გადაურჩა გაქრობას. აღნიშნული მასალების შეკრებით ივანე ჯავახიშვილს ლინგვისტური ასპექტიც რომ ჰქონდა გათვალისწინებული, ეს მისი მოწაფის, ეთნოგრაფიული მასალების ერთ-ერთი შემქმნელის, ეთნოლოგ *კოტე კახიანის* მოგონებებიდანაც ჩანს: „**დიდმა მეცნიერმა ექსპედიციის წევრებისათვის წაკითხულ მოხსენებაში გულისტკივილით აღნიშნა: დასამალი არ არის, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები განიცდიან ტერმინოლოგიურ სიღარიბეს, ხშირად ტექნიკური დარგის სპეციალისტებმა არ იციან მრავალი უცხო ტერმინის ქართული შესატყვისი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მშენებლობის მდიდარი ტრადიცია არსებობს. ჩვენი სპეციალისტები მაინცდამაინც არაქართულ ტერმინებს ასწავლიან სტუდენტებს. ჩვენი მიზანია ქართულ მეტყველებაში უცხო სიტყვების თვითნებურად ხმარება თავიდან ავიცილოთ, შევისწავლოთ ხალხში არსებული ყველა დარგობრივი ტერმინი და შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურაში გავავრცელოთ**“<sup>104</sup>.

შინამრეწველობის მასალებზე საუბარი აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას სიტყვებით უნდა დავამთავროთ: „ამ მასალის შეგროვების ძირითადი მიზანი იყო ხალხური ემპირიული ცოდნის მდიდარი შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების გამოვლინება და ფიქსაცია შინამრეწველობის ტრადიციული

---

<sup>104</sup> კ. კახიანი. ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი შინამრეწველობის ისტორიის მასალების შეკრების საქმეში (მოგონებები). – მაცნე, ისტორიის... სერია, 1976, №2, გვ. 105.

დარგების მიხედვით, ე. ი. ისეთი მონაცემების დადგენა, რომლებიც გამოავლენდა ქართული ხალხური კულტურის ტრადიციულ ფორმებს მათ ეთნიკურ სპეციფიკაში<sup>105</sup>.

ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის საქართველოს ეკონომიური ისტორიის ორტომეული (სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერს მესამე ტომიც ჰქონია დაწერილი, რომელიც ამ ბოლო დროს მის არქივში აღმოჩნდა), რომელშიც ქვეყნის ნივთიერი კულტურა ეკონომიკურ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია შესწავლილი. მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ფორმებს, მართალია, ის ძირითადად წერილობით ძეგლების საშუალებით შესწავლიდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც. არ დარჩა ამ სფეროს არცერთი საკითხი, რომელსაც მისი კალამი არ შეხებოდა. თუმცა ეკონომიური ისტორიის პირველ ტომს მეცნიერი დემოგრაფიული ძეგლების – ხალხის აღწერის დავთრების დანასიათება-შესწავლით იწყებს. მის მიერ გამოსაცემად მომზადებული ხალხის აღწერის დავთრები დღესაც სამაგიდო წიგნებია ეთნოლოგთათვის, პირველ რიგში იმიტომ, რომ აღწერის დავთრებში კომლის უფროსები გვარსახელით, მამის სახელით და პიროვნული სახელით არიან ჩაწერილი, რაც ქართული ანთროპონიმიული მოდელის შესწავლის საშუალებას გვაძლევს. ეს დავთრები საუკეთესო წყაროა აგრეთვე მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად, მითუმეტეს ეთნოგრაფიულ მასალასთან შედარების შემდეგ, აგრეთვე გვიან შუა საუკუნეების საქართველოს ეთნიკური სურათის წარმოსაჩენად. ამავე დროს მეცნიერმა ამ დავთრების შესწავლის შედეგად ოჯახის შემადგენლობის საკითხებიც გაარკვია: „აღწერაში თვითნებულ კომლთან „თავი“-ს რიცხვია ხოლმე აღნიშნული, მაგრამ სახელი მხოლოდ ერთისა არის ხოლმე დასახელებული, თუნდაც საკომლოში 2, 3, ან მეტი თავიც იყოს. საფიქრებელია, რომ ის ერთი, რომლის სახელიც იხსენიება, საკომლოს უფროსი

---

<sup>105</sup>გ. ჩიბაია. შრომები, ტომი II, გვ. 71.

მამაკაცი უნდა იყოს<sup>106</sup>. მართლაც, ასეთ აღწერის დავთრებს თუ ამ თვალსაზრისით გულისყურით შევისწავლით, გავარკვევთ, რომ საქართველოში დიდ ოჯახად ცხოვრების ტრადიცია იყო და ეთნოგრაფიულ მონაცემებსაც თუ მოვიშველიებთ გაირკვევა, რომ დიდი ოჯახი საქართველოში ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი იყო და არა პირველყოფილობის „გადმონაშთი“, რის გამოც მას „საოჯახო თემიც“ კი უწოდეს.

ეთნოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო საქორწინო ურთიერთობები და მასთან დაკავშირებული ტრადიციებია. ასეთთა შორის მზითვის ინსტიტუტიცაა. „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ ივანე ჯავახიშვილს მზითვის წიგნებიც არ გამოორჩა მხედველობის არედან. ასე რომ, ეთნოლოგები ვინც კი მზითვის საკითხს შეეხო, ამ სფეროში ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწს გვერდს ვერ უვლიდა. მეცნიერის დასკვნა, რომ „ზითვად გატანებული ქონება ქალის პირად საკუთრებას შეადგენდა“, შემდეგდროინდელმა ეთნოლოგიურმა კვლევებმაც დაადასტურა. მზითვის წიგნების განხილვის შედეგად ივანე ჯავახიშვილმა გამოარკვია შუა საუკუნეების საქართველოში რას ატანდნენ მზითვში. ზედაფენისათვის პირველ რიგში ეს იყო „საყდრის იარაღი“ (ხატები და ჯვრები), შემდეგ – „საღმთო წიგნები“, „სათამაშოები“ (ჭადრაკი, ნარდი, გამჭაფა...), „სამკაულნი და საუნჯენი“, „ბეჭდები და საბეჭდავები“, „საპირფარეშოს იარაღები“, „აბანოს იარაღი“, „ტანისამოსი“, „საწოლის მოფენილობა“, „სუფრის იარაღი“, „სამზარეულოს იარაღი“, „სათაფნი“ (რომელმაც ბოლო დრომდე მოაღწია და რომელიც ძირითადად საქონლის ანდა ცხვრისაგან შედგებოდა და ქალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა. როგორც მეცნიერმა გაარკვია სათაფნი ზოგჯერ ფულსაც ატანდნენ). შეუძლებელია არ გავიზიაროთ მეცნიერის დასკვნა, რომ „ზითვის

---

<sup>106</sup>ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1930, გვ. 20.

წიგნის ცნობათა დალაგების წესრიგი მაშინდელი მეურნეობის დანაწილებისა და წესრიგის განჭვრეტის საშუალებასაც გვაძლევს: იქითგან საოჯახო, კერძო მეურნეობის დარგების გამო-რკვევა და ამ მეურნეობის ორგანიზაციის, ნაწილობრივ მაინც, გათვალისწინებაც შეიძლება<sup>107</sup>.

ივანე ჯავახიშვილის ინტერესის სფეროში შედიოდა ქართველთა მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტი როგორცაა სამოსი. ყურადღება მიაქცია საქართველოს სხვადასხვა „თემის“ ხალხური ჩაცმულობის რეგიონალურ თავისებურებებს. თუშეთში შემორჩენილი ქალის თავსაბურავის ანალოგია IX საუკუნის საქართველოს კედლის მხატვრობაში შეამჩნია. შორს მიმავალი დასკვნები გამოჰქონდა ხევსურული ტალავარის შესახებ და მას ქართულ-კავკასიურ ეთნოკულტურულ წრეში წარმოშობილად მიიჩნევდა<sup>108</sup>.

განუსაზღვრელია ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის, განსაკუთრებით სამიწათმოქმედო კულტურის შესწავლის საქმეში. გამოავლინა ის მდიდარი ტერმინოლოგია, რაც ამ სფეროში ქართველ ხალხს ჰქონდა შექმნილი: „იმისდა მიხედვითაც, თუ მეურნეობის რომელი დარგისათვის იყო მიწა ბუნებითა, თუ მდებარეობით, ან და ნიადაგის თვისებით შესაფერისი და განკუთვნილი, თვითეულს თავისი აღმნიშნელი ტერმინი ჰქონდა“<sup>109</sup>. ეს ტერმინები კი გახლდათ: *სახნავი, უხნავი, საყანური, სათესველი, ყანა, სამტილე, საძოვარი, სათიბელი/სათიბი, სარწყავი, ურწყავი...* სრულიად სამართლიანად დიფერენცირებულად უდგებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო ყოფას: „საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი

---

<sup>107</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 109.

<sup>108</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 109.

<sup>109</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 137.

და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგი იყო. ნოტიობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო, ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმ. საქართველოს ნიადაგისა და ჰავის შედარებითი სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული“<sup>110</sup>.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს სამიწათმოქმედო იარაღების და ინვენტარის მეცნიერულ შესწავლაში, პირველ რიგში ეს სახვნელის/გუთნის შესახებ უნდა ითქვას. სახვნელის შესწავლაში ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფიულ მასალას, კონკრეტულად გიორგი ჩიტაიას გამოკვლევას. მის ინფორმატორთაგან კი შეიძლება დავასახელოთ *იროდიონ სონლულაშვილი*, *ნიკო კეცხოველი* და *კონსტანტინე გამსახურდია*. ამ სფეროში გიორგი ჩიტაიას მიერ შექმნილ ნაშრომს ივანე ჯავახიშვილი საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა. სახვნელების შესახებ მეცნიერის ზოგიერთ მოსაზრება ასეთია: „საბედნიეროდ ამ საკითხის გამორკვევის საშუალებას თანამედროვე ეთნოგრაფიული მასალებისა და აღწერილობის ისტორიულ წყაროთა ცნობების ერთად შესწავლა გვაძლევს. ამიტომ სახვნელი იარაღის საქართველოში თანდათან გაუმჯობესების საკითხის გასარკვევად, თანამედროვე ეთნოგრაფიული ფაქტების ცოდნა და გათვალისწინებაცაა აუცილებელი“<sup>111</sup>.

„საქართველოს ნიადაგის ზემოაღნიშნულმა მრავალგვარობამ და ბუნების მრავალფეროვნებამ სხვადასხვა სირთულისა და სიძიძის სახნავი იარაღი მას შემდგომაც, რაც ახალი, გაუმჯობესებული სახეობა გაჩნდა, არამცთუ ზედმეტად არ აქცია, არამედ სათანადო პირობებში მაინც აუცილებელი გახდა.

---

<sup>110</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 148.

<sup>111</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 176.

ამის წყალობით ერთსა-და-იმავე თემში, ზოგჯერ ერთისა-და-იმავე მეურნისათვის ორი და რამდენიმე განსხვავებული სახეობის სახენელი იყო ხოლმე საჭირო. ამიტომ ცხოვრების სინამდვილემ ქართველ ხალხს სახენელის განვითარებისა და გაუმჯობესების სხვადასხვა საფეხურის გამოძახებელი და სხვადასხვა სირთულის მქონებული სახეობა დღევანდლამდეც კი შეუნარჩუნა. ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმადად აქცია და სასოფლო მეურნეობის კულტურის მკვლევარს დაკვირვებისა და შესწავლის საუცხოვო ასპარეზი შეუქმნა<sup>112</sup>. როდესაც ქართული სახენელი იარაღების შესახებ მეცნიერი ასეთ დასკვნას აკეთებდა, მას ევროპის და კავკასიელების სხვა ხალხების სახენელი იარაღების კარგი ცოდნაც აძლევდა ამის საფუძველს. ოსური სახენელის შესახებ კი აღნიშნავდა: „გუთნის ნაწილების სახელები ოსურში მომეტებულად ქართულითგან არის ნასესხები: მაგ. ხმალა, კბილა, მანჭი, სახელური, ფრთა, კაკაბი, ღერძი, ღირღიტი (ჰნიშნავს ფამფალაკს), შოლტყავა (იმავე შოლტას ქართული პარალ. ფორმა) და სხვა“<sup>113</sup>. მანვე ისიც გაარკვია, რომ „ჯავახელ სომხებს არონა ქართულითგან აქვთ მე-XIX ს-ში შეთვისებული“<sup>114</sup>. აგრეთვე, დაღეთელ სომხებს ქართული „კაკაბი“-ც შეუთვისებიათ „კაკავ“-ის სახით.

დიდა ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი სახენელი იარაღების, მისი სხვადასხვა ნაწილების სახელწოდებების გამოვლინებაში. აქ მხოლოდ მათი ჩამოთვლით შემოვიფარგლებით: *ერქვანი, გუთანი, ოქოქა, აჩაჩა, არონა, ჯილალა/აჯილალა, ავაფა/ოვაფა, ჩუთი, კავი, სახნისი, საკვეთელი, ხმალი, ფრთა, ფამფალაკი, გოგორები (ველის გოგორა, კვალის გოგორა), ღირ-*

<sup>112</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 174.

<sup>113</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, თბ., გვ. 235.

<sup>114</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 246.

ლიტა (=მცირე გოგორა), კაკაბი, მანჭი, ხელკავი, ხელნა, შოლტაი... „ფრიად საყურადღებო და საგულისხმოა ამ მესხეთის სახენელის (საუბარია ჯილღაზე – რ. თ.), ამ არუნას საზიდავი. იგი შოლტიანს ღერძ-გოგორებს წარმოადგენს, სახელდობრ, ღერძის შუა ნაწილზე დამაგრებული აქვს „შოლტა“. ამ შოლტას წინ უღელი აქვს დამაგრებული საქონლის შესაბამელად და ღერძ-გოგორებისა და მათზე გადაბმული სახენელის წარსაზიდავად“<sup>115</sup>. ამ ციტატის მოყვანა იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ, რომ სამხრეთ საქართველოში გავრცელებული სახენელის ერთ-ერთი ნაწილის სახელწოდება იყო „შოლტა“, რაც იმერხევის ერთი სოფლის – შოლტისხევის – ეტიმოლოგიზირების საშუალებას იძლევა. შოლტისხევი, როგორც ჩანს, სოფელს იმიტომ შეერქვა, რომ მისი მკვიდრნი შოლტების კეთებაში იყვნენ დახელოვნებულნი (სხვათა შორის, შოლტები ერქვა აგრეთვე ტყავის გრძელ ნაჭრებს, რისგანაც ქალამნებს ასხამდნენ).

აქ სფეროში ივანე ჯავახიშვილის ნაღვაწი ყველაზე საუკეთესოდ აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ შეაფასა. ის აღნიშნავდა: „კულტურის ელემენტების ასეთი თვალსაზრისით შეფასება ერთ-ერთი შესანიშნავი მონაპოვარია ივ. ჯავახიშვილის ეთნოგრაფიულ შტუდიებში საერთოდ“<sup>116</sup>.

ივანე ჯავახიშვილს ყურადღების არედან არ დარჩენია ქართველი ხალხის სოფლის მეურნეობის სხვა დარგებიც, მაგრამ განსაკუთრებულად ვრცლად გამოიკვლია მევენახეობა-მელვინეობა. მევენახეობა-მელვინეობა ბარის კულტურა იყო და როდესაც ის ამ საკითხს განიხილავს, პირველ რიგში, *კახუმტი ბაგრატიონის* კონცეფციას მიმართავს, რომელიც მთისა და ბარის გამმიჯვნელად ვაზის კულტურის გავრცელება-არგავრცელება მიაჩნდა: „ვახუმტის თხზულებითგან ჩანს, რომ უძველესი დროითგან საქართველოში მიღებული ქვეყნის ორად და-

---

<sup>115</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 187.

<sup>116</sup> გ. ჩიტაია. შრომები, ტომი II, გვ. 84.



ნაწილება, ბარად და მთად, გეოგრაფიულ თვისებებთან ერთად, იმავე დროს ორ ბოტანიკურ და სასოფლო-სამეურნეო ზოლად გაყოფასაც გულისხმობდა. მთის ზოლის თვისებას ამ მხრივ უკენახობა, უხილობა და მარცვლეულის მოსავლის სიმცირე წარმოადგენდა, ბარის ზოლისას-კი სწორედ ვენახიანობა, ხილიანობა და „მოსავლიანობა“<sup>117</sup>. სხვათა შორის, ივანე ჯავახიშვილმა ვახუშტის კონცეფცია არა მხოლოდ გამოიყენა საქართველოს ისტორიისა და ქართული ხალხური კულტურის მთელი რიგი საკითხების ასახსნელად, არამედ განავითარა კიდევაც, რაც სათანადოდ არის კიდევაც დაფიქსირებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში: „ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ, რომელმაც სათანადო გეოკლიმატური და ეკოლოგიური მონაცემების მიმოხილვითა და ანალიზით თანამიმდევრულად გამოიკვლია მეურნეობის უმთავარესი დარგების, კერძოდ მევენახეობა-მელვინეობის ზონალური ხასიათი და მისი ეთნოგრაფიული თავისებურებები ბარისა და მთის ვერტიკალურ-ზონალურ ჭრილში წარმოაჩინა“<sup>118</sup>.

მანამ, სანამ მევენახეობა-მელვინეობის ისტორიის შესახებ ივანე ჯავახიშვილის ნაკვლევს შევეხებით, მოკლედ უნდა აღვნიშნოთ ის, რომ მისი სამართლიანი დაკვირვებით, ქართველების მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა რა მიწათმოქმედება, ეთნოსის ძირითადი საკვებიც სამიწათმოქმედო კულტურები იყო, ოღონდ აღმოსავლეთ საქართველოში ხორბალი და დასავლეთ საქართველოში – ღომი („იქაურნი „გამოიზამთრებიან ღომით““), რომელსაც გვიან სიმინდი ჩაენაცვლა. ის წერდა: „იმის გასათვალისწინებლად, თუ რომელი მარცვლეული ჰქონდა ჩვენ ერს თავის უმთავარეს საზრდოდ მიჩნეული, შესაძლებელია ჭამისა და პურის აღსანიშნავად განკუთვნილი

---

<sup>117</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, 206.

<sup>118</sup> ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი. საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 2009, გვ. 434.

ტერმინების ანალიზიც იყოს გამოყენებული. ყოველ ქართველს ეხლაც კარგად მოეხსენება, რომ ჭამა ჩვენ ხალხს პურის ჭამად აქვს მიჩნეული. უკვე იაკობ ხუცესვე ამ ცნების გამოსახატავად ტერმინად „პურის-ჭამა“ და „უამი პურისად“ აქვს ნახმარი. შემდეგშიც, თვით მე-XII ს-შიც-კი ამისთვის „პურობა“-სა ჰხმარობდნენ<sup>119</sup>.

ახლა ისევ მევენახეობა-მელვინეობის შესახებ, რომლის შესასწავლადაც, წერილობით მონაცემებთან ერთად, ფართოდ გამოიყენა ეთნოგრაფიული მონაცემები, გამოავლინა მანამდე უცნობი ვაზის ჯიშები, ვაზის მოვლა-მოშენების ტრადიციული წესები, დარგთან დაკავშირებული იარაღი და ინვენტარი, ღვინის დაყენების, მოვლისა და მოხმარების პროცესები, ღვინის ადგილი და როლი ქართველი კაცის ცხოვრებაში. ივანე ჯავახიშვილმა დაადასტურა, რომ მეურნეობის აღნიშნული დარგი ქართველი ხალხის არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ სოციალურ ურთიერთობათა განმსაზღვრელიც იყო. ღვინო იყო მოსალხენი და ძირითადი სარიტუალო საშუალება, მასზე იყო დამოკიდებული მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკა, რომ შუა საუკუნეებში იყო მთავარი საექსპორტო საგანი. მეცნიერმა ქართული მევენახეობა და მელვინეობა ტერიტორიული პრინციპით შეისწავლა, ცალ-ცალკე გამოავლინა თითოეული თემისათვის (ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისათვის) დამახასიათებელი ჯიშები, მათი რაოდენობა და ქართველი კაცის დიდი შემოქმედებითი უნარი მეურნეობის ამ დარგში. „მევენახეობის ინტენსივობის ერთ-ერთ გამომჟღავნებელ გარემოებათაგან, ცხადია, ყურძნის ჯიშების სიმრავლეც უნდა იქმნეს მიჩნეული, რასაკვირველია, რამდენადაც ამით ახალი, წინანდელზე უმჯობესი, ან და რომელიმე მანამდე უცნობი თვისების მქონელები ჯიშების ძიებისა და შექმნის ფაქტი უცილობლად მტკიცდება. გამოავლინა 420-ზე მეტი ვაზის ჯიში, რომელთა

---

<sup>119</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 417.

რაოდენობა შემდეგდროინდელი გამოკვლევებით 500-მდე გაიზარდა. მაგრამ ეს რაოდენობა დღეს რამდენიმე ათეულით კიდევ იზრდება, რადგან ბოლო დრომდე ტაო-კლარჯეთში გავრცელებული ვაზის ჯიშების შესახებ მკვლევარებს სრულყოფილი ინფორმაცია არ ჰქონდათ.

როგორც ყოველთვის, მევენახეობა-მელვინეობის შესწავლის დროსაც, ივანე ჯავახიშვილი შედარებით მეთოდს იყენებდა. ამჯერად ქართული მევენახეობა-მელვინეობა სომხურს შეუდარა. ის წერდა: „თანამედროვე საქართველოში ვაზი, ან დაბლარად არის დაყენებული და ასარული, ან მაღლარად, ხეზეა გაშვებული. ასევე ყოფილა ძველადაც, რათგან, ჩვენი სამშობლოს ჰავის პირობების გამო, მევენახეობის მხოლოდ ასეთი წესია შესაძლებელი. სულ **სხვანაირი მევენახეობაა სომხეთში, მაგ. ერევნის სანახებში: იქ არც მაღლარი მოიპოვება, არც ასარული ვაზი, ანუ დაბლარი, არამედ ვაზები უსარ-უსაყრდენებო დაბალ ბუჩქად აქვთ გაშვებული**, რის გამო ვაზის მტევნიანი ტოტები მიწაზეა დახრილი და განრთხმული“<sup>120</sup>. თანამედროვე ეთნოლოგიური მეცნიერების ტერმინები რომ გამოვიყენოთ, ივანე ჯავახიშვილმა მევენახეობის შესწავლით დაასაბუთა, რომ ქართველი კაცი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აყალიბებდა და ხვეწდა ტრადიციებს, სრულ სიმბიოზში იყო იმ ლანდშაფტთან, რომელიც მას ეკუთვნოდა და რომელშიც მას უხდებოდა მოღვაწეობა.

მევენახეობასთან დაკავშირებით შეუძლებელია კიდევ ერთ საკითხზე არ შევჩერდეთ. ცნობილია, რომ მეცნიერთაგან მეურნეობის ოთხი ფორმაა გამოყოფილი: *პრიმიტიული, ექსტენსიური, გარდამავალი და ინტენსიური*. შუა საუკუნეების ქართული მეურნეობის ფორმა ექსტენსიურადაა მიჩნეული. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი დაბლარ მევენახეობას ინტენსიურ მეურნეობად მიიჩნევს: „თვით ქართველი მიწისმოქმედისავე შეფასებით **დაბლარი მევენახეობის ინტენსიური კულტურაა, მაღ-**

---

<sup>120</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1934, გვ. 311.

**ლარი კი ექსტენსიური**<sup>121</sup>. ივანე ჯავახიშვილს მევენახეობის სკრუპულოზურმა კვლევამ იმის საშუალებაც მისცა, რომ საქართველოში შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრიც გამოველინებინა: „კახეთსა და ეგრისს დანარჩენ თემებზე მეტი ჯიშები მიეკუთვნება, უკანასკნელი რიცხობრივადაც პირველს დიდად არ ჩამოუვარდება, ქართლს ოდნავ ნაკლები შეუქმნია, მაგრამ **იმ დროს, როდესაც კახეთის ჯიშთა უმეტესობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და ზოგად ჯიშადაც იქცა, ქართლის ჯიშების უმეტესობა ქართლს არა სცილდება, იმერეთისა და ეგრისის ჯიშების არეც მხოლოდ ერთი-ორი თემის ფართობით განისაზღვრება.** თუ მკვლევარი ამ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას გაითვალისწინებს, მაშინ უცილობელი შეიქმნება, რომ **სრულიად საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი კახეთი ყოფილა, დას. საქართველოში-კი პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არგვეთს და მესამე ჭანეთს ეკუთვნის**“<sup>122</sup>. და კიდევ ერთი: მეცნიერმა დაადასტურა, რომ ქართული მევენახეობის გავლენა აშკარა იყო მეზობელ კავკასიის ქვეყნებზე და უფრო შორსაც.

ივანე ჯავახიშვილმა ისიც დაადგინა, რომ საქართველოში მელვინეობას იქაც კი მისდევდნენ, სადაც ვაზი არ ხარობდა და მევენახეობა შეუძლებელი იყო. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებდა. მიუთითებს რა ბატონიშვილს, ის წერს: „იმისდა მიუხედავად, რომ თრიალეთი უვენახო თემი იყო, მელვინეობა იქაც ყოფილა. ვახუშტის სიტყვით, თრიალეთის მცხოვრებნი „ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა“ ქვევრებში და „დაღვების ღვინო კარგი და „კეთილგემოიანი“-ო“<sup>123</sup>. მეურნეობის ეს ფორმა შემდეგდროინდელმა ეთნოგრა-

---

<sup>121</sup>ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 334.

<sup>122</sup>ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 596.

<sup>123</sup>ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი V, თბ., 1986, გვ. 671.

ფიულმა მონაცემებმაც დაადასტურა, მაგალითად, ფშავლებს მეფეთაგან ბოძებული ვენახები ჰქონდათ ძირითადად კახეთში, მთიულებს – ქართლში, სვანებს – რაჭასა და ლეჩხუმში. ეს კი ფაქტობრივად მთისა და ბარის ურთიერთობის, საქართველოს სხვადასხვა თემებს/ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს შორის სამეურნეო-კულტურული ურთიერთობის დამადასტურებელი ფაქტია.

აქ კი უშუალოდ მივაღიქით კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელზედაც ასევე ყურადღება ღიძმა მეცნიერმა გაამახვილა და ამ პრობლემას გამოკვლევა უძღვნა ეთნოლოგმა *მიხეილ გეგეშიძემ*, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს: „აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ“<sup>124</sup>. მიხეილ გეგეშიძე აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ქვეყნის ბუნება და ხალხის ისტორია ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო, განუყრელ კავშირში წარმოედგინა“<sup>125</sup>.

ჯერ კიდევ 1919 წელს საქართველოს საზღვრების შესახებ დაწერილ წიგნში შემდეგი დებულება წამოაყენა: „**საქართველოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული**“. ეს დებულება შემდგომში საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კვლევის საყრდენადაც აქცია და რაც, მ. გეგეშიძის სამართლიანი აღნიშვნით, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ საფუძვლადაც აღიარა. ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ სინამდვილეში

---

<sup>124</sup>მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ. – მაცნე, ისტორიის... სერია, 1973, №2, გვ.32-55.

<sup>125</sup>მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ, გვ. 34.

არსებული ეს რეალობა ქართული ეთნოსის აღნიშნულ ტერიტორიულ ერთეულზე (მტკვრის, რიონის და ჭოროხის აუზები) მკვიდრობის და ამ ეთნოსის ერთობისა და სიმტკიცის საფუძველიც იყო.

ამონარიდი ივანე ჯავახიშვილის ნაშრომიდან: „განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდათ და არც შეიძლება ჰქონოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრით, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქრთილეულის ის სიუხვე უნდა შვეშურებოდათ, რომელიც საქართველოს მალეობ თემებს გააჩნდათ.

ამას გარდა, წვრილფეხა საქონელს მალეობი ადგილების სუსხიანი ზამთრისა და თოვლიანი, უბალახო პირობების ატანა არ შეეძლო. ამიტომ მესაქნეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დასტოვებდა. მას თავისი საქონლისათვის ბარის თბილი და ზამთრის საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. თავის მხრით ბარის მცხოვრებსაც საკუთარი წვრილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რათგან ცხვარს არც იქაური სიცხის ატანა შეეძლო და არც საკმაო საძოვარი ექნებოდა. ამის გამო ბარელს ზაფხულში თავისი ცხვრის ფარა უნდა მალეობ, გრილოსა და კარგ-საძოვრიან თემში წაესხა, რომ იქ გამოეკვება.

ამგვარად, ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმაც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მალეობი თემების ყველა, მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმარ-

თებოდა. ამიტომაც გასაკვირველიც არაფერია, თუ ამ გეო-ბოტანიკური და ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით, ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნიადაგზე, უპირატესად სწორედ მესხეთი და ქართლი, ვითარცა მტკვრის აუზის ასპარეზი და ბარისა და მთის ურთიერთ ნაკლულეგანების ჰარმონიულად შემავსებელი არეები, ჩამონაკვთნენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქცნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველოც გაერთიანდა“<sup>126</sup>.

ივანე ჯავახიშვილის ეს კონცეფცია გვიანდელი ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება. ყველაფერს რომ თავი დაევანებოთ, ბახტრიონის ეპოპიაც და კახეთის ეთნიკურად გადარჩენაც სწორედ აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა, რადგან ქართველი მთიელები საუკუნეების განმავლობაში მათ საკუთრებაში არსებულ საძოვრებს კარგავდნენ. ამავე ფაქტორით იყო განპირობებული ქართლის ცენტრობა, რომლის გარშემო საქართველოს სხვადასხვა თემების წარმომადგენლები მის გარშემო ერთიანდებოდნენ და საქართველოს განაპირა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები ქართლისაკენ მოიწევდნენ და საქართველოს გაერთიანების ინიციატორად გამოდიოდნენ ცენტრით ქართლში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები თურქეთის შემადგენლობაში შემავალ ქართულ თემებში მოპოვებული ახალი ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, მაგალითად, შავშეთ-იმერხეველები სათიბად კოლა-არტაანში დაიარებოდნენ, თან გასაყიდად ხილი მიჰქონდათ. უკან დაბრუნებულებს კი – მატყლი (შავშეთ-იმერხევის ლანდშაფტი მეცხვარეობის განვითარების საშუალებას არ იძლეოდა) მოჰქონდათ, რისგანაც სადმოსს ქსოვდნენ.

„როგორც საერთოდ დღეს აღიარებულია, სამეურნეო კავშირები და სამეურნეო ცხოვრების ერთობა ყველაზე საიმედო დასაყრდენია მყარი ტერიტორიული ერთობისა. საქართველოს

---

<sup>126</sup> ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 316-317.

როულ ისტორიაში ეს მიგნება ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, ისე როგორც ის, რომ ქართველი ხალხი – მისი გაგებით ერთი სამეურნეო ერთეულია<sup>127</sup>. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მ. გეგეშიძე ლოგიკურად ასკვნია: „ამ ფონზე ჩვენ ერთგვარად გაუგებრად და გაუძარტლებლად გვეჩვენება ერთი ახლანდელი დებულება, რომლის თანახმად თითქოს XI-XIII სს. მოხდა ქართველთა „ეთნიკური კონსოლიდაცია“. აქ ბუნებრივია ისმის კითხვა – ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ საერთო წარმოშობის, ერთი ენის, ისტორიულად შინაგანი სამეურნეო-კულტურული და ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის მქონე ხალხს, ე. ი. ერთ ეთნოსს რაღა ეთნიკური კონსოლიდაცია სჭირდებოდა. ამრიგად, აქ არა მარტო ქრონოლოგიური უზუსტობაა, უხეიროა თვით გამოთქმა „ეთნიკური კონსოლიდაცია“, რაც შეიძლება შეცდომის წყაროდაც იქცეს“<sup>128</sup>. ქართველი ერის ისტორიულ ინტეგრაციასა და კონსოლიდაციაში ივანე ჯავახიშვილის დასახელებული ფაქტორები დიდ მიგნებად შეიძლება მივიჩნიოთ. ოღონდ აქ კიდევ ერთი ფაქტორის – რელიგიურის (მართლმადიდებლობის) – გათვალისწინებაც აუცილებელია. კიდევ ერთი გარემოების შესახებ: ივანე ჯავახიშვილის კონცეფცია საქართველოს მთლიანი სამეურნეო ერთეულის და შინაგანი ისტორიული კავშირ-ურთიერთობების შესახებ ეწინააღმდეგება შეხედულებას საქართველოს ცალკე კუთხეთა ისტორიული კარჩაკეტილობის საკითხზე, რომელსაც კონკრეტული დასაყრდენი მასალა არ გააჩნია და მცდარია<sup>129</sup>.

---

<sup>127</sup>მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირ-ურთიერთობის შესახებ, გვ. 46.

<sup>128</sup>მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირ-ურთიერთობის შესახებ, 48.

<sup>129</sup>მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირ-ურთიერთობის შესახებ, გვ. 55. საქართველოს მხარეების შინაგანი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის შესახებ ივანე ჯავახიშვილის ანალოგიური შეხედულება იმავე პერიოდში (1918 წ.) აქვს გამოთქმული პავლე ინგოროყვას. განიხილავდა რა ქართველთა განსახლების არეალს და საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს, ის



ივანე ჯავახიშვილმა დიდ ადგილი დაუთმო ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობის, რწმენა-წარმოდგენების კვლევას. ამ მხრივაც ის წერილობით ძეგლებთან ერთად ფართოდ იყენებდა ეთნოგრაფიულ მონაცემებს. მას ეკუთვნის კონცეფცია ქართული წარმართობისა და ძველი ქართული ღვთაებების პანთეონის შესახებ. გიორგი ჩიტაიას სიტყვებით, „თავისი უტყუარი ალლოთი და გამჭრიახობით მან შესანიშნავად აღადგინა ქართული წარმართული პანთეონი“<sup>130</sup>. ირკვევა, რომ ქართველთა წარმართული პანთეონითა და უძველესი რწმენა-წარმოდგენებით მეცნიერის დაინტერესება ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ იმდროინდელი მეცნიერები (*მ. კოვალევსკი, კ. ინოსტრანცევი, ნ. მარი*) ქართველთა სულიერი კულტურის ამ სფეროს ირანიზმებისა და არაბიზმების საფუძველზე ხსნიდნენ. „საჭირო იყო ეროვნული ნიადაგის დაძებნა და მასზე დაყრდნობით წარმართული პანთეონის აღდგენა“<sup>131</sup>. ივანე ჯავახიშვილმა მიზნად დაისახა ქართველთა უზენაესი

---

წერდა: „საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნაზე – წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიურ მთლიანობას. ამ ტოპოგრაფიულ ზღუდეებში მოქცეული მხარე არის ერთი ქვეყანა, ერთი ბუნებრივი, ორგანულად მთლიანი სამეურნეო-ეკონომიკური პროვინცია. თვითეული მხარე ამ ქვეყნისა მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან, და ამევე დროს მეზობელ ქვეყნებიდან მოწყვეტილი ბუნებრივი ზღუდეებით, და ამიტომაც არც ერთ კუთხეს საქართველოსას არ შეუძლია ეკონომიური არსებობა მთლიან საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც – თითონ გეოგრაფიული პირობებისა გამო – ყველა არტერიებით გადაბმულია მრთელთან, – ეს იქნებოდა ერთი ორგანული სამეურნეო ეკონომიური სხეულის დასახინჩრება. და თავისთავად შემთხვევითი როდია ისტორიული გაერთიანება საქართველოსი ერთ კოლექტივად ზემოხსენებულ ბუნებრივ საზღვრებში: ისტორიას აქ ჰქმნიდა გეოგრაფიის ლოდიკა; ისტორიას გენეტიური კავშირი ჰქონდა საქართველოს ორგანიულ ეკონომიურსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან“.

– პ. ინგოროვცა. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1998, გვ. 4.

<sup>130</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტომი II, გვ. 72.

<sup>131</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტომი II, გვ. 72.

ღვთაების გარკვევა. საამისოდ ბევრ სხვა მასალასთან ერთად გამოიყენა ჯავახეთის სოფელ ბარალეთში ჩაწერილი თქმულება „იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმიდა გიორგი“. სახალხო თქმულებების შესწავლით, დღეობებსა და ხატობებზე დაკვირვებით ივანე ჯავახიშვილმა ცხადჰყო, რომ „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმიდა გიორგის ძველი წარმართობისდროინდელი, ქართველების მთავარი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია“<sup>132</sup>, რითაც იყო განსაზღვრული წმიდა გიორგის ადგილი ქართულ ქრისტიანობაში. მისივე დასკვნით, სარწმუნოებრივ წარმოდგენაში უფროსობითა და ძლიერებით მეორე იყო ღმერთ-შემოქმედი, მესამე – ელია. „ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორი ოსტატობით გამოიყენა ივ. ჯავახიშვილმა ხალხში შემონახული თეთრი გიორგის კულტი ქართველთა ძველი რელიგიური მსოფლმხედველობის, მნათობთა თაყვანისცემის დასადგენად“<sup>133</sup>. აქვე შეუძლებელია არ ითქვას იმის შესახებაც, რომ ვერა ბარდაველიძის აზრით, ივანე ჯავახიშვილის მიერ დადგენილი ძველი ქართული წარმართული პანთეონი შესატყვისება ქართული წარმართული პანთეონის არა უძველეს, არამედ ყველაზე გვიან საფეხურს, განვითარებული კლასობრივი საზოგადოების რელიგიას<sup>134</sup>. საყურადღებოა მეცნიერის დაკვირვება ღვთაება *კვირიას* შესახებაც, რომელიც განაყოფიერებისა და შვილერების მფარველ ღვთაებად მიიჩნია<sup>135</sup>. დავსძენთ, რომ აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობისას ივანე ჯავახიშვილი ფართოდ იყენებდა ინფორმატორთაგან მოწოდებულ ეთნოგრაფიულ მასალებს, ხოლო ეთნოლოგთაგან *ვერა ბარდაველიძის*, *სერგი მაკალათიას* სამეცნიერო ნაშრომებს. გა-

<sup>132</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 50.

<sup>133</sup> გ. ჩიჭაია. შრომები, ტომი II, გვ. 72.

<sup>134</sup> გ. ჩიჭაია. შრომები, ტომი II, გვ. 72-73; В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, с.113.

<sup>135</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 62-76.

ნსაკუთრებით სარგებლობდა საქართველოს მთიანეთის (ფშავი, ხევსურეთი, სვანეთი) ეთნოგრაფიული მასალებით.

ქართველთა წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენების შესახებ როცა მსჯელობდა, ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო გამოერკვია რა იყო უძველესი – ქართული და შემდეგდროინდელი, სხვათაგან შეთვისებული. მის მიზანს ისიც წარმოადგენდა განესაზღვრა საერთოქართული და სხვადასხვა თემებისათვის დამახასიათებელი მოვლენები. ამ მხრივ კი მას ასეთი დასკვნა აქვს მიღებული: „ყველა ზემოდასახელებული გარემოების გამომჟღავნების შემდგომ ცხადი შეიქმნა, რომ **ოღესღაც ქართველ ტომებს სათავისო სათემო ღვთაებათა გარდა ყველასათვის საერთო რწმენაც ჰქონდათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა**“<sup>136</sup>. მეცნიერი ვრცლად შეჩერდა „მნათობ-ღვთაებათა შეიდეულზე“ (რომლებსაც ქართული წარმართული პანთეონის უფროს ღვთაებებად მიჩნევდა). დასასრულს უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ივანე ჯავახიშვილს თავისი ნაღვაწი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნდა: „როდესაც საქართველოში ღღეთა შეიდეულის სისტემა იქმნებოდა და ჩამოყალიბდა, რასაკვირველია ქართული წარმართული სახელებისათვის ბერძნულ შესატყვისობათა მოძებნის დროს შესაძლებელია ზოგი რამ შეიცვალა, შესატყვისობაც აქა-იქ უფრო ხელოვნურად ვიდრე ბუნებრივად იქმნა მოპოვებული, მაგრამ **ყველა ასეთი საკითხების განხილვა-გამორკვევა მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი, როდესაც ქართული წარმართობის შესახებ ახალი ცნობები აღმოჩნდება**“.

ღიახ, ღიღი მეცნიერი მომავალ თაობას ასპარეზისაკენ მოუწოდებდა. მართლაც, მას შემდეგ წინარექრისტიანული რწმენა-წარმოდგენების შესახებ ბევრი ეთნოგრაფიული მასალა გამომჟღავნდა, სამეცნიერო ნაშრომების შეიქმნა და ეს პრობლემა უღაგოდ ხელახლა გააზრებას საჭიროებს.

---

<sup>136</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. გვ. 115.

ივანე ჯავახიშვილის კალამი ქართველთა სოციალური ურთიერთობის პრობლემებსაც შეეხო, კონკრეტულად ისეთ საკითხებს, როგორცაა გვარი, ოჯახი, ქორწინება. სრულიად სამართლიანად შენიშნა რომ ერთი წინაპრიდან მომდინარე ნათესავების აღმნიშვნელი ტერმინი თავდაპირველად იყო არა გვარი, არამედ *სახლი*, რომ თავდაპირველად ქართული სოფლები ერთი სახლით/გვარით იყო დასახლებული, რომლებიც სხვადასვა თემში/ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში გვიანობამდე შემორჩა, რომ ამას ადასტურებს საქართველოს თითქმის ყველა მხარეში შემორჩენილი სოფლის სახელები, რომლებიც გვარის სახელის აღმნიშვნელი არიან<sup>137</sup>. საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით ისიც გაარკვია, რომ გვიან შუა საუკუნეებში ხშირი იყო სხვადასვა ოჯახების ერთ, დიდ ოჯახებად შეყრა და რომ პატარა ოჯახების დიდ ოჯახებად გაერთიანება ხდებოდა არა მხოლოდ ნათესავებისა (ძმები, ბიძაშვილები, ერთი გვარისანი), არამედ არანათესავებისაც<sup>138</sup>. მიზეზი ერთ ოჯახად შეყრისა კი ცხოვრების პირობებით იყო ნაკარნახევი („საერთო კეთილდღეობის გულისათვის ერთ ოჯახად შევიყარენით“).

„ქართული სამართლის ისტორიაში“ ცალკე მონაკვეთი მიუძღვნა საქართველოში ქორწინებისა და ცოლქმრობის წესებს, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობას, **დაადგინა, რომ ძველქართული ქორწინების ტრადიცია ეგზოგამიური იყო**, რამაც მყარად დღემდე შემოინახა თავი და, რომ ეგზოგამიურობის ტრადიცია მხოლოდ ზედაფენებში ირღვეოდა<sup>139</sup>.

ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა ქართველთა წარმომავლობის პრობლემებსაც ეხება. შეუძლებლად მიიჩნევდა მხოლოდ ენათმეცნიერული და ეთნოგრაფიული მონაცემებით ამ საკითხის გადაჭრას. საამისოდ აღნიშნავდა, რომ

---

<sup>137</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, თბ., 1982, გვ. 136-140.

<sup>138</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტომი VI, გვ. 140-144.

<sup>139</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტომი VI, გვ. 144-154.

აუცილებელი იყო ძველი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების გამოყენება. არ იზიარებდა ლეონტი მროველისეულ კონცეფციას ქართველთა და კავკასიის სხვა ხალხების ეპონიმების შესახებ. მეცნიერის თვალსაზრისით ქართველები სამხრეთიდან იყვნენ მოსული. შემდეგდროინდელმა გამოკვლევებმა, რომლებიც სხვადასხვა მეცნიერებაში ახალი მონაცემების გამოვლენას ეყრდნობოდა, ეს შეხედულება უარყო, რომლის მიხედვითაც ქართველთა ეთნოგენეზი ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა. სხვათა შორის, იმ პერიოდში, როდესაც ეს შეხედულება ყალიბდებოდა მეცნიერებაში ძალიან პოპულარული იყო „წინარესამშობლოს“ ძიება და „მიგრაციული“ თეორია. მეცნიერები ცდილობდნენ ყველა ეთნოსისათვის „წინარესამშობლო“ მოეძებნათ. ქართველებისათვისაც გამოიძებნა „წინარესამშობლო“ და ისინიც სამხრეთიდან მოსულებად გამოცხადდნენ (თუმცა, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილმა აზრი ქართველების სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში შეცვალა<sup>140</sup>). როგორც აღვნიშნეთ, შემდეგ ეს შეხედულება გადაისინჯა. თუმცა გამორიცხული არაა ქართველთა მონათესავე ეთნოსების უფრო სამხრეთით მკვიდრობა, მაგრამ დასადგენია, ეს ქართველების მიგრაცია იყო, თუ პროტოქართველებისა. ფაქტია, რომ ისტორიისათვის ხელშესახებ პერიოდში ქართველები სამხრეთ კავკასიის დიდი ხნის მკვიდრნი იყვნენ<sup>141</sup>. ასე რომ, ეს ურთულესი პრობლემა კვლავ გადაწყვეტის, ახალი მასალებისა და მეცნიერული ფაქტების წარმოჩენის მოლოდინშია. ერთი კია, ამ ურთულეს პრობლემას შეჭიდებული მეცნიერი გვერდს ვერ აუვლის ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას.

---

<sup>140</sup>გ. ლომთათიძე. ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. – მიმოხილველი, II, 1951.

<sup>141</sup>რ. თოფჩიშვილი. ეთნოგენეზის პროცესისა და ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ. – საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 2012, გვ. 40-41.

ივანე ჯავახიშვილმა თავის ნაშრომებში აჩვენა, რომ ქართული ეთნოსი, ძველი წერილობითი ძეგლების თანახმად, ერთიანი, მყარი ეთნიკური ერთეული იყო. ამ ძეგლების მიხედვით მან ისიც გაარკვია, რომ ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინი ძველ ქართულ ენაში იყო „ნათესავი“. საილუსტრაციოდ კი რამდენიმე ციტატას გვთავაზობს: „გიორგი მთაწმინდელი, მაგ. ამბობს: იოანე (მთაწმინდელი) იყო „ნათესავით ქართველი“-ო. „ნათესავი ჩუენი (ე. ი. ქართველნი) წრფელ იყო და უმანკო“-ო. „რად ესრეთ უგუნურად შევირაცხიეს ნათესავი ქართულთა წრფელი და უმანკ“-ო, ეკითხებოდა გიორგი მთაწმინდელი ანტიოქიის პატრიარქს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც უწერია, რომ გვირგვინოსანმა „უწყოდა კითილად ყივჩაღთა ნათესავისა სიმრავლე“-ო<sup>142</sup> (ჯავახიშვილი 1982: 190). მანვე გაარკვია ძველ ქართულ ენაში სიტყვა „ერი“ მნიშვნელობაც: „შემკრებლობითი, საზოგადო ცნების გამომხატველი იყო აგრეთვე სიტყვა „ერი“, რომელსაც ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში ორგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, ხალხსაც ნიშნავდა და ჯარსაც“<sup>143</sup>.

ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან წარმოდგენილ ამონაწერებს შეიძლება მხოლოდ ერთი რამ დავამატოთ. ერთ-ერთ მათგანში „ნათესავი ქართველი“-ს ნაცვლად გვხვდება „ნათესავი ჩუენი“. როგორც ჩანს, საქართველოში ქართველის აღსანიშნავად იშვიათად არ გამოიყენებოდა სიტყვათა შეთანხმება „ნათესავი ჩუენი“. მას შემდეგ, რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქართველობამ ქრისტიანობა დაკარგა და ისლამი მიიღო, ისინი ეთნიკურ ქართველად ვეღარ გაიაზრებდნენ თავს. რეალურად კი კვლავ ქართველებად რჩებოდნენ და შესაბამისად აღნიშნული სიტყვათა შეთანხმების („ნათესავი ჩუენი“) მეორე კომპონენტი გამოიყენეს ახალი თვითსახელწოდების (ენდოეთნონიმის) შესაქმნელად და თავიანთი (რელიგიური

---

<sup>142</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტომი VI, გვ. 190.

<sup>143</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი, ტომი VI, გვ. 192.

ნიშნით ეთნოსის ძირითადი ნაწილისაგან მოწყვეტილებმა) ერთობის აღსანიშნავად თავს „ჩვენებური“ უწოდეს.

ივანე ჯავახიშვილი ეთნოლოგიურ საცნობო დეფინიციებში ტერმინების საკითხსაც შეეხო, კონკრეტულად კი განსაზღვრა რა იგულისხმებოდა „წესსა“ და „ჩვეულებაში“. მანვე დაადგინა „ჩვეულებისა“ და „ქცევის“ მნიშვნელობათა სიახლოვე-იგივეობა. მისი განმარტებით „ჩვეულება“ ადამიანის ისეთ ქცევას ეწოდება, რომელსაც იგი უნებლიეთ მისდევს და რომელსაც იგი ჩვეულია. მაგრამ ამავე დროს მკვლევარი იმასაც დაადგენს, რომ „ჩვეულება“ მართო კერძო, თითოეული ადამიანის ქცევას კი არ ერქვა, არამედ ადამიანთა მთელი ჯგუფის, გვაროვნების, წოდების, დასის ან მთელი ერის ზნესა და ქცევას. ივანე ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ წესი ყველაზე უწინარესად ჩვეულებას ერქვა და გამოხატავდა გარკვეული ყოფა-ცხოვრებისა და ქცევის რიგს დაწერილი იყო იგი თუ დაუწერიელი. ნათქვამის საილუსტრაციოდ მას ძველი სამწერლობო ძეგლებიდან მოჰყავს ცხოვრებაში დამკვიდრებულ ადამიანთა ჯგუფური ქცევისა და მოქმედების ნორმების ისეთი მაგალითები, როგორცაა „წესი ჯდომისა და დგომისა“, „მოკითხვის წესი“ (სტუმარმასპინძლობაში), „გლოვის წესი“ და სხვ.<sup>144</sup>.

საქართველოს ეთნოლოგიის სფეროში როდესაც ივანე ჯავახიშვილის წვლილზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მის სამუზეუმო საქმიანობას. ზემოთ შინამრეწველობის მასალების შეკრებაში მისი ღვაწლის შესახებ საუბრისას, ერთი სიტყვით, ისიც აღინიშნა, რომ თავის მოწაფეებს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად მიემგზავრებოდნენ, ის სამუზეუმო ეთნოგრაფიული კოლექციების მოძიებასა და მუზეუმისათვის შექენასაც ავალებდა. ცნობილია, რომ ბევრი ეთნოგრაფიული კოლექცია (მატერიალური კულტურის ძეგლი) სწორედ ამ

---

<sup>144</sup> ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI, გვ. 34; მ. გვეგშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1982, გვ. 78-79.

დროს შეიკრიბა. გიორგი ჩიტაია აღნიშნავდა: „სამუზეუმო კოლექციების შეგროვებასთან ერთად ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულად ზრუნავდა მათ დაცვაზე. თითოეულ სამუზეუმო საგანს განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით ეპყრობოდა. მისთვის მუზეუმი ისეთი სამეცნიერო ლაბორატორია იყო, რომელიც მოწოდებულია ზუსტი მეცნიერული კვლევის შედეგები გამოფენის მეშვეობით ხალხში, ფართო მასებში გაავრცელოს. მაგრამ აკად. ივ. ჯავახიშვილს მუზეუმთან აკავშირებდა არა მარტო ამგვარი ინტერესები. საქართველოს მუზეუმს ის უდიდეს როლს აკისრებდა ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი ფართოდ სახავდა მუზეუმის ამოცანებს და ამ ამოცანების შესასრულებლად იღწვოდა“<sup>145</sup>. ივანე ჯავახიშვილი იყო რა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე, ხშირად აწყობდა ეთნოგრაფიული მოხსენებების მოსმენას და დაბეჭდილი ნაშრომების განხილვას. 1926 წელს ერთ-ერთ სხდომაზე მოუსმენიათ თედო სახოკიას მოხსენება – „მეგრული ქორწილი“ და განუხილავთ გიორგი ჩიტაიას „გლეხის სახლი ქვაბლიანში“<sup>146</sup>.

დაბოლოს, საზვასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ივანე ჯავახიშვილის ღვაწლის შეფასება საქართველოს ეთნოლოგიის, ქართველთა მატერიალური, სულიერი კულტურისა და სოციალურ ურთიერთობათა კვლევის საქმეში განუზომლად დიდია და მისი სრულყოფილად გამომზეურება ერთ წერილში შეუძლებელია და მონოგრაფიულ შესწავლას ელის. მან „უდიდესი წვლილი შეიტანა ეთნოგრაფიის განვითარებაში, ღრმა კვალი გაავლო ქართული მეცნიერების ყამირს და საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიისა და კულტურის მრავალი პრობლემა გაარკვია“<sup>147</sup>.

---

<sup>145</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტომი II, გვ. 86.

<sup>146</sup>რ. მეტრეველი. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება: ისტორიული ნარკვევი. მასალები, თბ., 1982: გვ.123-126

<sup>147</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტომი II, გვ. 86.



## აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია – ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი

XX საუკუნის ქართულ მეცნიერებაში გამორჩეული ადგილი უკავია აკადემიკოსს *გიორგი ჩიტაიას*. გ. ჩიტაია 1890 წლის ნოემბერში ქალაქ ფოთში დაიბადა, სადაც მისი მშობლები სენაკის მაზრის პატარა სოფელ *ორპირიდან* ყოფილან გადასახლებული. ჩიტაიების ძირითადი სოფელი ორპირის მეზობლად *ნაჩხატაური* იყო. 1873 წლის საარქივო დოკუმენტით, *ნაჩხატაურში* ჩიტაიების 24 კომლი მკვიდრობდა, *გულიკარის* საზოგადოების სოფელ *ტყვირში* კი – 3 კომლი. ჩიტაიები დღევანდელ საქართველოში არც თუ ისე ბევრნი არიან – ვაუჩერების სიამ სულ 218 ჩიტაია დააფიქსირა. სხვათა შორის, ჩიტაიას გვარი პირველად ქართულ საისტორიო საბუთებში 1621 წელსაა მოხსენიებული. აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში *გიორგი ჩიტაია* სოფელ *ხიბულას* მკვიდრთა შორისაა მოხსენიებული<sup>148</sup>.

*გიორგი ჩიტაიამ* თავისი საქმიანობა ფოთის პორტში მტვირთავად მუშაობით დაიწყო. შემდეგ კი საქმიანობა სტამბაში გააგრძელა. ის შრომითი საქმიანობის პარალელურად სწავლობდა. კერძო მასწავლებელთან გიორგი ჩიტაიასთან ერთად უსწავლიათ ასევე ფიზიკურ შრომაში ჩაბმულ *პავლე ინგოროყვას*, *სანდრო ეულს/ქურიძეს*... შეიღწეულის დამთავრების შემდეგ *გიორგი ჩიტაიამ* სწავლა განაგრძო თბილისის მეორე გიმნაზიაში, რამიც განსაკუთრებული ღვაწლი სასწავლო ოლქის მზრუნველის („პოპეჩიტელის“) მოადგილეს *ლოპატინსკის* მიუძღოდა. 1911 წლიდან გიორგი ჩიტაია სწავლას უკვე პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე განაგრძობს. ბევრთი მოსწავლის პეტერბურგში სასწავლებლად წასვლაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის გიმნაზიის ქართული ენის სწავლების ხელმძღვანელს *სერგი გორგაძეს*, რომელმაც გიორგი ჩიტაიას

<sup>148</sup>ქართული სამართლის ძეგლები, ტომ III, გვ. 417.

წერა-კითხვის საზოგადოებში სტიპენდიის დანიშვნის შესახებ უშუალოდ. პეტერბურგის უნივერსიტეტში მაშინ აღმოსავლეთმცოდნეობის კათედრის გამგე *ნიკო მარი* იყო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სწავლას მოწყობილი ახალგაზრდის მიმართ. ამ ყურადღების ერთ-ერთი გამოხატულება იხილეთ იყო, რომ აკადემიკოსმა *ნიკო მარმა*, რომელიც 14 წლის მანძილზე სომხეთის ბოლო დედაქალაქის – *ანისის* გათხრებს ხელმძღვანელობდა, გიორგი ჩიტაია ამ ნაქალაქალარის არქეოლოგიურ გათხრებში ჩართო. შემდეგ მონაწილეობას ღებულობდა *იოსებ ორბელის* ხელმძღვანელობით მოწყობილ შირაკის ექსპედიციაში. ექსპედიცია ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლით იყო დაინტერესებული, მაგრამ გიორგი ჩიტაიას ინტერესს ძირითადად სომეხთა ტრადიციული ყოფის გაცნობა წარმოადგენდა. აქ ის ქართული დარბაზული ტიპის სომხური საცხოვრებელით – „გლახატუნი“ – დაინტერესებულა. დაბრუნებისთანავე გ. ჩიტაიამ თავის ერთ-ერთი პირველი ნაშრომი სწორედ დარბაზულ საცხოვრებელს მიუძღვნა („გლეხის სახლი ქვაბლიანის ხეობაში“), რომელიც ამ სფეროში ეთნოლოგიური კვლევის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ **გიორგი ჩიტაიას პეტერბურგშივე ახლო ურთიერთობა ჰქონდა დიდ ივანე ჯავახიშვილთან**. ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში მოქმედებდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე. ბუნებრივია, წრის საქმიანობას ქართველოლოგიური პრობლემების კვლევა წარმოადგენდა. ამ წრის გამგეობის თავმჯდომარე 1914-1916 წლებში გიორგი ჩიტაია იყო (მის წინ გამგეობის თავმჯდომარე *აკაკი შანიძე* ყოფილა). თვეში ერთხელ ქართველ სტუდენტთა წრის გამგეობა *ივანე ჯავახიშვილის* ბინაზე იკრიბებოდა. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და მოწადინებით გიორგი ჩიტაია სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში, ქალაქ კინისბერგის უნივერსიტეტში გადავიდა. გარკვეული ხნის შემდეგ გიორგი ჩიტაია ისევ პეტერბურგის უნივერსიტეტს დაუბრუნდა.

პეტერბურგში სწავლის პერიოდში ივანე ჯავახიშვილთან ურთიერთობისას გიორგი ჩიტაიას ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის მიმართ გაუჩნდა ინტერესი. ბატონი გიორგის მოვლენების თანახმად, ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებს პატრიოტებად ზრდიდა. გავუსწრებ მოვლენებს და ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ნამდვილი პატრიოტი, სამშობლოზე უაღრესად შეყვარებული ადამიანი გახლდათ. თავისი პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში სტუდენტებსა და ასპირანტებს ამა თუ იმ პრობლემის შესწავლის პარალელურად პატრიოტიზმის გრძნობებსაც უღვივებდა. სხვანაირად მას ვერც წარმოედგინა – ქართული ხალხური კულტურის შემსწავლელი მკვლევარი თავის ხალხის მოყვარული უნდა ყოფილიყო. სტუდენტობისას გიორგი ჩიტაია ჩრდილოეთის ქალაქში მძიმედ დაავადდა. ამის გამო, მას რამდენჯერმე მოუხდა სამშობლოში დაბრუნება. მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრება.

გიორგი ჩიტაია 1917 წელს მშობლიურ ქალაქს – ფოთს დაუბრუნდა, სადაც ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. აქვე მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთი შტრიხის შესახებ უნდა აღვნიშნოთ. ეს ფაქტი კი არსად არაა მის ბიოგრაფიაში აღნიშნული; მიზეზი ადვილად მისახვედრია: ნიკო ნიკოლაძის შემდეგ გიორგი ჩიტაია ქალაქ ფოთის მერი იყო. სხვათა შორის, ბიოგრაფიის ამ შტრიხთან დაკავშირებულია ერთი ფაქტი, რომელიც უმაღური მოსწავლის ქმედებისა და მასწავლებელის გაწირვის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება აღვიქვათ. ეს ფაქტი დღეს მომქმედ მეცნიერთაგან შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მე ვიცი და აქ იმიტომ ვაფიქსირებ, რომ მომავალში ანალოგიური რამ არავინ გაიმეოროს. მის ორ მოწაფეს ისტორიის ინსტიტუტში განყოფილების გამგეობა სურდა, ბატონი გიორგი კი კვლავ მხნედ გამოიყურებოდა... მოწაფეები არქივში „მენშევიკური მთავრობის“ დროს მისი ფოთის მერის თანამდებობაზე ყოფნის დოკუმენტს ეძებდნენ... ბატონმა გიორგიმ ამის შესახებ არაფერი იცოდა, არც შემდეგ გაუგია.

გიორგი ჩიტაიას სამეცნიერო საქმიანობა 1922 წლიდან იწყება, როდესაც ის საქართველოს მუზეუმის ეთნოლოგიის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლად მიიღეს. 1925 წლიდან აქვე გიორგი ჩიტაია უფროს მეცნიერ მუშაკად დააწინაურეს. 1926 წელს იყო მუზეუმის სწავლული მდივანი. ამავე წელს დამტკიცებული იქნა ეთნოლოგიის განყოფილების უფროს სპეციალისტად. 1926 წელსვე დაიწყო თავისი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამავე წელს გ. ჩიტაიამ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემებზე სამი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა. 1929 წელს შეიქმნა არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კათედრა, რომელსაც 1935-1936 წლებში ეწოდებოდა წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრა. 1938 წელს ისტორიის ფაკულტეტთან შეიქმნა, საბჭოთა კავშირში მოსკოვის უნივერსიტეტის შემდეგ, რიგით მეორე, ეთნოგრაფიის კათედრა, რომელსაც გიორგი ჩიტაია ხელმძღვანელობდა. მის სახელთანაა დაკავშირებული სისტემური ეთნოლოგიური კვლევა-ძიების დაწყება, სამეცნიერო კადრების აღზრდა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გიორგი ჩიტაია ეთნოლოგიურ მეცნიერებას ორი მიმართულებით ხელმძღვანელობდა – ესაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია. მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ის 1933 წლიდან მოღვაწეობდა და 1928 წლიდან აქ განაგებდა ეთნოლოგიის სამეცნიერო უჯრედს.

გიორგი ჩიტაიას სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარება, მეცნიერი ეთნოლოგების აღზრდა. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ ეთნოლოგიას, აღზარდა არაერთი მეცნიერი ეთნოლოგი. მისი მოწაფეები იყვნენ არა მხოლოდ ქართველი, არამედ ჩრდილოეთ კავკასიელი ეთნოლოგებიც. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ის ყველა ეთნოგრაფიული სამეცნიერო უჯრედის საფუძველჩამყრელი იყო, რომელთა შორისაა საქართველოს მუზეუმის, ისტორიის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილებები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრა. განუსაზღვრელია მისი ღვაწლი ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული მუზეუმის

შექმნაში. ის იყო ამ უნიკალური მუზეუმის იდეის ავტორი, ფაქტობრივი სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი.

როგორც აღვნიშნეთ, თავისი მომავალი მეცნიერული მიმართულება გ. ჩიტაიამ ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის პერიოდში გადაწყვიტა. 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის დაწყებისთანავე გ. ჩიტაიამ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემებზე მნიშვნელოვანი საპროგრამო ნაშრომები გამოაქვეყნა და დაიწყო მოწაფეების მომზადება ეთნოლოგიურ მეცნიერებაში. მისი კვლევის სფერო საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიის თითქმის ყველა მიმართულებას – სამეურნეო ყოფის, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის საკითხებს მოიცავდა. გ. ჩიტაიამ დააყენა და მეცნიერულად შეისწავლა არაერთი კულტურულ-ისტორიული და ეთნოგენეტიკური პრობლემა. აკადემიკოსის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომები თეორიული ეთნოლოგიის სფეროში, რომელთაგანაც განსაკუთრებული ადგილი უკავია გამოკვლევას ეთნოლოგიური მეცნიერების კვლევის მეთოდების შესახებ. ეს ნაშრომი თავის დროზე რამდენიმე უცხო ენაზეც დაიბეჭდა.

გ. ჩიტაიამ დაასაბუთა, რომ ქართველი ხალხი ოდითგანვე მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის მატარებელი იყო. **ქართული სახვნელი იარაღების შესახებ შექმნილ გამოკვლევას მაღალი შეფასება მისცა ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც ამ სფეროში მის მიერ დაწერილ ნაშრომს „პატარა, მაგრამ საუცხოო მონოგრაფია“ უწოდა.** აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ არა მარტო სამიწათმოქმედო კულტურისა და სახვნელი იარაღების შესახებ, არამედ ეთნოლოგიის თითქმის ყველა სფეროში გიორგი ჩიტაიას ასეთი მშვენიერი და პატარა „საუცხოო მონოგრაფიები“ ჰქონდა შექმნილი. ახალგაზრდობის წლებში ისევ და ისევ ერთ-ორი უღირსი მოწაფისაგან გამიგონია, რომ გიორგი ჩიტაიას მონოგრაფიები, სქელტანიანი წიგნები არ ჰქონდა დაწერილი. დიახ, ის თავის სათქმელს შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომებში აყალიბებდა, რომლებშიც არა ფაქტობრივი მასალის გადმოცემას

ჰქონდა ძირითადი ადგილი დათმობილი, არამედ კვლევის შედეგად მიღებულ განმარტებულ დასკვნებს. გ. ჩიტაიას მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის დამადასტურებელია მისი გარდაცვალების შემდეგ ერთ-ერთი მოსწავლის (*თაძილა ცაგარეიშვილი*) მიერ სხადასხვა გამოცემებში დასტამბული და ხელნაწერი ნაშრომების ერთად თავმოყრა და სქელტანიანი ხუთტომეულის დასტამბვა, რომელშიც, სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, განსვენებული აკადემიკოსის ყველა ნაშრომი ვერც მოხვდა (მაგალითად: «Изменение и обогащение культуры в результате перемещения населения с гор на равнины прошлом и настоящим»). ამ ნაშრომში გ. ჩიტაიამ შემოგვთავაზა უაღრესად საყურადღებო დასკვნა, რომ საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციას ისტორიულად კანონზომიერი ხასიათი ჰქონდა, რაც არა მხოლოდ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიური განვითარებაზე ახდენდა გავლენას, არამედ ეთნიკურ ისტორიაზეც.

გიორგი ჩიტაიას მეცნიერული მემკვიდრეობის სრულიად გამოსააშკარავებლად ერთი სტატია საკმარისია არაა. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა აკადემიკოსის შემდეგდროინდელ და თანამედროვე ეთნოლოგიასთან მიმართებაში უნდა მოხდეს და მაშინ უფრო თვალნათლივ გამოჩნდება ის მეცნიერული დონე, რაც მის შემოქმედებას გააჩნდა და რამდენად ღრმა იყო ის ხნული, რომელიც მან გაავლო და ავლებდა ექვსი ათეული წლის განმავლობაში.

ქვემოთ მხოლოდ გიორგი ჩიტაიას რამდენიმე მეცნიერული შტრიხის შემოთავაზებით დაგვკმაყოფილდები:

**I პრობლემა – ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა.** გიორგი ჩიტაიას ეთნოლოგიის ამ სფეროს არცერთი საკითხი არ დარჩენია შესწავლის გარეშე. მართალია, მკვლევარის ძირითადი წყარო ეთნოგრაფიული მასალები იყო, მაგრამ ეთნიკური კულტურის ამ პრობლემის შესასწავლად ფართოდ მოიხმობდა აგრეთვე საისტორიო, არქეოლოგიურ, ლინგვისტურ და გეოგრაფიულ მონაცემებს. მისი პირველივე ნაშრომები ეხებოდა რა ქართველთა სამიწათმოქმედო ყოფას და

სახვნელ იარაღებს, ამ თემისათვის წერტილი არდროს დაუსვამს და მთელი სიცოცხლის მანძილზე აგრძელებდა მუშაობას; აღნიშნულ თემაზე მუშაობას ურჩევდა თავის მოსწავლეებსაც. მაინც რა ხიბლი ჰქონდა სამიწათმოქმედო ყოფისა და მატერიალური კულტურის შესწავლას? ამ შემთხვევაში მისი ერთ-ერთ გამორჩეულ მოწაფეს, პროფესორ *მიხეილ გეგეშიძეს* უნდა დავესესხო: „გ. ჩიტაიამ დაადგინა, რომ საქართველოს მიწათმოქმედებაში მოცემულია ათეულობით საუკუნეების ტრადიციები და წესები, სათანადოდ შეთანხმებული სამიწათმოქმედო ტექნიკის თანდათანობით განვითარებასთან, რომ მშრომელი გლეხობა ფლობს მყარ ემპირიულ ცოდნას, რომელიც მიწათმოქმედების ხალხური კულტურის განვითარების დონეზე, მის სიძველესა და თვითმყოფალობაზე მიუთითებს. სამიწათმოქმედო ყოფის კონკრეტული ფაქტები მკვლევარს შესწავლილი აქვს თანმხლებ მოვლენებთან ერთად და განიხილავს მათ, როგორც თვითმყოფი ინტეგრირებული კულტურული კომპლექსის ნაწილებს. ამ კომპლექსს შეადგენს მემინდვრების სიძველე, შრომითი ჩვევებისა და საწარმოო გამოცდილების თვითმყოფი თავისებურებანი, ენდემური პურეული, სამეურნეო ცილკი და სხვ. იგივე ითქმის მეურნეობის სხვა დარგების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ტანსაცმლის და სხვა მრავალი საკითხის შესწავლის შედეგების შესახებაც. ეთნიკურ თავისებურებათა მთელი ეს კომპლექსი, ენასთან ერთად, წარმოადგენს გ. ჩიტაიას მართებული შეხედულებით ეთნოგენეტიკური კვლევის ქვაკუთხედს“<sup>149</sup>. გიორგი ჩიტაიამ აღნიშნული პრობლემის შესახებ მიძღვნილი გამოკვლევებით დაადასტურა ქართველი ხალხის ეთნიკური კულტურის თვითმყოფალობა, სიძველე და ადგილობრივობა. ამავე დროს, მეცნიერმა გვიჩვენა, რომ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი კულტურა ენათესავებოდა მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ მიღწევებს.

გიორგი ჩიტაიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აგრეთვე სამცხე-ჯავახეთში ტერასული მიწათმოქმედების საკით-

---

<sup>149</sup>გ. გეგეშიძე. გიორგი ჩიტაია: ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ფუძემდებელი, თბ., გვ. 16

ხებს. ჯავახური ტერასებისადმი მიძღვნილ ნაშრომში მეცნიერმა ხაზი გაუსვა, რომ **ქართველი ხალხი არა მხოლოდ ექსტენსიური, არამედ ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარია**: „...უნდა აღინიშნოს, რომ ტერასული მიწათმოქმედება თავისი მორწყვის სისტემასთან ერთად ინტენსიური მეურნეობაა, წინააღმდეგ წვიმიანი მიწათმოქმედებისა, რომელიც მორწყვას არ საჭიროებს და ექსტენსიურ მეურნეობას განეკუთვნება“<sup>150</sup>. როდესაც გიორგი ჩიტაია იკვლევდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ორიგინალურ ქართულ სამეურნეო ყოფასა და მატერიალურ კულტურას, მას ყურადღების მიღმა არც კავკასიის სხვა ხალხები რჩებოდა. ამავე დროს ის ააშკარავებდა XIX საუკუნის უცხოელ ავტორთა სხვადასხვა და არამეცნიერულ შეხედულებას, რომ, თითქოს კავკასიის ხალხებმა ორიგინალური კულტურა ვერ შექმნეს და კულტურის ყველა ელემენტი სხვათაგან, მაგალითად, ინდოევროპელთაგანაა შეთვისებული. **მეცნიერი ეთნოგრაფიულ პარალელებს მხოლოდ წინა აზიის ცივილიზაციებთან ავლევდა**. ქართველებისა და კავკასიის ხალხების მიწათმოქმედების სიძველეს გიორგი ჩიტაია იდეოლოგიური ხასიათის ეთნოგრაფიული მონაცემებითაც ამყარებდა.

გიორგი ჩიტაიას მეცნიერული კვლევის არეში დასახლების ტიპები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებიც შედიოდა. სრულიად სამართლიანად დარბაზული ტიპის ქართულ საცხოვრებელს სოციალური მომენტიც ხსნიდა და მას დიდი, გაუყრელი ოჯახის საცხოვრებლად მიიჩნევდა. „მონოგრაფიული“ გამოკვლევა უძღვნა ხევსურულ სენეს/სენას. ავტორის სამართლიანი დასკვნით, „ხევსურული სენე/სენა ხევსურილი სახლის ქვემო თვალის ის ნაწილია, რომელსაც საგანგებო დანიშნულება აქვს და რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ხევსურეთის მსხვილფენა მესაქონლეობასთან. სენე თავისი სპეციფიკური ფუნქციით ქართველ მესაქონლე ტომებში რძის მეურნეობის მაღალ დონეზე მიუთითებს და მის სიძველეს ამოწმებს“<sup>151</sup>. შესანიშნავია ეს

<sup>150</sup>გ. ჩიტაია. შრომები, თბ., 1997, ტ. I, გვ. 42

<sup>151</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტ. I, გვ. 207



ნაშრომი იმიტომაც, რომ ის არა მარტო ტერმინ „სენას“ ეტიმოლოგიის კვლევის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს, არამედ იმიტომაც, რომ ავტორი იყენებს ყველა იმ საისტორიო ძეგლს, რომელშიც „სენა“ მოხსენიებული, კერძოდ მხედველობაში გვაქვს XI საუკუნის ძეგლი „ნიკორწმინდის დაწერილი“. ამით ის ხაზს უსვამდა ეთნოლოგიურ გამოკვლევებში საისტორიო წყაროების გამოყენების აუცილებლობას. საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის ალბათ ბევრს არაფერს ნიშნავს ქართული მატერიალური კულტურის ისეთი ელემენტის შესწავლა, როგორცაა ვერტიკალური საცხობი – თორნე, მაგრამ გიორგი ჩიტაიას მიერ მისმა სრულყოფილმა შესწავლამ არა მხოლოდ ქართველთა სამეურნეო ყოფის მაღალი დონე გამოავლინა, არამედ შორეულ წარსულში მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროსთან კონტაქტებიც. ისიც აღინიშნა, რომ ქართული თორნე სამხრეთ კავკასიისა და წინა აზიის ძველი მოსახლეობის კულტურულ საგანძურს ეკუთვნის.

**II პრობლემა – ეთნოგენეტიკური კვლევებია.** მის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „თეორიები ქართველი ხალხის ეთნოგენეზის შესახებ“, რომელშიც კრიტიკულადაა განხილული ყველა ის თეორია და შეხედულება, რაც იმ დროს ქართველი ხალხის წარმომავლობის შესახებ არსებობდა. ამ თეორიების უმეტესობას გ. ჩიტაია დაუსაბუთებელს უწოდებდა. რაც მთავარია, ეთნოგენეზის პრობლემას გიორგი ჩიტაია ქართველი და სხვა კავკასიელი ხალხების ტრადიციული კულტურის საფუძველზე განიხილავდა. ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგენეზის კვლევა მომავლის საქმედ სახავდა, რომელთა გადაწყვეტაში მნიშვნელოვნად მიაჩნდა მომავალში გაღრმავებული ეთნოლოგიური და არქეოლოგიური კვლევა-ძიება.

გიორგი ჩიტაია სპეციალური ნაშრომით გამოეხმაურა აკადემიკოს *სიძონ ჯანაშიას* შეხედულებებს ქართველი ხალხის წარმოშობის შესახებ. ის იზიარებდა ს. ჯანაშიას შეხედულებას ქართველთა მემკვიდრეობითი კავშირის შესახებ წინა აზიის უძველეს მოსახლეობასთან. ერთი მისი მომცრო ნაშრომის სახელ-

წოდებაა „ეთნონიმიკური ხალხური გადმოცემები“. ამ ნაშრომში გ. ჩიტაიამ პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ხევისურული გადმოცემები *კავკაზაურების* შესახებ. ამ მონაცემებით მას შორეული დასკვნები არ შემოუთავაზებია. ისე კი ამკარაა, რომ კავკაზაურებში მოსახლეობის ის ფენა უნდა იგულისხმებოდეს (ტურძუკები), რომლებიც საურმაგ მეფემ დიდოეთიდან ვიდრე სვანეთამდე დაასახლა. ასე რომ, წერილობითი წყაროს მონაცემები ეთნონიმიკური გადმოცემებითაც დასტურდება. დასკვნა: ქართველებს, თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სხვა ეთნიკურ ერთეულთა წარმომადგენლებიც უერთდებოდნენ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მიგრირდებოდნენ.

აქვე შეუძლებელია არ აღვნიშნოთ გიორგი ჩიტაიას სპეციალური სტატია „ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ“, რომელიც *ჰავლე ინგოროყვას* ცნობილი და გახმაურებული ნაშრომის „გიორგი მერჩულეს“ დასტამბვის შემდეგ დაუწერია, თუმცა, სამწუხაროდ, თავის დროზე, ნაშრომი არ დაბეჭდილა და მხოლოდ მოგვიანებით ხუთტომეულის II ტომის გამოსვლის შემდეგ იხილა დღის სინათლე. ისევე როგორც *გიორგი ახვლედიანმა*, გ. ჩიტაიამაც პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული შეხედულებები, აფხაზთა წარმომავლობისა და აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური რაობის შესახებ, მთელი რიგი ეთნოგრაფიული ფაქტების გაანალიზებით, გაიზიარა. რამდენიმე ამონარიდი გ. ჩიტაიას ნაშრომიდან: „ამ ამონაწერის მიხედვით (იგულისხმება ი. გიულდენშტეტლი და აგრეთვე მ. მედიჩი – რ. თ.) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **აბასების მხრივ საქმე გვაქვს მეჯოგე ტომთან, რომელსაც დასახლების ტიპის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მცირე მასშტაბის პარცელარული მიწისმოქმედებაც შეუქმნია**. აქვე შეიძლება მითითებულ იქნეს ერთ წვრილმანზე, რომელიც მეტად დამახასიათებელია მეჯოგე ხალხისათვის. საქმე ეხება ბეჭზე მკითხაობას, რაც აღნიშნული აქვს მ. მედიჩს თავის შრომაში. ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება საკითხი საკუთრივ აფხაზეთის, ძველი აფხაზეთის ეთნიკური ვინაობის შესახებ. ამ კითხვაზე კარგად პასუხობს პ. ინგოროყვას მონოგრაფიის ის ნა-

წილი, რომელშიც საგანგებოდაა განხილული ადგილობრივი ტოპონიმია. დიდი უმეტესობა აქ მოტანილი სახელების ქართული წარმოშობისაა და ამდენად მათი შემრქმევი მოსახლეობა ქართველებია. საგულისხმო და საყურადღებოა, რომ ტოპონიმურ სახელებს შორის ეთნიკური სახელებიც დასტურდება, კერძოდ, ისეთები როგორიცაა „ძველი ლაზიკა“ და „გურჯიპსი“ – აღნიშნავს ქართველების მდინარეს“. მეცნიერმა პავლე ინგოროყვას დებულების გასამაგრებლად მთელი რიგი ახალი მონაცემები მოიმარჯვა, რომელთაგან ბევრი ეთნოგრაფიული ფაქტი იყო. მხედველობაში გვაქვს, პირველ ყოვლისა, გადმოცემები გვართა სადაურობა-წარმომავლობისა და ძირ-სალოცავებთან დამოკიდებულების შესახებ. ის ასკენიდა: „საგულისხმოა, რომ თუ ერთი ფენა მოსახლეობისათვის ძირი ხატი მთაშია, მეორე ფენისათვის ძირი სალოცავი ბარშია, კერძოდ, ილორში. თუ ამ მონაცემებს ჩვენ შეცდომაში არ შევყავართ, შეიძლება ითქვას, რომ აბასების-აფსუების მთიდან ბარში ჩამოსახლების ფაქტს ვერწმუნოთ და მით ნათელი მოგფინოთ ძველი აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას“<sup>152</sup>. გიორგი ჩიტაია აფხაზურ პრობლემას სხვა დროსაც შეეხო. ამ საკითხზე ის გარკვეულ პრინციპულ პოზიციაზე იდგა. საამისოდ *შღვა ინალ-იფას* წიგნზე მისი რეცენზიის დასახელებაც საკმარისია, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ არ დაიბეჭდა. გ. ჩიტაია ამ რეცენზიაში *შაღვა ინალ-იფას* ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელების მიჩქმალვაში სამართლიანად ამხელს.

### III პრობლემა – კულტურულ-ისტორიული პრობლემები.

რამდენადაც ცნობილია, ეთნოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემა კულტურის/ხალხური კულტურის შესწავლაა. ბუნებრივია, გიორგი ჩიტაიამ ცნების – „კულტურა“ დახასიათებასაც ვერ აუარა გვერდი. მისი დასკვნა კი ასეთია: „ამრიგად, ცნება „კულტურა“, ფართო გაგებით ფართოა შედარებით იმასთან, რასაც პოლიტიკური, იურიდიული და სხვა ამგვარი დაწესებულებ-

<sup>152</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტ. II, გვ. 122

ბები მოიცავს. მასში შედის როგორც ექსპერიმენტული, ასევე ემპირიული გზით მოპოვებული კულტურა, რომელიც შეგრძნების საფუძველზე წარმოშობილ მარტივ წარმოდგენებს ემყარება და ემპირიულ ცოდნას შეიცავს. ხალხური კულტურის ეს ელემენტი თავისი ფესვებით შორეულ წარსულს უკავშირდება. საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ემპირიული ცოდნა, შრომითი გამოცდილება და საწარმოო ჩვევები შეადგენენ ხალხის კულტურის ძირითად ფონდს<sup>153</sup>.

**IV პრობლემა – ქართველთა სულიერი კულტურის პრობლემა.** ამ კონტექსტში აქვს განხილული საკითხი თავის ერთ-ერთ ყველაზე ადრინდელ ნაშრომში „სვანური საკურცხალი“, რომელიც, სრულიად სამართლიანად, სვანთა რიტუალური და სოციალური ყოფა-ცხოვრების გარკვეულ ატრიბუტად მიიჩნია. როგორც სხვა არაერთ ნაშრომში, აქაც გიორგი ჩიტაია ზოგიერთ კითხვას პასუხგაუცემელს ტოვებს, რადგან მეცნიერების იმდროინდელი განვითარების დონე სხვა დამატებითი საკითხების გარკვევას თხოულობდა; *პრობლემას სვამდა და მის საბოლოო გადაწყვეტას მომავალ თაობას უტოვებდა.*

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთაგან მეცნიერის განსაკუთრებულ ინტერესს ხშირად ხევესურეთი იქცევდა. ეს გასაგებიცაა, რადგან აქ იყო დაუნჯებული და ჩვენამდე შემონახული ბევრი უძველესი ქართული ეთნოგრაფიული რეალია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გიორგი ჩიტაიას გამოკვლევა ხევესურული ორნამენტის შესახებ, რომელიც *ვერა ბარდაველიძესთან* თანაავტორობით გამოქვეყნდა. ხევესურეთში ორნამენტი წარმოდგენილი იყო ხეზე, ქსოვილსა და ლითონზე. ორნამენტში განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო ვეჯარი, რამაც ზოგიერთ უცხოელ მეცნიერს (მაგალითად, ა. ზისერმანს) აფიქრებინა, რომ საქართველოს ამ მხარის მცხოვრებნი ევროპელი ვეჯაროსნების შთამომავლები არიან. ვ. ბარდაველიძემ და გ. ჩიტაიამ სათანადო მეცნიერული არგუმენტებით გააქარწყლეს აღნიშნული

---

<sup>153</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტ. II, გვ. 137

არამეცნიერული შეხედულება და დააფიქსირეს, რომ „ჯვარი ხევსურეთში უძველესი ხანის ორნამენტია. იგი უფრო ადრინდელია ვიდრე ჯვაროსნების გამოჩენა ისტორიულ სარბიელზე. ჯვარი ხევსურულ კოსტუმზე იზოლირებულად კი არ არის მოცემული, არამედ მისი ანტურაჟი წარმართული სახეებითა წარმოდგენილი.“<sup>154</sup>. ნაშრომში ხევსურული ორნამენტის უძველესი ქართულობა ლინგვისტური თვალსაზრისითაც არის გადაწყვეტილი: „საყურადღებო გარემოებაა ის ფაქტი, რომ ამ ორნამენტის ცალკეული ელემენტებისათვის მეტად მდიდარი და კარგად გამართული ტერმინოლოგიაა დაცული. ეს ითქმის უპირველეს ყოვლისა და უპირატესად ქსოვილისა და ხის ორნამენტების ტერმინების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინების უმრავლესობა ქართული სიტყვის ძირებიდანაა წარმომდგარი, რაც უდავოდ ამჟღავნებს ხევსურული ორნამენტის ელემენტების დიდი უმრავლესობის წარმოშობილობას ქართულ ეთნიკურ წრეში და გამორიცხავს მათს სესხებას უცხო და გარეშე ტომთაგან“<sup>155</sup>.

*კერა ბარდაველიძესთან* ერთად გიორგი ჩიტაიამ ამ სფეროში შექმნა ნაშრომი „სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში.“ ნაშრომში დადგენილია, რომ ლაზურ ორნამენტში მოცემულია უძველესი მოტივები. ეს ორნამენტი კონსტრუქციულ-დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს და ამავე დროს საკულტო მნიშვნელობისა და მითოლოგიური შინაარსი აქვს. გაირკვა, რომ „სიცოცხლის ხის“ მოტივი ქართული ხალხური ხელოვნების უძველესი სიუჟეტია და საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ფართოდ არის გავრცელებული. მის სვანურ და ლაზურ ვარიანტებს ავტორის მტკიცებით ანალოგიები აქვთ ხურიტულ ძეგლებში. ლაზური ორნამენტი ფართოდ იყო წარმოდგენილი მთელ დასავლეთ საქართველოში. ლაზები XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ფართოდ იყვნენ მოდებული არა მხოლოდ დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში, არამედ ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოშიც – ისინი საუკეთესო ხის ხუ-

<sup>154</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტ. II, გვ. 162

<sup>155</sup>გ. ჩიტაია. შრომები, ტ. II, გვ. 165-166

როებად და ხის ნაგებობების საუკეთესო უსტებად იყვნენ მიჩნეული. ეს ეთნოგრაფიული ფაქტი კი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ლაზები საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებში უმაღლეს იყვნენ ჩართული.

**V პრობლემა – საგანმანათლებლო/საუნივერსიტეტო საქმიანობა** – თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გიორგი ჩიტაიამ საუნივერსიტეტო საქმიანობას მიუძღვნა. იყო რა წლების განმავლობაში სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგე, გეგმავდა და კითხულობდა ეთნოლოგიის სხვადასხვა საუნივერსიტეტო კურსს. მისი სალექციო კურსები შეეხებოდა ზოგად ეთნოლოგიას, საქართველოს ეთნოლოგიას, კავკასიის ეთნოლოგიას, წინა აზიის ეთნოლოგიას... გიორგი ჩიტაიამ 1973 წელს ასაკის გამო თავად დატოვა ეთნოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობა, თუმცა უნივერსიტეტთან აქტიური კავშირი არასდროს შეუწყვეტია – აღნიშნული დროიდან ის კათედრის პროფესორ-კონსულტანტი იყო. **ბატონ გიორგის ეთნოლოგიის სტუდენტებისათვის გადაცემისა და სწავლების თავისებური მეთოდი გააჩნდა, ის სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში, იმ დარბაზში, სადაც მუდმივი ეთნოგრაფიული გამოფენა იყო.** აქვე სტუდენტებს საშუალება ეძლეოდათ გაცნობოდნენ მდიდარ სამუზეუმო ფონდებს. თავისებური და გამორჩეული იყო ასპირანტებსა და დამწყებ მეცნიერთან მეცადინეობა. იმ დროს ქართველ მეცნიერთაგან ის ერთადერთი იყო, რომელიც მეცადინეობებს საკუთარ სახლში, ძნელადი ქუჩაზე, ოპერის უკან ოთხშაბათობით, საღამოს 8 საათზე ატარებდა. ამ მეცადინეობებზე გიორგი ჩიტაია იყო მკაცრი, მომთხონი. ასპირანტსა თუ მაძიებელს დავალება აუცილებლად დაკონსპექტებული უნდა ჰქონოდა. ამ მეთოდს მიმართავდა იმიტომ, რომ მომავალ მეცნიერს ქართულ ენაზე სამეცნიერო ნაშრომები კარგი ქართულით ეწერა. ყოველთვის არა, მაგრამ ხანდახან იცოდა კონსპექტში ჩახედვა და თუ ასპირანტსა და მაძიებელს გამართული ქართული ენით არ ჰქონდა კონსპექტი, მაშინ მასწავლებელი

მკაცრი გახლდათ. ამიტომაცაა, რომ ეთნოლოგების მთელი თაობები გიორგი ჩიტაიასაგან დავალებული არიან.

გიორგი ჩიტაია განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა სტუდენტთა პრაქტიკისადმი, ის აქტიურად წყვეტდა სტუდენტების როგორც საველე პრაქტიკაში მონაწილეობის საკითხს, ისე სამუზეუმო პირობებში. ამ სტრიქონების ავტორს კარგად ახსოვს როგორ დაულალავად მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების საქმიანობაში.

გიორგი ჩიტაიას მომზადებული ჰქონდა ზოგადი ეთნოლოგიის სალექციო კურსი – „სვეტები“, რომელსაც არ ბეჭდავდა და მხოლოდ ხელნაბეჭდით სარგებლობდნენ. გარდაცვალების შემდეგ გაირკვა, რომ ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების მამამთავარს საქართველოს ეთნოლოგიის სალექციო კურსიც ჰქონია დაწერილი. ამ სალექციო კურსმა დღის სინათლე მხოლოდ 2001 წელს იხილა, როდესაც უკვე განსვენებული მეცნიერის ხუთტომეულის IV ტომი დაიბეჭდა. როგორც ერთ, ისე მეორე სალექციო კურსის დაუბეჭვდაობა მხოლოდ და მხოლოდ გიორგი ჩიტაიას ძალიან მაღალ პასუხისმგებლობას უნდა მივაწეროთ. ორივე სალექციო კურსი თანამედროვეობის მოთხოვნებს დღესაც პასუხობს, განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას საქართველოს ეთნოლოგიის სალექციო კურსზე.

**VI პრობლემა – საველე-საექსპედიციო საქმიანობა.** მისგან ხშირად გაიგონებდით, რომ კარგად დაგეგმილი საექსპედიციო საქმიანობა, ველზე მასალების ფიქსაცია ეთნოლოგისათვის უკვე ნახევრად გაკეთებულ საქმეს ნიშნავდა. თხოულობდა, რომ ველზე გამსვლელ ეთნოლოგს მზადება მთელი წლით ადრე დაეწყო. აუცილებელი იყო საველე მუშაკს წინასწარ შედგენილი კითხვარით ესარგებლა, მნიშვნელობა არ ჰქონდა მეცნიერი დამწყები იყო, თუ უკვე ღრმა პროფესიონალი. ექსპედიციაში ჩაწერილი მასალა ყოველ საღამოს ხელმძღვანელისა და ექსპედიციის წევრებისათვის უნდა გაეცნო და მასალა მაშინვე გადაეთეთრებინა. ის სათავეში ედგა პირველ და შემდგომ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. ექსპედიციიდან დაბრუნებული წერდა საექსპედიციო ანგა-

რიშებს. მისი ეს საექსპედიციო ანგარიშები მხოლოდ მშრალი ანგარიშები როდია. ამ ანგარიშებში მთელი რიგი მეცნიერული პრობლემებია დასმული და გადაწყვეტილი. ასე რომ, ისინი გიორგი ჩიტაიას მიერ დაწერილი სამეცნიერო გამოკვლევებია. პირველი მისი საექსპედიციო ანგარიში 1924 წლით თარიღდება, რომელსაც „მესხეთის ექსკურსიის დღიური“ ერქვა. საექსპედიციო ანგარიშებს სახელი ასეთი ერქვა, თორემ უმეტეს შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, მათში ერთი ან რამდენიმე ეთნოლოგიური პრობლემა იყო გადაწყვეტილი. და სწორედ შემთხვევითი არ იყო, რომ **1928 წელს გამოქვეყნებულ მის ასეთ ანგარიშს – „ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში“ აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფია უწოდა.** ის ბელნიერი იყო იმ ფაქტით, რომ მისმა პროფესიამ – ეთნოლოგიამ შესაძლებლობა მისცა შემოევლო მთელი საქართველო. საქართველოში ეთნოგრაფიული მოგზაურობის დროს მას შეძენილი ჰყავდა ბევრი მეგობარი. არ ივიწყებდა მოსწალებსაც, ახლო ურთიერთობა ჰქონდა თბილისის მოსწავლეთა სასახლესთან. ორიგინალური იყო გიორგი ჩიტაიას მიერ მომავალი მეცნიერების აღზრდის მეთოდი – საკუთარ სახლში ყოველ ოთხშაბათობით ის იწვევდა ახალგაზრდა მეცნიერებს და გამორჩეულ სტუდენტებს, რომლებსაც მკაცრ მეცნიერულ ქურაში აწრთობდა.

**VII პრობლემა – სამუზეუმო საქმიანობა.** როგორც ითქვა, თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა გიორგი ჩიტაიამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაიწყო. ცნობილია, რომ ცარიზმის დროს სამუზეუმო კოლექციები თბილისის სხვადასხვა მუზეუმში იყო გაფანტული. XX საუკუნის 20-იან წლებში საჭირო შეიქმნა ამ კოლექციების ერთ – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თავმოყრა. სამუზეუმო კოლექციების გაფანტულობა აძნელებდა მათი სამეცნიერო მნიშვნელობის გარკვევას. ერთად თავმოყრა კი სასარგებლო იქნებოდა როგორც მეცნიერული გამოყენების თვალსაზრისით, ისე სამუზეუმო ჩვენების მიზნით. გიორგი ჩიტაიას ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით მოხდა გაფანტული სამუზეუმო ფონდების კონცენტრაცია საქართველოს სახელმწი-



ფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, რომლის გამგე მრავალი წლის განმავლობაში თავად იყო. ფასდაუდებელია გიორგი ჩიტაიას ღვაწლი სამუზეუმო ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული ექსპოზიციის მოწყობის საქმეშიც. მისი ორგანიზებით მოეწყო ხევსურეთისა და სვანეთის რეგიონალური ეთნოგრაფიული გამოფენები, აგრეთვე ქართული კოსტიუმის, კავკასიური ხალიჩების და სხვა გამოფენები. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენაც გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოეწყო. რაც ყველაზე მთავარია, **თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმის იდეის ავტორი და აქტიური განმახორციელებელი გიორგი ჩიტაია იყო.** ამ მუზეუმის ორგანიზაციის რთულ საქმეს მან 20 წელზე მეტი მოანდომა. თანაც, როგორც პროფესორი მიხეილ გეგეშიძე აღნიშნავს, „1964 წლამდე მუზეუმის მოსამზადებელი მეცნიერულ-თეორიული და ორგანიზაციული საქმიანობა ნახევრად კონსპირაციულ პირობებში მიმდინარეობდა, რამდენადაც ასეთი კულტურული სიანხლები ზედმეტ ფუფუნებად განიხილებოდა და სპეციალური დაფინანსებაც აკლდა“. 1965 წლიდან მდგომარეობის შეცვლის შემდეგ კი გიორგი ჩიტაია სპეციალური სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი იყო და ოპერატიულად წყვეტდა საქართველოს ყველა კუთხეში შერჩეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების დემონტაჟის, თბილისში გადმოტანისა და საექსპოზიციოდ ადგილზე აწყობის საკითხებს. დასახლების სპეციფიკისა და კარმიდამოს მოწყობის საკითხებზეც გიორგი ჩიტაიას ავტორიტეტულ სიტყვას ითვალისწინებდნენ — მას ხომ საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე საკუთარი ფეხით ჰქონდა მოვლილი. **დღეს ეს მუზეუმი სწორედ აკადემიკოსს გიორგი ჩიტაიას სახელს ატარებს.** მუზეუმისათვის გიორგი ჩიტაიას სახელის მიკუთვნება მეცნიერის ღირსეული დაფასებაა მისი თანამემამულეების მიერ. ქართველების უმეტესობას თავისი უცხოელი სტუმრები პირველ ყოვლისა ღია ჩის ქვეშ მუზეუმში მიყავს და ისინი ამაყობენ ქართველი ხალხის მრავალფეროვანი

ეთნიკური კულტურით. გიორგი ჩიტაიას მიზანი სწორედაც რომ ეს იყო.

**VIII პრობლემა – საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი.** გიორგი ჩიტაიასათვის განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შექმნას. მისი ოცნება იყო არა მხოლოდ საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასის, არამედ კავკასიის ეთნოგრაფიული ატლასის შექმნაც. მან საამისოდ ძალიან დიდი სამუშაოები ჩაატარა და ატლასის სამუშაოებში ჩართო ქართველ ეთნოლოგთა დიდი ნაწილი. ამ საკითხზე 1960 წელს თბილისში სამეცნიერო სესიაც ჩაატარა. მართალია, ატლასი იმ სახით ვერ მომზადდა, როგორც ბატონი გიორგი ჩიტაია ფიქრობდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა და ეს თვალნათლივ გამოჩნდა, როდესაც საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალების ხუთმა ტომმა იხილა დღის სინათლე.

შეუძლებელია სრულად აღირიცხოს გიორგი ჩიტაიას ღვაწლი ქართული ეთნოლოგიური მეცნიერებისა და ქართული კულტურის შესწავლის საქმეში, მაგრამ ბოლოს აუცილებლად უნდა ითქვას მისი კიდევ ერთ დიდი საქმიანობის შესახებ. ცნობილია, რომ 1930-იან წლებში აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა თავისი მოწაფე-ასპირანტები საქართველოს სხვადასხვა მხარეში დააგზავნა შინამრეწველობის მასალების შესაკრებად. ეს მასალები ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებაში ინახებოდა. გიორგი ჩიტაიამ ამ მასალების მრავალტომეულის გამოცემის საშვილიშვილო საქმეც ითავა და გამოცემის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეც გახლდათ.

აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ხალხს, საიდანაც აშკარად ჩანს, ხანგრძლივი შემოქმედების მანძილზე მისთვის ყველაზე მთავარი, როგორც თვითონ უწოდებდა ქართველი ხალხის მიერ შექმნილი მსოფლიო მიშვნელობის უნიკალური ეროვნული კულტურა იყო.

ერთ რამედ ღირდა ყოველი წლის ბოლოს მეცნიერ თანამშრომელთა მიერ წაკითხული სამეცნიერო მოხსენებების შეფასება. ბატონ გიორგის შეფასების, შენიშვნების შემდეგ ხშირად ეს ნაშრომები უკვე სხვა სახეს იღებდა, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ისინი მნიშვნელოვნად იხვეწებოდა.

თანამედროვე ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლებად ჩვეულებრივ მიიჩნევენ *ფრანც ბოასს*, *ბრონისლავ მალინოვსკის*, *ალფრედ რეჯინალდ რედკლიფ-ბრაუნს* და *მარსელ მოსს*. ამ ოთხეულს სხვანაირად **„დამფუძნებელი მამების“** სახელითაც მოიხსენიებენ. თუ ანალოგიურ ტერმინს გამოვიყენებთ, **საქართველოში ეთნოლოგიური მეცნიერების დამფუძნებელი-მამა გიორგი ჩიჭაია გახლდათ.**

აკადემიკოს გიორგი ჩიჭაიას შემოქმედებაზე, მის პიროვნებაზე დიდხანს შეიძლება საუბარი, მისი მეცნიერული მემკვიდრეობის სრულყოფილი შესწავლაც სამერმისო საქმედ გვეჩვენება.

## ალექსი რობაქიძე – საქართველოში კავკასიის ეთნოლოგიის კვლევის საფუძველჩამყრელი

2017 წლის 22 ნოემბერს ქართული ეთნოგრაფიული მე-ნიერების შესანიშნავ წარმომადგენელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ალექსი რობაქიძეს დაბადებიდან 110 წელი შეუსრულდა (1907-1990). ალექსი რობაქიძე იმ ეთნოლოგთა შორისაა, რომლებიც ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან იდგნენ. 1961 წელს მან ისტორიის ინსტიტუტში, რუსუდან ხარაძესთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილებას.

ალექსი რობაქიძეს მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა რომ არ დაეტოვებინა, ის მაინც დარჩებოდა ქართული ეთნოლოგიის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი განსაკუთრებული და საჭირო მიმართულების შემქმნელი. მან არაერთი კარგი კავკასიოლოგი ეთნოლოგი აღუზარდა ქართველ ხალხს. ეს ეთნოლოგები საქართველოში კამერალურ პირობებში არ აღზრდილან. ისინი ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა ხეობაში საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში არა მარტო იზრდებოდნენ, ხვეწდნენ თავიანთ მეცნიერულ დონეებს, არამედ მეგობრობისა და კავშირების დიდი ხნის წინ აგებულ ხიდებს ბურჯებს უმაგრებდნენ კავკასიის მრავალფეროვან ეთნიკურ სპექტრთან. ამავე დროს, კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიურ კვლევათვით ქართული კულტურის კვლევის საქმეს ემსახურებოდა, რადგან ეთნიკური კულტურის კვლევა შეუძლებელი იყო მეზობელთა მეცნიერული შესწავლის გარეშე. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების დაფუძნებაში ბატონ ალექსი რობაქიძეს გარკვეული წინააღმდეგობები ხვდებოდა. დრომ დაამტკიცა, რომ აღნიშნული განყოფილების შექმნა აუცილებელი იყო, შეიძლება ითქვას ცოტა დაგვიანებულიც კი. ალექსი რობაქიძის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიციები არა მარტო საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში, არამედ და-

დესტანსა და ჩანეთ-ინგუშეთში, ადიღესა და ყაბარდო-ბალყარეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ასე რომ, მეცნიერის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი სფერო ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების პრობლემის კვლევა იყო.

ამ სტრიქონების ავტორი ბატონ ალექსი რობაქიძის მოსწავლე არ ყოფილა, მაგრამ მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არასოდეს დაავიწყდება. ისტორიის ინსტიტუტში ჩვენი მისვლის პერიოდში ეთნოლოგთა შორის მთლად კოლეგიალური ურთიერთობა არ იყო. ზოგჯერ ეს ურთიერთობა ნორმალური ადამიანური ურთიერთობის ჩარჩოებსაც სცილდებოდა, მაგრამ ბატონი ალექსი რობაქიძე ამ თვალსაზრისით ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მისთვის ცუდი ან არასასურველი კოლეგები არ არსებობდნენ და არც არასდროს არავის სამაგიეროს არ უხდიდა, მათ შორის იმათაც, ვისზედაც ამაგი ჰქონდა და შემდეგ გვერდზე გაუდგნენ და სიკეთე დაუვიწყეს.

ზემოთ აღინიშნა ბატონ ალექსი რობაქიძის როგორც ეთნოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი ორგანიზატორის – კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების შემქმნელის ღვაწლის შესახებ. უფრო მეტი: სამეცნიერო ეთნოლოგიური უჯრედი მან ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტშიც შექმნა. მანვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნა სამეცნიერო-საკორდინაციო ცენტრი, რომელიც სოციალურ-კულტურულ ტრადიციებს სწავლობდა. მართალია, ამ ცენტრის შექმნა განპირობებული იყო ე. წ. „მავენ ტრადიციებისა და გადმონაშთების დაძლევის“ მიზნით, მაგრამ, აბა, თვალი გადავავლოთ, „ტრადიციისა და თანამედროვეობის“ რუბრიკით გამოცემულ შედარებით მცირე მოცულობის წიგნებს, რომელთა შორის ძალიან მრავლადაა ქართული ეთნიკური ტრადიციების წარმომჩენი გამოკვლევები.

არ გვინდა გაუთვითცნობიერებელ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ ბატონი ალექსი რობაქიძე მხოლოდ

კავკასიოლოგიაში მოღვაწეობდა – მას მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ქართული ეთნიკური კულტურის პრობლემებზე. ალექსი რობაქიძის ინტერესის სფერო ზოგადი ეთნოლოგიის პრობლემებიც იყო. საამისოდ კი მისი ნაშრომი შეიძლება დავასახელოთ, რომელიც ტერმინ – „ეთნოგრაფიულ ჯგუფს“ ეხება. ალექსი რობაქიძე ეთნოლოგიას მხოლოდ წარსულის შემსწავლელ მეცნიერებად არ მიიჩნევდა და ის აუცილებლად მიიჩნევდა ეთნოლოგიური მეცნიერების თანამედროვეობის ინტერესებში ჩაყენებას. ახალი ყოფის შესწავლის პრობლემებზე მოსკოვში გამომავალ ეთნოლოგიურ ჟურნალში სპეციალური ნაშრომიც აქვს გამოქვეყნებული (1952).

ალექსი რობაქიძე მხოლოდ ეთნოლოგიის ერთ რომელიმე მიმართულებას არ სწავლობდა – მისი ინტერესების არეში ამ მეცნიერების ყველა სფერო შედიოდა. მისი როგორც ეთნოლოგის პირველი ნაშრომები ნადირობის, მეფუტკრეობის ტრადიციების შესაწავლას მიეძღვნა. შეიძლება საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის ეს არაფრის მთქმელი იყოს, მაგრამ ქართველ ხალხს ზომ ყოფის არცერთი სფერო არ დარჩა, თავისი შრომისა და გონების ნამოქმედარი შთამომავლობისათვის რომ არ დაეტოვებინა. ამ პრობლემებს მან მონოგრაფიული გამოკვლევები მიუძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ დასახელებულ ნაშრომებს არა მხოლოდ წმინდა სამეცნიერო ღირებულება აქვს, არამედ პრაქტიკულიც, განსაკუთრებით დღეს, როდესაც ქართული მეფუტკრეობის აღორძინება მიმდინარეობს, რომელმაც ქვეყანას, მატერიალურ მონაპოვართან ერთად, სახელიც შეძლება მოუპოვოს. წარმატებაზე მეოცნებე მეფუტკრემ აუცილებლად ბატონ ალექსი რობაქიძის გამოკვლევითაც უნდა ისარგებლოს. აგრეთვე მეფუტკრეობა არა მარტო თავის იძლეოდა, არამედ მისი ერთ-ერთ პროდუქტი – ცვილი გამოიყენებოდა სანთლის წარმოებაში, ხელოსნობისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგებში. ხაზი აქვს გასმული, რომ მეფუტკრეობა ქართველთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სფერო იყო. მდიდარი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველ-

ზე ავტორს დადგენილი აქვს, რომ ქართველი ხალხის ყოფაში ფუტკრის ნაყოფს მუდამ მკვიდრი ადგილი ეჭირა. მეფუტკრეობის ადგილის შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში მიუთითებს აგრეთვე იმდროინდელი საბუთები, რომელშიც, სხვა გადასახადებთან ერთად, „ფუტკრის ბეგარაცაა“ მითითებული. საქართველოში „მესანთლე გლეხების“ ფენაც კი იყო აღმოცენებული, რომლებსაც ეკლესია-მონასტრებისათვის გარკვეული რაოდენობის ცვილი უნდა ჩაებარებინათ. უფრო მეტიც, ალექსი რობაქიძე ასკვნის, რომ ქართველთა განსახლების არეალი ძველთაგანვე წარმოადგენდა მეფუტკრეობის მძლავრი განვითარების ერთ-ერთ ცენტრს.

მონადირეობის შესწავლით გაირკვა ქართველთა მონადირეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, კოლექტიური ნადირობის ხერხები და საშუალებანი და მეურნეობის ამ დამხმარე დარგთან დაკავშირებული სხვადასხვა კულტურული მონაპოვარი. ალექსი რობაქიძემ ნადირობის შეახებ მონოგრაფია მხოლოდ რაჭის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის შესახებ დაწერა – „შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, I, კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში“. არა მხოლოდ გაუთვითცნობიერებელი მკითხველი, არამედ სპეციალისტიც წიგნის სათაურზე შემდეგს იფიქრებდა: ეს პრობლემა ერთ სტატიაში არ მოთავსდებოდა? ნუთუ ამდენი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოვა ავტორმა რაჭაში? ანდა ასეთ ღონეზე იყო აქ ნადირობა? წიგნის წაკითხვა ყველა ამ კითხვას ხსნის. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ესაა ერთი კონკრეტული ტრადიციის შესანიშნავი და სრულყოფილი შესწავლა. ამავე დროს მონოგრაფიაში ფართოდაა გამოყენებული საქართველოს სხვადასხვა მხარის ეთნოგრაფიული მასალა. ხაზგასმულია, რომ რაჭის ზოოგეოგრაფიული გარემო და მეურნეობის ფართოდ წარმოების შეუძლებლობა ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა მონადირეობის განსავითარებლად. რაჭაში მონადირეობის მდიდარ ტრადიციებს წიგნში მოყვანილი საკმაოდ ვრცელი და დიფე-

რენცირებული ტერმინებიც ადასტურებს; ავტორის მიერ დაფიქსირებული ლექსიკური ერთეულები ამომწურავ სურათს გვაძლევს ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპის, ნადირის ჯიშის, სქესის და ასაკის შესახებ, რომელთა ახსნა მხოლოდ ქართული ენის ნიადაგზე ხერხდება. დაწვრილებითაა შესწავლილი მონადირის ტანსაცმელი, რომელიც საუცხოოდ იყო შეხამებული ნადირობის ბუნებრივ პირობებთან. ალექსი რობაქიძემ გაარკვია, რომ რაჭველებს მახე-ხაფანგების მრავალგვარი სახე გააჩნდათ. ისინი თვითონვე ამზადებდნენ თოფის წამალს; დამოწმებულია მასობრივი ნადირობა — ნადირობა მთელი სოფლით, რომელსაც *ჯელაგობა* ეწოდებოდა. ავტორი ფართოდ იყენებს რა წერილობით ძეგლებს, ასკვნის, რომ ნადირობის კოლექტიური ფორმები საქართველოში გამოყენებული იყო როგორც სამხედრო სწავლებისა და აღზრდის სკოლა. აღსანიშნავია, რომ რაჭის ზოგიერთ სოფელში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ხშირი ყოფილა ოჯახები, რომლებიც *ძველობის* დროს უმთავარესად ნანადირევის ხორციით იკვებებოდნენ. აქ ფრიად **საინტერესოა ლექსიკური ერთეული „ძველობა“, რომელიც ზაფხულის ისეთ დროს აღნიშნავდა, როდესაც ძველი პური მოღეული იყო, ხოლო ახალი ჯერ არ იყო შემოსული.**

ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში ბრძოლაში იყო ჩაბმული. მეზობლისათვის კი ყველაზე კარგი მოსამზადებელი საშუალება სპორტული თამაშები იყო. საამისოდ კი ქართველებმა ხალხური სპორტის არაერთი სახეობა შექმნეს, მათ შორისაა ცხენბურთიც. ალექსი რობაქიძემ ცხენბურთსაც უძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევა და მის საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებაზე მიუთითებდა.

ალექსი რობაქიძეს ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის შესწავლა მხოლოდ მონადირეობისა და მეფუტკრეობის შესწავლით არ შემოუფარგლავს. ის შეეხო მიწათმოქმედებისა და მევენახეობა-მელვინეობის საკითხებსაც. მეცნიერმა სვანთა სამეურნეო ყოფას ცალკე წიგნი მიუძღვნა რუსულ ენაზე.



მნიშვნელოვანია ალექსი რობაქიძის სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების მატერიალურ კულტურას ეხება. ის განსაკუთრებით დასტრიალებდა თავს საქართველოსა და კავკასიის მთიელთა დასახლების ფორმებსა და საცხოვრებელ ნაგებობებს; მოგვცა ქართული მთური საცხოვრებელი და თავდაცვითი ნაგებობების შედარებით-ისტორიული და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ჩამოყალიბებული სქემა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქცენტები სვანეთისადმი ჰქონდა გამახვილებული.

მკვლევარის ინტერესების სფეროში ფართოდ შედიოდა სოციალური ურთიერთობების შესწავლაც. ამ პრობლემასაც ის უმეტეს შემთხვევაში ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიელი მთიელების სოციალური ყოფის საკითხებს ურთიერთმიმართებაში სწავლობდა. საზოგადოებრივ ყოფას განიხილავდა დასახლების ფორმების ჭრილში. ბალყარული დასახლების ფორმების შესწავლისას საყურადღებო პარალელები გამოავლინა სვანურ ყოფასთან. გაარკვია, რომ ზოგიერთ ბალყარულ გვარს ქართული წარმომავლობა ჰქონდა. ამით ხსნიდა არსებულ ეთნოგრაფიულ პარალელს, რომელიც სვანეთსა და ბალყარეთში არსებობდა. სოციალური ურთიერთობების ისეთი საკითხი, როგორცაა გვარის დანაყოფები (პატრონიმია) შეისწავლა მთიულეთში; გამოავლინა ამ სოციალური ერთეულის ადგილობრივი ტერმინი „კომობა“. მიუთითა, რომ მთიულური პატრონიმიული ორგანიზაცია, ისე როგორც ხევსურული ორსაფეხურიანი იყო და, რომ კომობასთან ერთად აქ არსებობდა უფრო ფართო სანათესაო წრე, რომელსაც „ძირობას“ უწოდებდნენ. გაარკვია, რომ პატრონიმიის ნათესაური გაერთიანება დიდი ოჯახის სეგმენტაციის გზით იყო წარმოქმნილი.

ალექსი რობაქიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „კავკასიური მთური ფეოდალიზმის“ შესახებ (ზ. ანჩაბაძესთან ერთად). მართალია, დღეს მთურ ფეოდალიზმს ბევრი მეცნიერი არ იზიარებს, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც, მაგრამ, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ის, რომ საბჭოთა მეცნიე-

რება საზოგადოების განვითარების საკითხების კვლევაში განსაკუთრებულ სქემებსა და ჩარჩოებში ივჯდა. სოციალურ პრობლემებზე მომუშავე მეცნიერთაგან კი მაშინ ამ სქემებს თავს ფაქტობრივად ვერაზინ ვერ აღწევდა.

ალექსი რობაქიძეს ქართველი ხალხის სულიერი კულტურის საკითხები მართალია საგანგებოდ არ უკვლევია, მაგრამ რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს ის მეურნეობის ფორმებისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ეხებოდა. მაგალითად მეფუტკრეობასა და მონადირეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები და რიტუალები შეიძლება გავიხსენოთ.

ზემოთ ვახსენეთ ალექსი რობაქიძის განსაკუთრებული ინტერესი სვანეთის მიმართ. მეცნიერის ყურადღებას ასევე იქცევდა აჭარა. მისი ხელმძღვანელობით იქნა შემუშავებული ბათუმის ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების პრობლემატიკა, განყოფილებას კი თითქმის ოცი წელი ხელმძღვანელობდა. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები აჭარის დასახლების ფორმების, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, სოციალური ურთიერთობების შესახებ. ალექსი რობაქიძემ აჭარის დასახლების ფორმის ორიგინალურობა აღნიშნა და მას „სერი-სპირული“ უწოდა, რადგან საკარმიდამოს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი სერების გასწვრივ არის განლაგებული. ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ აჭარის სოფლისა და უბნის სახელი ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ გვარის სახელს ატარებდა, მაგრამ მონოგენურობა მხოლოდ მათი შექმნის მომენტისათვის იყო დამახასიათებელი, რადგან ის დიდი ხნის დარღვეული იყო ხელოვნური დანათესავებისა და ზესიძეობის ინსტიტუტის შედეგად (ზესიძე ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, აქაც სიმამრის ქონების მიღების გამო, მის გვარს იღებდა). მეცნიერი აჭარაში და აჭარიდან სხვადასხვა გვარების მიგრაციის საკითხსაც შეეხო. გაარკვია, რომ აჭარელთა ნათესაობის სისტემა, მიუხედავად მათ შორის ისლამის გავრცელებისა, ზოგადქართული იყო; აჭარელთა პატრონიმიული

ორგანიზაცია ანალოგიური იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ნათესაური ერთეულებისა. თუმცა აჭარული ოჯახი უფრო განვითარებულ საფეხურს წარმოადგენდა, ვიდრე საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი იმ ფაქტის დაფიქსირება იყო, რომ ოსმალეთის იმპერიაში შესვლის მიუხედავად, აჭარას არ შეუწყვეტია საქართველოს სხვა მხარეებთან შიდა სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, რაც ძველი ქართული ყოფის შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი გახლდათ. ამიტომ მნიშვნელოვანია აღექვსი რობაქიძის დასკვნა: „აჭარაში არ არის კულტურისა და ყოფის არცერთი სფერო, რომელიც არ გვაძლევდეს დამაჯერებელ საბუთს საქართველოს ამ კუთხის აქტიური და უწყვეტი მონაწილეობისა ქართველი ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების პროცესში“.

აღექვსი რობაქიძემ წიგნი მიუძღვნა ქართული ეთნოგრაფიის ისტორიას XIX საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნის 80-იან წლებამდე, რომელშიც სათანადოდ შეაფასა ყველას ღვაწლი მეცნიერების ამ დარგში. ის არის მთელი რიგი მონაკვეთების (მესაქონლეობა, ნადირობა, მეთევზეობა, მეფუტკრეობა, საცხოვრებელი სახლები, ქალაქები და მრეწველობა, სპორტი) ავტორი სსრკ-ის ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამოცემული ფუნდამენტალური წიგნისა «Народы Кавказа», т. II (1962). საბჭოთა ისტორიულ ენციკლოპედიაში ეკუთვნის მონაკვეთი – Грузины. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ოსთა ეთნოგრაფიის პრობლემების კვლევაში, კერძოდ, გურამ გეგეჭკორთან ერთად ის არის მონოგრაფიის ავტორი მთიანი ოსეთის დასახლების ტიპისა და საცხოვრებელი ნაგებობების შესახებ, რომელიც რუსულ ენაზე დაიბაჭდა 1975 წელს „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებულის“ სახით. გამოკვლევაში გამოვლენილია ოსური ნაგებობების მშენებლობის ხალხური წესები, შრომის ორგანიზაციის ფორმები, პატრონომიული უბნის შექმნის წესები და სხვ.

ალექსი რობაქიძემ გარკვეული ამაგი დასდო XIX-XX საუკუნეების მთელი რიგი ავტორების გამოცემის საქმეს, რომლებიც საქართველოში ეთნოლოგიური მეცნიერების სათავეებთან იდგნენ და რომელთა წერილები და სტატიები პერიოდულ ორგანოებში იყო გამოქვეყნებული. ამ მხრივ სანიშნოა ბატონი ალექსის მიერ გამოცემული თავისუფალი სვანის (ბესარიონ ნიჟარაძის) ორტომეული.

ზემოთ აღინიშნა, რომ ალექსი რობაქიძემ ისტორიის ინსტიტუტში ცნობილ ეთნოლოგთან რუსუდან ხარაძესთან ერთად შექმნა კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილება. რუსუდან ხარაძე იყო რა მისი თანამოაზრე, თანაავტორობით რამდენიმე ნაშრომიც აქვთ გამოქვეყნებული. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ მონოგრაფია „სვანეთის სოფელი ძველად“ (1964) და სხვა გამოკვლევები. ამ წიგნში სავსე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე შესწავლილია სვანეთის სამივე მიკროტერიტორიული ერთეულის – ბალსხემო სვანეთის, ბალსქემო სვანეთისა და ქვემო სვანეთის დასახლების სტრუქტურა. ხაზგასმულია, რომ სვანეთის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვაგვარი დასახლების სისტემა არსებობდა. საერთოდ, ფაქტობრივად, სვანეთში არ არსებობდა ერთი გვართ დასახლებული სოფლები; ერთგვაროვანი დასახლებები მხოლოდ პატრონიმიული უბნების სახით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთმა მიიღო პატარა მონოგენური სოფლის სახე. გარკვეულია, რომ სვანური სოფელი ძირითადად სოფლის თემს შეესატყვისებოდა, ხოლო ქვემო სვანეთში კი ტიპური ფეოდალური სოფელი არსებობდა. დასახლებულ წიგნში ზოგიერთი სვანური გვარის შესახებ საინტერესო გადმოცემებიცაა თავმოყრილი, მაგალითად, *ხერგვიანების*, *ჩხვიძიანებისა* და *მარგველიანების* შესახებ. საუბარია თითოეული გვარის დანაყოფების („სამხუბების“) შესახებაც. ამავე მონოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღებაა შეჩერებული სვანეთში საზოგადოებრივი ურთერთობის სხვადასხვა მხარეზე. ამ საკითხზე რუსუდან ხარაძეს და ალექსი რობაქიძეს მნიშვნელო-

ვანი დებულებები აქვთ გამოთქმული. საერთოდ ამ პრობლემაზე მეცნიერებაში აზრთა გარკვეული სხვადასხვაობაა. აქედან გამომდინარე აღნიშნული პრობლემა მომავალში გამოწვლილ-ვით შესწავლას ელის.

ალექსი რობაქიძეს რუსუდან ხარაძესთან ერთად კიდევ ერთი საყურადღებო გამოკვლევა აქვს; ესაა „მთიულეთის სოფელი ძველად“ (1965), რომელშიც გაშუქებულია ძველი მთიულეთის სოფლის სტრუქტურის თავისებურებანი, საცხოვრებელი კომპლექსების დღემდე შემორჩენილი ელემენტები და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები.

ალექსი რობაქიძის ინტერესს სვანეთი თითქმის მუდმივად იქცევდა. 1984 წელს მან რუსულ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი რომლის სახელწოდებაც «Сванети I, Жилище и поселения» (სვანეთი I, საცხოვრებელი ნაგებობა და დასახლების ფორმები), ხოლო 1993 წელს იმავე რუსულ ენაზე «Очерки общественного быта сванов» (სვანთა საზოგადოებრივი ყოფის ნარკვევები). მეორე წიგნის პირველი მონაკვეთი სვანთა ისტორიას, უფრო სწორედ, ეთნიკურ ისტორიას ეხება. წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურასთან ერთად, მკვლევარს ნაშრომში ფართოდ აქვს გამოყენებული ეთნოგრაფიული მასალა. დადასტურებულია რეალური ფაქტი, რომ ისტორიულად ქართველთა ეს ეთნოგრაფიული ჯგუფი უფრო ფართო ტერიტორიაზე იყო განსახლებული. საყურადღებო ფაქტია, რომ სოფელ ჩაჟაშში ერთობ განსხვავებული ტიპის კოშკები არსებობდა, რომელსაც ადგილობრივები „თუშრე ნაშვიგვს“-ს (თუშების ნასოფლარს) უწოდებდნენ. მასთან დაკავშირებულია საინტერესო გადმოცემა, ოდესღაც აქ თუშების ცხოვრების შესახებ, რომლებიც ერთ თემს („გვარს“) შეადგენდნენ. ამ საყურადღებო გადმოცემას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ისტორიულ საქართველოში არა მხოლოდ მთიელთა ბარში მიგრაცია ხდებოდა, არამედ მთის დაშორებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებიდანაც ხდებოდა გადასახლება.

ალექსი რობაქიძემ საქართველოს ეთნოლოგიის დიდი ცოდნა გამოიყენა იმისათვის, რომ მსგავის სამეურნეო ყოფისა და კულტურის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები უფრო დიდ მხარეებად გააერთიანა, რომელსაც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქები უწოდა. მან ასეთი სამი ძირითადი რაიონი ანუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი (არე) გამოყო; ესენია: 1. აღმოსავლეთ საქართველოს ბარი, 1. კოლხეთის დაბლობი, 3. საქართველოს მთიანეთი. ამ დაყოფას საფუძვლად საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სხვადასხვა სამეურნეო-კულტურული ტიპის ნიშნები ედო. უნდა აღვნიშნოთ, რომ, სამწუხაროდ, ეს დაყოფა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს არ ითვალისწინებს.

ალექსი რობაქიძეს მნიშვნელოვნად მიაჩნდა აფხაზეთის ეთნოლოგიის კვლევა, ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული პარალელების გამოვლენა, რის გამოც დაგეგმა და განახორციელა აფხაზი და ქართველი ეთნოლოგების ერთობლივი ექსპედიციები (1983-1988).

1983 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ალექსი რობაქიძის წიგნი „ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარების გზები (1922-1982)“, რომელშიც საუბარია ქართული ეთნოლოგიის მიღწევებზე, გამოვლენილია ის წვლილი, რაც თითოეულმა ეთნოლოგმა შეიტანა მეცნიერების განვითარებაში. წიგნში ცალკეა საუბარი სოხუმში, ბათუმსა და ცხინვალში მოღვაწე ეთნოლოგთა ნაღვაწის შესახებ.

ალექსი რობაქიძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის შექმნაში. მანვე აღზარდა არაერთი ეთნოლოგი, რომლებიც ღირსეული მასწავლებლის დამფასებელი არიან. ბევრმა მათგანმა სათანადოდ დააფასა მასწავლებელი, რომლის შემოქმედებასაც პუბლიკაციები უძღვნეს (ნანული ჯავახაძე, ბახვა გამყრელიძე, ნუგზარ მგელაძე, სალომე ბახია-ოქრუაშვილი, გულდამ ჩიქოვანი, ლია მელიქიშვილი...). აღსანიშნავია აგრეთვე ნოდარ კახიძისა და ვახტანგ შამილადის წერილები. ალექსი რობაქიძის მოწაფე-

ბის მიერ შესანიშნავი მასწავლებლის მიერ შექმნილი სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოწვლილვით შესწავლამ გაგვათავისუფლა იმისაგან, რომ უფრო ფართოდ შევხებოდით იმ ნალვას, რომელიც მან ქართული ეთნოლოგიის სფეროში დაგვიტოვა.

## მიხეილ გეგეშიძე – ქართული ეთნიკური კულტურის მკვლევარი

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მოწაფეთაგან ქართულ ეთნოლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მიხეილ გეგეშიძეს. 2018 წელი მიხეილ გეგეშიძის საიუბილეო წელია – მას 7 ოქტომბერს 100 წელი შესრულდებოდა. მიხეილ გეგეშიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი 1939 წელს დაამთავრა და მაშინვე ჩაირიცხა ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. მაგრამ მეცნიერულ საქმიანობას შედარებით გვიან – 1948 წლიდან შეუდგა, რაშიც მას ხელი მეორე მსოფლიო ომმა შეუშალა. როგორც წარმატებული ოფიცერი ომის დამთავრების შემდეგ სამხედრო ცოდნის ასამაღლებლად მოსკოვში გაუგზავნიათ. მოსკოვში სწავლისას ბედმა მიხეილ გეგეშიძე მასწავლებელს გიორგი ჩიტაიას შეახვედრა. როგორც გიორგი ჩიტაია წერს, მისი სურვილითა და ჩვენი ჩარევით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო შუამდგომლობით მოხერხდა მისი განთავისუფლება სამხედრო ვალდებულებიდან და დაბრუნება ასპირანტურაში<sup>156</sup>. 1948 წლიდან მიხეილ გეგეშიძემ მოღვაწეობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, ხოლო ერთი წლით გვიან, 1949 წლიდან პედაგოგიური საქმიანობას შეუდგა იმ უნივერსიტეტში, რომელის სტუდენტიც გახლდათ ჯერ კიდევ ათი წლის წინ.

1951 წლიდან 1954 წლამდე მიხეილ გეგეშიძე განაგებდა სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას, 1954-1959 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი; 1961-1966 წლებში განაგებდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სა-

---

<sup>156</sup>გ. ჩიტაია. მიხეილ გეგეშიძე. – გ. ჩიტაია. შრომები ხუთ ტომად, ტომი V, თბ., 2001, გვ. 378.



ქართველოს ეთნოლოგიის განყოფილებას. 1966 წელს მოულოდნელად მიხეილ გეგეშიძე გადადგა აღნიშნული თანამდებობიდან (რის მიზეზადაც ჩემთან პირად საუბარში ზოგიერთი მეცნიერის არაკოლეგიალური დამოკიდებულება დაასახელა). ცოტა ხნის შემდეგ კი ინსტიტუტის იმჟამინდელი დირექტორის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილების წინადადებით, ის სათავეში ჩაუდგა კონკრეტულ სოციოლოგიურ კვლევათა განყოფილებას. ცნობილია, რომ იქამდე საბჭოთა კავშირში სოციოლოგია როგორც მეცნიერება აკრძალული იყო. ასე რომ, ბატონი მიხეილი საქართველოში სოციოლოგიის ჩამოყალიბების სათავეებთანაც იდგა. გარდაცვალებამდე (1982 წლის 22 დეკემბერი) მიხეილ გეგეშიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის პროფესორი გახლდათ. აქვე უნდა საზგასმით აღვნიშნო, რომ ბედმა მარგუნა ამ შესანიშნავი ადამიანის, მეცნიერისა და პედაგოგის მოწაფე ვყოფილიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლების დროს. ბატონი მიხეილი სტუდენტებს არა მხოლოდ ეთნოლოგიის პრობლემურ საკითხებს გადასცემდა, არამედ — საქართველოს და მისი კულტურის დიდ სიყვარულსაც.

მიხეილ გეგეშიძე იმ მეცნიერ-ეთნოლოგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლის ინტერესის სფერო ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ტრადიციის, წეს-ჩვეულებების მხოლოდ ერთი რომელიმე სფერო არ იყო. ის თანაბრად ფლობდა საქართველოსა და ზოგადი ეთნოლოგიის ყველა პრობლემას, ისეთ პრობლემებს, რომელთა შესახებაც მას არასდროს კვლევა არ უწარმოებია. ასეთად შეიძლება მაგალითად ქართველი ხალხის სულიერი კულტურა დავასახელოთ. ჩემთვის დღესაც დაუვიწყარია მისი პირველი ლექცია, რომელიც გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის ვერა ბარდაველიძის გარდაცვალებას დაემთხვა. ბატონმა მიხეილმა პირველივე ლექცია ვერა ბარდაველიძის შემოქმედებას მიუძღვნა, რომელსაც თავისი ძირითადი ნაშრო-

მები ქართველი ხალხის მიერ შექმნილი სულიერი კულტურისადმი აქვს მიძღვნილი. პირველივე ლექციაზე მან არა მხოლოდ ვერა ბარდაველიძის გაკეთებული საქმენი გაგვაცნო სტუდენტებს, არამედ დაგვიხატა ის მდიდარი სულიერი კულტურა, რომელიც ჩვენ ხალხს ჰქონდა შექმნილი და ყველაფერ ამას ისე გადმოგვცემდა, რომ მოწიწების გრძნობა და სიყვარული გაგვჩენოდა როგორც განსვენებული მეცნიერის შემოქმედებებსადმი, ისე ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი და ჩვენამდე მოღწეული სულიერი კულტურის მიმართ.

მიხეილ გეგეშიძის ნაშრომები ეხება საქართველოსა და კავკასიის ეთნოლოგიას, აგრეთვე ზოგადად კულტურის ისტორიის კარდინალურ პრობლემებს: სამეურნეო ყოფასა და კულტურას, მატერიალური კულტურას, ეთნიკურ კულტურასა და ტრადიციებს, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს, კონკრეტული სოციოლოგიის პრობლემებს და მთელ რიგ სხვა საკითხებს.

ქვემოთ მხოლოდ მიხეილ გეგეშიძის მეცნიერული მემკვიდრეობის რამდენიმე შტრიხს შევეხებით. პირველი დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა მიხეილ გეგეშიძემ 1956 წელს გამოაქვეყნა – „ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, სახმელეთო საზიდი საშუალებანი“. როგორც სათაურიდან ჩანს, წიგნი მხოლოდ სახმელეთო საზიდ საშუალებებს ეხება. მიხეილ გეგეშიძემ ამ ნაშრომში „დასვა და გადაწყვიტა ხალხური ტრანსპორტის შესწავლასთან დაკავშირებული ფრიად მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული პრობლემები, რომელთაგან საგანგებო ყურადღება დაუთმო ბორბლის – მატერიალური კულტურის ამ დიდმნიშვნელოვანი ელემენტის – წარმოშობის საკითხს. საამისოდ მან შეისწავლა და კრიტიკულად განიხილა პრობლემის გარშემო არსებული ყველა თეორია და სამართლიანად მიუთითა, რომ თვით მატერიალური საწყისის მატარებელ თეორიებში ნაკლებად იყო გამოყენებული ისტორიულ-

ეთნოგრაფიული მასალა<sup>157</sup>. მეცნიერმა ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემებით გაარკვია კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტის – ბორბლის წარმოშობისა და განვითარების დამაჯერებელი სურათი.

ქართული ტრანსპორტის შესახებ არსებული ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების საფუძველზე მიხეილ გეგეშიძემ გაარკვია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე III ათასწლეულის ბოლოდან გამოყენებული იყო როგორც ორბორბლიანი, ისე ოთხბორბლიანი ტრანსპორტი. სრულიად სამართლიანად მკვლევარმა ურმის ანუ ორბორბლიანი საზიდის ეტლთან ანუ ოთხბორბლიან საზიდთან შედარებით ფართოდ განვითარება ბუნებრივ-გეოგრაფიული და ლანდშაფტური ფაქტორებით ახსნა. ეს ქართველმა გლეხმაც კარგად იცოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთ-ერთი მთხრობელის ნათქვამი (შიდა ქართლი, ქსნის ხეობის სოფელი ოძისი): „**ორთვლიანი ურემი ალაგობრივ შეგიძლიან მოატრიალო, ოთხთვლიანს კი დიდი ადგილი უნდა. ჩვენ ვიწრო და გვერდა ადგილებში ის არ გამოდგება. მოსახვევში, თუ სულის საქცევი არ არი, წინა თვლებს კი მოაბრუნებ და ააცდენ რამეს, მაგრამ უკანებს ვერას უშველი, უთუოდ გამოედება**“<sup>158</sup>. ამით ხაზი ესმის იმ ფაქტს, რომ ქართველი ადამიანის ქმედება ყოველთვის ბუნებასთან ურთიერთობით განისაზღვრებოდა. შესაბამისად, სადაც (მთა) და როდესაც (ზამთარი) საჭირო იყო ის უბორბლო, თრევის პრინციპზე აგებულ საზიდ საშუალებას (მარხილს) იყენებდა. დადგინდა, რომ გამოყენების მიხედვით, ქართული ხალხური საზიდის როგორც უბორბლო, ისე ბორბლიანი სახეობები უნივერსალური იყო – ის სატვირთოც იყო და სამგზავროც. შესაბამისად ორბორბლიან საზიდ საშუალებას – ურემს ორი სახეობა გააჩნდა – საბარო და სამძე. ამ უკანასკნელით, როგორც სახელწოდებაც მიუთითებს, ძნა და თივა გადაჰქონდათ.

<sup>157</sup>გ. ჩიტაია. მიხეილ გეგეშიძე. – გ. ჩიტაია. შრომები, ტომი V, გვ. 379.

<sup>158</sup>გ. გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, I, სახმელეთო საზიდის საშუალებანი, თბ., 1956, გვ. 35.

შესაბამისად მას მაღალი ჭავლები გააჩნდა. საძნე ურემს იყენებდნენ აგრეთვე შორეული მგზავრობის დროს, მაგალითად, დღეობებზე წასვლისას, რის დროსაც ურემს ზემოდან ჩარდახს გადააფარებდნენ და იატაკს ხალიჩებითა და მუთაქებით ფარავდნენ.

მიხეილ გეგეშიძემ გაარკვია, რომ ქართველმა ხალხმა შექმნა გარდამავალი ზოლის – მთისწინეთ-ზეგნის – შერეული ტიპის საზიდი საშუალება, რომელშიც ბრუნვითი მოძრაობა შეხამებული იყო თრევა-სრიალთან. თავქვე ადგილებში სამუხრუჭე სისტემა ამოქმედდებოდა ხოლმე. აღმოსავლეთ საქართველოში ის *ბოლოთრიის* სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში – *აჩაჩა ურემის* (*ჩოჩიალა ურემი*, *ფრჩხილებიანი ურემი*...) სახით. ისევე როგორც ხვნის დროს, სახმელეთო საზიდ საშუალებებშიც გამწევ ძალას ხარი და კამეჩი წარმოადგენდა. მიხეილ გეგეშიძემ გაარკვია, რომ ურემი, მართალია, ადგილობრივი დანიშნულების იყო, მაგრამ მას შედარებით ფართო გამოყენებაც ჰქონდა. ურემით იცოდნენ შორ მანძილზე სიარულიც. საამისოდ მიხეილ გეგეშიძეს მონოგრაფიაში ბევრი მაგალითი აქვს მოყვანილი, ერთერთი კი იყო იმერეთიდან აჩაჩა ურემებით რაჭასა და ქართლში ქვევრებისა და ჭურების გადაზიდვა.

მიხეილ გეგეშიძე სახმელეთო საზიდ საშუალებებზე მონოგრაფიის წერისას იყენებდა საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მონაცემებს, შესაბამისად წიგნში წარმოდგენილია მდიდარი ლექსიკა, რომელიც ამ სატრანსპორტო საშუალებასთან იყო დაკავშირებული. ასეთი ლექსიკური ერთეულები კი თანამედროვე ქართული ენიდან კარგა ხანია უკვე გამქრალია. მარტო ორბორბლიანი ურემი 25 ნაწილისაგან შედგებოდა და ყველა მათგანს შესატყვისი სახელწოდება ჰქონდა; აი, ზოგიერთი მათგანი: *ფერსო*, *სოლი*, *ულელი*, *ტაბიკი*, *საქედური*, *აპეური*, *კოფო*, *სარეკე*, *მორგვი*, *დანდალი*, *ღერძი*, *ჭიჭილაქი*, *თათები*, *ჭავლი*, *ზეწარი*, *კონკილა*, *ხელნა*, *ლეკვი*, *ყვერნა*...

მიხილ გეგეშიძეს საქართველოს ყველანაირი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ განმაზოგადებელი ნაშრომიც დაუწერია – „ტრანსპორტის ისტორიისათვის საქართველოში“. მას ილუსტრაციებიც ახლავს. ის ხელისმძანქანაზე ნაბეჭდი 73 გვერდისაგან შედგება და 2018 წელს იხილავს დღის სინთლეს. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის გარდაცვალების შემდეგ კანცელარიის გამგემ მოხოვა, მის მაგიდაში არსებული მასალების დალაგებაში დავხმარებოდი. ეს ნაშრომი სწორედ ბატონ გიორგი მელიქიშვილის მაგიდაში აღმოჩნდა. ნაშრომს ახლავს ქვესათაური: „მასალები საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსათვის“. ის დათარიღებულია 1954 წლით. როგორც ჩანს, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოზე მუშაობისას, ინსტიტუტის სხვადასხვა თანამშრომლებს დაავალეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე შესაბამისი ნაშრომების მომზადება, რათა ავტორთა კოლექტივს ის გამოეყენებინა. ბუნებრივია, დასახელებულ ნაშრომში წყლის სატრანსპორტო საშუალებებზეცაა მსჯელობა.

მეორე დიდი მონოგრაფიული გამოკვლევა მიხილ გეგეშიძემ ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფას მიუძღვნა, კერძოდ სარწყავი მიწათმოქმედებას<sup>159</sup>. მიხილ გეგეშიძემ ამ მონოგრაფიაში მრავალი საკითხი გააშუქა, რომელთაგან აღსანიშნავია ის, რომ: **ა.** სარწყავი საშუალებანი საქართველოს მიწათმოქმედებისათვის დამხმარე ღონისძიება იყო და არა აუცილებელი პირობა, როგორც აღმოსავლეთის ქვეყნებში; **ბ.** სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში გარედან შემოტანილი კი არაა, როგორც აქამდე ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობდა, არამედ აქაა ჩასახული და განვითარებული, ის ნასესხები არ არის; **გ.** სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში ჩასახულია მთისწინა ზოლში, საიდანაც ის გავრცელდა მთასა და დაბლობში; **დ.** რთული სარწყავი სამეურნეო კულტურა ქართვე-

---

<sup>159</sup>მ. გეგეშიძე. სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის ცდა), თბ., 1961.

ლი ხალხის ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაა შექმნილი. ავტორი საფუძვლიანად უარყოფს სარწყავი მიწათმოქმედების ირანიდან შემოტანის შესაძლებლობას, თუმცა ირანის გავლენასაც არ გამოორიცხავს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული და თანამედროვე ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში, სადაც სახელმწიფო იყო დიდი სარწყავი არხების გაყვანის ინიციატორი და განმახორციელებელი. მიხეილ გეგეშიძის ამ დებულებებს აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი ქართული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევად მიიჩნევდა<sup>160</sup>. დასაბუთებულია, რომ მორწყვის მაღალი დონე საქართველოს მიწათმოქმედების ინტენსიურობის დამადასტურებელია, განსაკუთრებით მევენახეობასა და მემინდვრეობაში. მეცნიერის დებულება, რომ კულტურულ მცენარეთა შექმნადამკვიდრების საქმეში წყალს, ხელოვნურ მორწყვას, განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული, სრულიად არგუმენტირებულია და რომ სარწყავმა მიწათმოქმედებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ეკონომიკურ განვითარებაში. მონოგრაფიაში საზი აქვს გასმული და სათანადოდაა დასაბუთებული, რომ მთისწინეთში თუ სარწყავი არხები/რუები სოფლის/თემის ერთობლივი ძალისხმევით კეთდებოდა და ის ერთობლივადაც უვლიდა მას, ბარის/ველის პირობებში სარწყავი არხები სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შედეგად კეთდებოდა. საამისო პირველი ცნობა კი „მოქცევაი ქართლისა“-შია დაცული, როდესაც ქსნიღნ არხის გამოყვანაზეა საუბარი.

პირველად ქართულ მეცნიერებაში მიხეილ გეგეშიძემ მიაქცია იმ ფაქტს ყურადღება, რომ დასავლეთ საქართველს მთაში, კონკრეტულად კი სვანეთში, ირწყვებოდა არა სახნავი მიწები, არამედ სათიბები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას მეორედ მოთიბვის საშუალებას აძლევდა (ანალოგიური ტრადიცია შავშეთ-იმერხევშიც არსებობდა).

---

<sup>160</sup>ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი V, თბ., 1971, გვ. 290.

მიხეილ გეგეშიძის გამოკვლევა მხოლოდ ეთნოგრაფიულ მასალებს როდი ეყრდნობა, ის ემყარება აგრეთვე ისტორიულ, არქეოლოგიურ, ენობრივ, ბუნებისმეტყველებით და სხვა მონაცემებს. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, დაწვრილებით არის დახასიათებული მორწყვის ხალხური ხერხები და წყლის სამეურნეო გამოყენების თავისებურებანი ქართლ-კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, კოლხეთის დაბლობისა და ზემო სვანეთის მაგალითზე. გამოვლენილია მთის სარწყავი მიწათმოქმედების ისტორიული თავისებურებანი და ხეობათა მიხედვით განვითარების სპეციფიკა, ტერასული მორწყვის ხასიათი, ბარის ხალხური საირიგაციო ტექნიკა. აღნიშნული მონოგრაფია იმდენად დიდმნიშვნელოვანია ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისთვის, რომ 1990 წელს მისი სრული თარგმანი რუსულ ენაზედაც გამოქვეყნდა<sup>161</sup>.

მიხეილ გეგეშიძემ დიდი წვლილი შეიტანა ეთნოლოგიის თეორიული პრობლემების შესწავლაში. ამ პრობლემას მისი მონოგრაფიული გამოკვლევა – „ეთნიკური კულტურა და ტრადიციები“ – მიუძღვნა, რომელიც 1978 წელს დაიბეჭდა. წიგნის დიდი მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ ის არა მხოლოდ თეორიულ, არამედ მეთოდურ-პრაქტიკულ საკითხებსაც ეხება, აგრეთვე შესანიშნავი სახელმძღვანელოცაა ეთნოსის, ეთნიკური კულტურის, ტრადიციების რაობის შესახებ. შეუძლებელია ავტორს არ დაევეთანხმოთ, რომ „ეთნიკური კულტურის საერთო მოცულობაში ეთნიკურ ტრადიციებს მთავარი ადგილი უჭირავს“<sup>162</sup>. ავტორი ვერცლად მსჯელობს ტრადიციაზე, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს და რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს, ძალზე ძველი და ახალიც, ახლად წარმოქმნილიც. იქვე მოცემულია „ტრადიციული საზოგადოების“ განმარტებაც: „ტრადიციულ საზოგადოებებს“ უწოდებენ ისეთ ტომებს და ხალხებს, რომელთა

---

<sup>161</sup>Гегешидзе М. Орошаемое земледелие в Грузии (опыт историко-этнографического исследования), Тб., 1990.- 269 с.

<sup>162</sup>მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1978, გვ. 5.

სოციალური ცხოვრება თითქმის მთლიანად ხანგრძლივად მდგრად ტრადიციულ ზნე-ჩვეულებებზე და წესებზეა დაფუძნებული<sup>163</sup>. მაგრამ არსებობდნენ ისეთი ხალხებიც, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები წინსვლას განიცდიდა, მაგრამ ამავე დროს მის ცხოვრებაში ტრადიციული ზნე-ჩვეულებებიც მრავლად იყო შემონახული, რომელთა საუკეთესო ნაწილს მისი მატარებელი ხალხი უფრო ხილდებოდა. საქართველო სწორედ ასეთი დიდი ტრადიციების მქონე ქვეყანა გახლდათ. მაგრამ ქართველი ხალხი არ იყო „ტრადიციული საზოგადოება“ ზემოხსენებული მნიშვნელობით, რადგან მას ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ცივილიზაციური განვითარების რთული გზა აქვს განვლილი. აქედან გამომდინარე მეცნიერი სრულიად საფუძვლიანად მთელი რიგი ქართული ტრადიციების შენარჩუნებასა და ახალი ცხოვრების პირობებში მის ჰარმონიულ თანაარსებობას ასაფუძვლებს.

დასახელებულ ნაშრომში მიხეილ გეგეშიძე ვრცლად მსჯელობს ეთნოსის რაობის შესახებ და სრულიად სამართლიანად მას ეთნოგენეზის საკითხსაც უკავშირებს, აღნიშნავს, რომ ეთნოგენეზის პრობლემის კვლევას არა მხოლოდ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, არამედ მიმდინარე თანამედროვე პროცესების გაგებაშიც გვეხმარება. ამავე დროს, ეთნოსის თეორიულ საკითხებზე მსჯელობა მიხეილ გეგეშიძეს შესაძლებლობას აძლევდა კონკრეტულად ქართულ ეთნოსის შესახებაც მნიშვნელოვანი დასკვნები გაეკეთებინა, რომ ტერმინები „ტომი“, „თესლი“, „ნათესავი“, „ერი“ ეთნოსის შემცველი ქართული ტერმინებია და რომ „ქართულ-ზანურ-სვანური ენების მატარებელი ჯგუფები გენეტიკურად განსხვავებული ეთნიკური ერთობანი კი არ ყოფილან ცალკე ტომობრივ-ეთნიკური წარმოშობის ჯგუფების სახით, არამედ ერთი ეთნოსის ტერიტორიული განფენებანი“<sup>164</sup>.

---

<sup>163</sup>მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 7.

<sup>164</sup>მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 39.



მონოგრაფიაში ცალკე მონაკვეთი ეთმობა ეთნოსისა და ენის ურთიერთიმართების პრობლემას. აქ ავტორი კითხვას სვამს: ერთი ქართველური ენიდან სამი ენა – ქართული, ზანური და სვანური – მივიღეთ, შესაბამისად ერთი ქართველური ეთნიკური ერთობიდან სამი ეთნიკური ერთობა რატომ არ წარმოიქმნა? და პასუხობს: „სინამდვილეში ეს არ მომხდარა და ქართველურ, მეგრულ-ჭანებიც და სვანებიც ყოველთვის იყვნენ და არიან ერთი ქართული ეთნოსის ნაწილები. ამ მოვლენის შეცნობა-შეფასებაში საჭიროა უფრო ფართო კულტურულ-ისტორიული თვალთახედვის გამოყენება, რომელიც ენობრივ ასპაექტსაც მოიცავს, მაგრამ წინა პლანზე წამოსწევს განსაზღვრულ ბუნებრივ არეალში სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის კონკრეტულ და ზოგად თავისებურებებს, რომლის საფუძველზე უნდა აღმოცენებულიყო ადამიანთა გარკვეული ჯგუფის (ჯგუფების) მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურა, ე. ი. ყოფა და კულტურა ფართო მნიშვნელობით. ყოფა და კულტურა კი, როგორც ვიცით, ეთნიკური ერთობის რაობის განმსაზღვრელია“<sup>165</sup>. ვფიქრობთ, რომ მიხეილ გეგეშიძემ ქართული ეთნოსის ერთობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები კარგად შენიშნა და ამ მიზეზების მთელი რიგი საისტორიო და ეთნოლოგიური ფაქტებით შემაგრება ადვილი შესაძლებელია.

განსახილველ წიგნში ბუნებრივი გარემოსა და საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებსაც დიდი ყურადღება მიექცა. ფაქტობრივად ეს საკითხი ქართულ ეთნოლოგიაში პირველად მიხეილ გეგეშიძემ დასვა. დიან, სწორედ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული ეთნოსის განვითარება ბუნებრივი ფაქტორებით იყო განპირობებული.

ვრცლად შეეხო მიხეილ გეგეშიძე ეთნიკური ნომენკლატურისა და კონკრეტულად ქართული ეთნიკური ნომენკლატურის საკითხებსაც, რომ არ შეიძლება ვილაპარაკოთ „ხევსურ

---

<sup>165</sup>მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 58.

ხალხზე“, „ქართლელ ხალხზე“, „იმერელ ხალხზე“, „სვან ხალხზე“, „აჭარელ ხალხზე“, რასაც ცდილობდნენ XIX საუკუნეში ჩვენი ერის არაკეთილმსურველნი. ქართველები ერთ ეთნოსს, ერთ ხალხს წარმოადგენენ და მისი ცალკეული ნაწილების ხალხებად მოხსენიება ქართველი ერის დაშლისაკენ მიმართული ქმედებაა. იქვე გვანხსენებს იმ ფაქტს, რომ ქართული საისტორიო წყაროები ერთიანი ეთნოსის ტერიტორიულ ერთეულებს „თემებს“ უწოდებდნენ. სრულიად იზიარებს ივანე ჯავახიშვილის დებულებას, რომ „ქართველი ერი ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული მოქალაქეობის მქონებული ეროვნება“. ბუნებრივია, მიხეილ გეგეშიძე მეცნიერული არგუმენტებით ასაბუთებდა კიდევ ერთი ეთნიკური ტერმინის „ტომის“ ნეგატიურობას თანამედროვე ხალხების დანაყოფების სახელდებისას, რადგან სამეცნიერო ლიტერატურით ცნობილია, რომ „ტომი“ პირველყოფილი საზოგადოების ეთნოსია. ამის გამო, ის მოითხოვდა ფართო დანიშნულების საცნობარო ლიტერატურაზე კონტროლის გაძლიერებას<sup>166</sup>.

მიხეილ გეგეშიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაზე როდესაც ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი მოზრდილი სამეცნიერო სტატია „აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირთიერთობების შესახებ“, რომელიც მონოგრაფიის ტოლფარდია. ივანე ჯავახიშვილის შემდეგ მიხეილ გეგეშიძე პირველი იყო, რომელიც ამ პრობლემას მთელი სისრულით შეეხო. მასში განხილულია ხალხისა და ბუნების ურთიერთმიმართების პრობლემა და ის მან განუყრელ კავშირში წარომადგინა. მთის, მთისწინეთისა და ბარის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მუდმივი სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართველი ერის მჭიდრო ინტეგრაციის

---

<sup>166</sup>მ. გეგეშიძე. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, გვ. 126.

ერთ-ერთი დიდი საფუძველი იყო, მიხეილ გეგეშიძემ ახალი ეთნოგრაფიული მონაცემებით შეაგსო. ნაშრომში ხაზია აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი საუკუნეების განმავლობაში უაღრესად მჭიდრო იყო და ის XIX საუკუნეში არ ჩამოყალიბებულა. ამის საფუძველზე ქართველთა ეთნიკური კონსოლიდაცია ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე რეალურ ფაქტს წარმოადგენდა და, რომ „ყველა თემს შესაძლო და შესაფერისი წვლილი შეჰქონდა საერთო ქართული („სრულიად საქართველოს“) სამეურნეო კულტურის განვითარებაში“<sup>167</sup>.

ქართულ ეთნოლოგიაში მიხეილ გეგეშიძემ პირველმა მიაქცია ყურადღება ხალხური ეკოლოგიის პრობლემებს, რადგან მიაჩნდა, რომ ამ სფეროში ხალხში დაგროვილი ცოდნა აუცილებლად უნდა გამოყენებულიყო პრაქტიკაში. ამ პრობლემას მეცნიერმა მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა<sup>168</sup>. ნაშრომში, რომელიც ემყარება ისტორიულ, სოციალ-კულტურულ-ეკონომიკურ, საბუნებისმეტყველო და სხვა ხასიათის წერილობით მასალასა და ეთნო-კულტურული ტრადიციების მრავალფეროვან მონაცემებს, დასმული პრობლემები განიხილება საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების ისტორიული განვითარების ფონზე, წინ არის წამოწეული სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის ხანგრძლივ პროცესში ბუნებრივ-საწარმოო ძალებთან აქტიური დამოკიდებულების სპეციფიკა და ამ საფუძველზე ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ცოდნა და ეკოლოგიური კულტურა. აქ მხოლოდ წიგნის მონაკვეთებისა და ზოგიერთი ქვემონაკვეთის სათაურების ჩამოთვლით დაკმაყოფილდებით. პირველი თავი, რომლის სათაურია „ეთნიკური ყოფა და ეკოლოგიური სისტემა“, შედგება შემდეგი პარაგრაფებისა-

---

<sup>167</sup> მ. გეგეშიძე. აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობების შესახებ. – მაცნე, ისტორიის... სერია, №2, 1973, გვ. 55.

<sup>168</sup>მ. გეგეშიძე. ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1981.

გან: ეკოლოგიური კვლევის ზოგადი ამოცანები, ქართველი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფა და ეკოლოგიურ თავისებურებებთან მიმართებაში; გეობოტანიკური კონცეფცია ვახუშტი ბაგრატიონის, აკად. ივ. ჯავახიშვილის და აკად. ნ. კეცხოველის შრომებში; საქართველოს ეკოლოგიური თავისებურებანი მოგზაურთა შთაბეჭდილებებში. მეორე თავი ეხება ხალხური ეკოლოგიის ცოდნასა და მეურნეობრივი კულტურის საკითხებს, მესამე თავი – ეკოლოგიურ ასპექტებს სოფლის დასახლებათა კულტურულ-ისტორიულ ტიპოლოგიაში, მეოთხე თავი – თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებისა და სამეურნეო-საწარმოო ტრადიციების რეგიონალურ პრობლემებს. ამ მნიშვნელოვანი გამოკვლევებიდან მხოლოდ ერთ საკითხზე შევჩერდებით; ესაა სვანური კომუნიკაციის ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შესახებ, რისთვისაც იქამდე მეცნიერებს ყურადღება არ ჰქონდათ მიქცეული. მიხეილ გეგეშიძემ უცილობლად დაადასტურა, რომ სვანური კომუნიკაციის (თანამედროვეთა მიერ სვანეთში 320 კომუნიკაცია დათვლილი) უმთავარესი ფუნქცია ზვავების შეჩერება იყო: „ასეთ დასახლებებს ბუნების სტიქიის უშუალო სამიმ ზოლში ადამიანის მხრიდან სათანადო სიფრთხილე უნდა მოეთხოვა და ამიტომ მიგვაჩნია, რომ კომუნიკაცია სიმრავლე ზემო სვანეთში დიდთოვლიანობის, თოვლის ზვავობის, მეწყერებისა და აგრეთვე ღვარ-ცოფებისაგან თავდაცვის პროფილაქტიკით ნაკარნახევი უძველესი ტრადიციების გამოხატულება და უპირველესი ფუნქცია უნდა იყოს, საბრძოლო ფუნქცია კი მეორადი და ნაწილობრივი“<sup>169</sup>. საამისოდ მეცნიერი სვანური კომუნიკაციის ტექნიკურ-საინჟინრო თვალსაზრისით შესწავლა-შეფასებას მოითხოვდა. მიხეილ გეგეშიძის აღნიშნული არგუმენტირებული მოსაზრებები შემდეგ ცხოვრებამ – 1987 წელს აქ მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ დაადასტურა – ის სახლები გადაურჩა ზვავებს, რომლებსაც კომუნიკაციები იცავდა. ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ სვანური კომუნიკაციის მდგრადობას ზვავების მიმა-

<sup>169</sup>მ. გეგეშიძე. ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, გვ. 91-92.

რომ მისი კვერცხისებური საძირკველი განაპირობებს. ზვავისა და მეწყერის დროს კოშკი მხოლოდ ირყეოდა, მოძრაობდა. 1987 წელს ადგილობრივთა თქმით, ზვავი მიეხეთქა კოშკს და მისმა კუთხემ აისხლიტა, შუაზე გაყო უზარმაზარი მასა. გვინდა აღვნიშნოთ, რომ იგივე ფუნქცია გააჩნდა შიდა ქართლის მთიანეთის ე. წ. *ზურგიან კოშკებს*. მიხეილ გეგეშიძის კვლევას სვანური კოშკების ფუნქციის შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი ბიძგი მისცა ვახუშტი ბაგრატიონის ნათქვამმა ჩრდილოეთკავკასიური ანალოგიური ნაგებობების შესახებ: „*გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახეთ უძვობესად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ აღარა ეკვეთის, გარნა ავიდის რა კაცი კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დვას მტკიცედ*“<sup>170</sup>. ამ საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელი არ გავიხსენო შემდეგი: პირველად სვანური კოშკების ძირითადი ფუნქციის შესახებ (რა თქმა უნდა, ბატონი მიხეილი მის მეორე – თავდაცვით ფუნქციასაც აღნიშნავდა) მან მოხსენება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა. მაშინ, სამწუხაროდ, მის მოხსენებას არ დავსწრებივარ, მაგრამ შინაარსი მაღევე განმარდა და ბევრი მოქილიკეც გაჩნდა, განსაკუთრებით მათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ეთნოლოგიაში გვაროვნულობის თეორიის გავლენის ქვეშ კვლავ რჩებოდა, რადგან მათ მიაჩნდათ, რომ ეს ნაგებობანი გვაროვნული წყობილების დროს წარმოიქმნა, როდესაც ერთი გვარი მეორე გვარს ესხმოდა თავს. ბატონი მიხეილის უკვე გვიან გამოქვეყნებულ ნაშრომში კოშკების შესახებ, დასაბუთებულია, რომ სვანეთში არც გვაროვნული წყობილება ყოფილა და კოშკური კულტურა არც იმდროინდელი ნაგებობას წარმოადგენდა.

---

<sup>170</sup> ვ. ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1073, გვ. 640.

მიხეილ გეგეშიძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს ონ-  
ომასტიკაც წარმოადგენდა, სამაგალითოდ შეიძლება დავასახე-  
ლოთ მისი ნაშრომები ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკის,  
ტოპონიმ „კოჟორის“ შესახებ. არაერთი ნაშრომი აქვს ქართ-  
ველი ხალხის ტრადიციული კულტურის შესახებ რუსულ  
ენაზე დაწერილი, რომელთა შორის აუცილებლად უნდა დავა-  
სახელოთ «Народы Кавказа», т. II. (1962)-ში დაბეჭდილი  
მისი ნარკვევები.

ზემოთ ითქვა, რომ მიხეილ გეგეშიძემ თავისი ცხოვრების  
ბოლო 16 წელი სოციოლოგიას დაუთმო. ერთი შეხედვით შე-  
იძლება ითქვას, რომ ამით ქართული ეთნოლოგია გარკვეუ-  
ლად დაზარალდა. მაგრამ როგორც ეთნოლოგს აქაც არ შეუ-  
წყვეტია თავისი საქმიანობა. კონკრეტულ სოციალურ კვლევა-  
ძიებათა განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობის დროს მან  
პირველმა სცადა დაეკავშირებინა ეთნოლოგია და სოციოლო-  
გია. ამასთან, სავსებით მართებულად აიღო გეზი საქართვე-  
ლოს მთის რეგიონების სოციალური განვითარების პრობლემე-  
ბის კომპლექსური კვლევის მიმართულებით. ფაქტობრივად ეს  
იყო თანამედროვეობის ეთნოგრაფიული შესწავლა. სწორედ ამ  
საქმეს ემსახურებოდა ექსპედიციებში სოციოლოგებთან ერთად  
ეთნოლოგების ჩართვაც. მიხეილ გეგეშიძემ პირველმა ქართ-  
ველ მეცნიერთა შორის გამოიყენა კონკრეტულ-სოციოლოგი-  
ურ კვლევათა მეთოდები საქართველოს მთის რეგიონთა სოცი-  
ალური განვითარების პრობლემათა შესასწავლად.

მიხეილ გეგეშიძე უაღრესად კაცთმოყვარე ადამიანი გახ-  
ლდათ. ის იყო მიმტყვებელი, მაგრამ შეურიგებელი იყო იმ  
ადამიანების მიმართ, ვინც ნებისთ თუ უნებლიედ საქართვე-  
ლოს საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდა. მისი კაცთმოყვარეობა  
კარგად ჩანს გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ ნარკვე-  
ვში, რომელშიც იხსენებს და ახასიათებს იმ პროფესორ-მას-  
წავლებლებს, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ასწავლიდნენ 1935-1939  
წლებში. საყურადღებოა, რომ მისი თხრობა მიყვება ჩათვლის

წიგნაკს. რაოდენი სიყვარული, მოწიწება და პატივისცემა ჩანს იმ ლექტორების მიმართ, რომლებიც მას მეცნიერების საფუძვლებს ასწავლიდნენ, იგივე დამოკიდებულება ჩანს საყვარელი უნივერსიტეტის მიმართ. აი, რას წერს პროფესორების შესახებ: „როდესაც მათს ხელმოწერას დავცქერი ძალაუნებურად ცოცხლდება ჩემს თვალწინ მათი სახეები, გარეგნობა, ხასიათი, ხმა და ინტონაცია, ჟესტიკულაცია და, წარმოდგინეთ, ჩაცმულობაც და მოძრაობის მანერაც კი, ასევე მათი სულ ახლო გამოხედვა და საუბარი საგნის ჩაბარების დროს“<sup>171</sup>. ამავე მოგონებიდან აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასადმი მიძღვნილი მონაკვეთიც უნდა მოვიხმო: „მეოთხე კურსის პირველ სემესტრში მოვისმინეთ ლექციების კურსი კავკასიის ეთნოგრაფიაში, წავკვიკითხა იგი პროფ. გ. ჩიტაიამ. ... ლექციების მსვლელობაში თანდათან სულ უფრო ნათელი ხდებოდა ამ საგნის მასშტაბი და მნიშვნელობა. ... ლექციებს მეტად საინტერესოს ხდიდა ხალხის ცხოვრებიდან აღებული უაღრესად კონკრეტული და თვალსაჩინო მაგალითები, რასც ფართოდ იყენებდა გ. ჩიტაია. ამ საგანში გამოცდამაც საინტერესოდ ჩაიარა. პირადად ჩემთვის კი, როგორც ჩანს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ შემდგომში ჩემი საქმიანობა ამ დარგისათვის დამეკავშირებინა“<sup>172</sup>. აქვე არ შემიძლია არ დავსძინო, რომ ჩემი ეთნოლოგიისადმი სამუდამოდ დაკავშირება კი ბატონმა მიხეილ გეგეშეძემ მოახდინა. მას ყველა ის დადებითი თვისება ახასიათებდა როგორც მის ლექტორებს: დარგისადმი, სამშობლოსადმი, სტუდენტებისადმი დიდი სიყვარული, მხარში ამოდგომა. ვერც იმ პირველ ლექციას დავივიწყებ, რომელიც

---

<sup>171</sup>მ. გეგეშიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე (30-იანი წლების მეორე ნახევარი). – მაცნე, ისტორიის... სერია, №4, 1983, გვ. 159.

<sup>172</sup>მ. გეგეშიძე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, გვ. 169.

მან თავის სტუდენტებთან წამაკითხა და რომლის კრიტიკული მსმენელიც თავად იყო.

ჩვენი სტუდენტობის პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრაზე ინახებოდა მიხეილ გეგეშიძის მიერ შედგენილი (ხელნაწერი), 80 ჩამონათვალისაგან შემდგარი სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომების ჩამონათვალი, რომელიც მომავალში უნდა დამუშავებულიყო საქართველოს ეთნოლოგიაში. ბატონმა მიხეილმა სადიპლომო ნაშრომი (და შემდეგ საკანდიდატო დისერტაციის თემა) – „მთის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები“ – სწორედ ამ ნუსხიდან შემიჩნია (უფრო სწორად, არჩევანი გამაკეთებინა). სამწუხაროდ, ეთნოლოგიის კათედრამ ეს შესანიშნავი ნუსხა ვერ დაიცვა და ის სადღაც გაქრა.



# **Roland Topchishvili**

## **At the Origins of Georgian Ethnology**

### **Introduction**

Ethnology is the science, which studies folk culture. Folk culture is also called peasant culture; the term “ethnic culture” is also used quite frequently. All peoples created their own peculiar, original cultures. This phenomenon of culture along with the development of industrialization started gradually to disappear, its levelling was ongoing at a quick rate, and general elements of culture were being established. Despite this, this essential sign of ethnicity even today is one of the determinants. All peoples try to preserve all the elements of the folk culture created by them. We can remember here the national clothes used by the folk ensembles, also sustainability of the culture of meals.

The Georgian ethnographic realities are preserved in the oldest Georgian literary monument “Martyrdom of Shushanik”, which reached us still from V century. ‘Description of Kingdom of Georgia’ (first half of XVIII century) of Vakhushti Bagrationi differs with richness of ethnological data. Vakhushti was the first, who characterized separate historical-ethnographic parts of Georgia, customs-habits of the population, type, clothes, residential and agricultural buildings, means of carrying and transportation, marriage relations, blood-relations, religion-confession condition, family and genus, forms of agriculture. Vakhushti also concerned the facts of migration of foreign ethnic units to Georgia, for example, Ossetians, pointed to the facts determining this migration. He also focused attention on the issues of feudal families. It is impossible to avoid “Kalmasoba”, written in the end of the same century by Ioanne Bagrationi.

In XIX century study of folk culture was especially stimulated and, it is natural that Georgia was not left out of these events. Educated Georgians started to collect the facts of the Georgian folk culture and their publication. After appearance of Ilia Chavchavadze on the creative arena the present process acquired especially wide character. He was well aware that all the traditions of the Georgian people formed in the past had to be immediately fixed. That was why, a great number

of public figures, who received such a task from Ilia Chavchavadze, most successfully fulfilled it. Ilia Chavchavadze knew very well the Georgian village, peasant culture, had observations on these problems, expressed interesting considerations, which have not lost actuality up to the present day. Main aim of Ilia Chavchavadze was consolidation of the Georgian people. The same can be said about Iacob Gogebashvili. Renowned scholar Ivane Javakhishvili continued the work of these two great public figures. The final formation of ethnology in Georgia, as a science, is connected with Giorgi Chitaya. Before him, a cycle of ethnological works were created by Tedo Sakhokia. But Giorgi Chitaya was the first, who gathered disciples and formed centers of ethnological studies. The present book is only some attempt to observe the public figures standing at the origins of the Georgian ethnology.

### **Ilia Chavchavadze and Ethnology**

In XIX century the Georgian nation faced the problem of to be or not to be. Just at that time Ilia Chavchavadze appeared. It became necessary to fight for revival of the dormant national consciousness. Ilia Chavchavadze headed this fight, but with his pen. Area of activities of the flag-bearer of the national-independence movement was not only literary work. With his publicist letters he served consolidation of the nation. Revealing and study of the traditions, habits and customs of people was of great importance in this respect.

Ilia Chavchavadze's knowledge in the sphere of ethnology was based on the scientific knowledge of that period (Morgan, Taylor, Spencer, Lebok ...). He was well-acquainted with the principles of evolutionism established in the then ethnology and historical-comparative method. It was not by chance that Ilia Chavchavadze was the true member of the natural science, anthropology and ethnology lovers' imperial society at the Moscow University.

Ilia Chavchavadze considered that restoration of a whole number of events unconfirmed in the historical sources should be conducted by means of ethnographic facts, particularly, through those traditions preserved by people, which concerned people's household-economic, social and religious issues ("we should study people's life comprehensively and harmoniously; we should collect all their mental work").

Revival of the national consciousness was of the greatest importance, and that was why he studied deeply the issue of the nation's concept.

With this aim in view he translated and published in “Iveria” the work of French scholar Ernst Renan “What is Nation?” His famous phrase – “Homeland, language, religion” is connected with the concept of nation, and was a paraphrase of the signs of nation, existing in the science of that period – territory, language, culture. The nation, of course, is formed by common territory (homeland), language (state, literary language) and culture (which was formed in Georgia on the Christian ground). But, when the issue was put of return of Muslim Georgians into the Georgian ethnic world, for him religion was no longer main issue.

For advance of the country Ilia considered obligatory to introduce progressive ideas, though he demanded to take into account the traditions established for centuries, to protect these traditions, because the Georgian people formed them by considering the natural-geographical factors.

Ilia also tackled the problem of the Georgian nation’s survival. Research of economic order, land cultivation, land ownership and land use was for him the main thing for settlement of this problem (unity of plow and sword), in which he implied historical-ethnographic aspects. That was why with his support the scholars were sent to different historical-ethnographic parts to register just the mentioned events.

### **Ethnic, Religious and Social Problems in the Works of Jacob Gogebashvili**

In the present-day Georgia Jacob Gogebashvili is famous mostly as teacher and the author of textbooks, especially, of “Deda Ena”. But publicism occupies a wide place in his creative activity, which involves a wide spectrum of ethnology; especially this can be said about ethnic and religious relations, social problems and economic life of the Georgian people. It should be said from the beginning that from the mentioned viewpoint his creative work is not purely scientific – it does not involve empiric ethnographic data, scientific hardware. However, his publications present quite notable conclusions on any ethnographic fact and these discussions and conclusions are not only at the proper level of the then scholars, but respond to the present-day challenges as well.

In 1877 Jacob Gogebashvili published an extensive letter titled “Kartli”. In the Kavtura Gorge in the Kvatakhevi Monastery he attended the “church-public” celebration. His aim was to observe

people, who came by cart to attend the celebration, to expose the Georgian folk songs and folk poetry. Charmed with the dance of a young maiden Iacob Gogebashvili found out that she was an ethnic Armenian: "There was an Armenian family before us, which arrived from the city to pray in the Georgian Orthodox Monastery". The reader knows from the publication that in XIX century Georgia it was usual that Armenians came to the Georgian churches. Even more, Armenians accepted not only the Georgian language, but customs and habits too. In a word, we can say that in Kartli Armenians were integrated with Georgians. For the publicist the mentioned concrete fact was the reason to condemn the activities of the Georgian and Armenian intellectuals, which with their tactless speeches damaged these relations. Iacob Gogebashvili goes even farther and declares Georgians and Armenians to be close related ethnicities. From the viewpoint of modern science this opinion does not correspond to the reality. As it seems, he is under the influence of Leonti Mroveli.

Special place in the creative work of Iacob Gogebashvili was occupied by the issue of the landless Georgian peasants. He intensified this issue after in the Russian literature, society and power the talk started on resettlement of the Russian peasants to Georgia. He worked hard and asserted that the Georgian peasants faced greater troubles in regard to vacant lands and resettlement than the Russian peasants. Iacob Gogebashvili also asserted that "free lands in Batumi province and Abkhazia were our old property and mostly the Georgian tribes settled there. He specially mentioned the hard condition of Imeretians, Megrelians, Racha dwellers and Gurians, because "their very tiny land plots could not give them anything".

Iacob Gogebashvili is most worried with the Abkhazian Muhajirs. He mentioned that "this migration was not temporary, but was permanent: Abkhazia will never see its citizens". Tsarism made a decision to settle Russians and then Armenians in Abkhazia. It is known that one of the cardinal problems of ethnology is relation between the nature and people /society; it was also the problem that the folk culture was formed in relation to the natural-geographic environment, climate and landscape, that migration of groups of people from the adapted landscape faced the problem of adjusting to the climate. The Georgian publicist analyzed this problem at the level of the then scholars. That was why he considered impossible the settlement of the northern Russians and southern Armenians in the

natural-climatic moist conditions of Abkhazia. He stressed that fever, malaria and finally death was inevitable for such migrants (later this prognosis was justified). He gave a substantiated answer to the raised question. Only Megrelians can have no problem in settling in Abkhazia – they can adapt to the climate, as the climate of Abkhazia and Samegrelo is similar, Megrelians also love work, are good at trade; Samegrelo is overpopulated and their settlement in Abkhazia is historically justified, because earlier, not quite in the remote past, the eastern part of Abkhazia was occupied by Megrelians and the border river was not Enguri but Kodori, he said.

It is known that the Russian Empire divided the single Georgian ethnos and declared its ethnographic groups to be different peoples. Jacob Gogebashvili had to fight in this direction as well. Haters of Georgians wrote then that “Georgians are so stupid that they do not make a nation and are only a heap of communities”. In this case he had to use a whole number of parallel facts from ethnic history of different peoples, that if Georgians are not a nation and are only a heap of communities, old Greeks also lived separately and weren't they a nation? For a long time Germans also lived in different states and were divided into two by religion. Were they also a heap of communities? Finally he concluded that Armenians did not have statehood for quite a long time already, they also are composed of numerous territorial-local units and no one attaches to them this fate. “We, which had one or two times more documents to carry the name of a nation, are deprived of this name and are brought down to the wild tribes. What is our blame?”

Jacob Gogebashvili did not leave beyond his attention the problem of Muslim Georgians either. He responded to the article published in one of the numbers of “Novoe Obozrenie” in 1895, in which “Kobuleti Muslims were mentioned as “Caucasian Turks”: “Local Turks are not at all like Crimean Tatars; these people are polite and moral”. Jacob Gogebashvili pointed to people, who did not know historical facts or who distorted these facts deliberately that “the correspondents mix up religion and nationality and the former Georgians of Turkey they call Turks, with whom they, except religion, have nothing in common”. He mentioned concretely that “Kobuleti citizens are Gurians from all the aspects and differ from them only by Muslim religion, which was forced upon them in the period of Turkey rule.

Iacob Gogebashvili sees certain difference not only in the traditions and customs and habits of the Georgian ethnographic groups (which, by his just observation was caused by the natural-geographical variety), but also in the physical diversity of Georgians: "Each Georgian community is a peculiar part in different variety". He explains this fact also by natural factors and by the fact that within centuries different groups of Georgians were mixed with different ethnic units. In this case also, he cites different examples of other peoples (Greeks, Italians).

Iacob Gogebashvili tackled the issue of language as well, namely, the issue of Megrelian and Svan speech/language. One of his publication is named "Evil Wish about Samegrelo". The letter is against those "weak-minded", which "dared to say that the native language should be removed from Samegrelo and Svaneti schools , because here people use local dialects". He reminds haters of Georgians that "starting from IV century up to the present day in all our schools, from the Black Sea till Daghestan border, were used only books written in the common literary language". In this case Iacob Gogebashvili cites the example of Armenian zocks: "these people except main Armenian have provincial languages, for example Zock, which differ so much from the native language that in many places children face problem to understand the latter. Despite this, in all Armenian schools the textbooks were used and are used, which are compiled in the literary native language".

The following conclusion can be made that Iacob Gogebashvili in his letters sets important problems on traditions, habits and customs, ethnic-religious and social relations of the Georgian people, which deserves attention of ethnographers and other humanitarians.

### **Ivane Javakhishvili and Ethnology of Georgia**

Ivane Javakhishvili, founder of the Georgian University, along with the historical science, gave rise to other humanitarian sciences. He largely contributed to the Georgian ethnology as well. He was well aware that ethnology is an independent science, but without using this branch of science it was impossible to comprehend a whole number of facts in the history of Georgia. Thus, Ivane Javakhishvili also is the founder of historical ethnology of Georgia.

Ivane Javakhishvili studied the following directions of ethnology: methodology of obtaining ethnographic material, genesis of the Georgian people, material culture and agricultural life, social relations.

Studying the problems of historical ethnology, Ivane Javakhishvili along with the written monuments widely used ethnographic data. In 1935 to gather the materials on home industry he elaborated the rules for gathering the ethnographic materials, which even today is the perfect methodological program. Not a single ethnologist could avoid the conclusions and work of this renowned scholar in the sphere of ethnology, with which in frequent cases ethnologists had to prove with new ethnographic data the considerations expressed by the scholar .

To Ivane Javakhishvili belongs the conception on economic-cultural relations of historical-ethnographic regions of Georgia, which in fact conditioned state unity and ethnic consolidation of Georgia.

Evaluation of Ivane Javakhishvili's scientific work in the research of ethnology of Georgia, material, spiritual culture and social relations is immeasurably large and its perfect revelation is a case of the future. He "put crucial contribution to development of ethnography, left a deep trace in uncultivated branches of the Georgian science and clarified numerous problems of history and culture of Georgia and the neighboring countries" (G. Chitaya).

### **Academician Giorgi Chitaya – founder of the Georgian scientific ethnology.**

Giorgi Chitaya occupies an outstanding place in the Georgian science of XX century. He was born in November 1890. G. Chitaya laid the basis for the Georgian scientific ethnology and brought up many scholar-ethnologists. His disciples were not only Georgian, but also North Caucasian ethnologists. From the 20s of XX century he was at the origin of all ethnographic scientific centers, among which are ethnological departments of the Museum of Georgia, the Institute of History and Department of Ethnology of Tbilisi State University. He has largely contributed to formation of open-air ethnographical museum. G. Chitaya chose his future scientific direction still when he studied in Petersburg. In 1926 he started his work at Tbilisi State University and the same year published important program works on the ethnological problems and started to prepare students in the ethnological science. The area of his studies involved almost all the spheres of ethnology of Georgia and Caucasus – agriculture, material culture, the issues of social relations and spiritual culture. G. Chitaya raised and scientifically studied many cultural-historical and ethnogenetic problems. He also published works in the sphere of theoretical ethnology, among which a special place is occupied by the study on

the methods of ethnological science. This work, in its time, was translated into several languages and published.

G. Chitaya substantiated that the Georgian people were carriers of high farming culture from olden times. The work on Georgian ploughing tools was highly evaluated by Ivane Javakhishvili, who said it was “small, but excellent monograph”. He was at the origins of first and further ethnological expeditions, has travelled all over Georgia and never forgot his students, had close relations with the Tbilisi Palace of Pupils. The method of bringing up the future scholars used by G. Chitaya was original – each Wednesday he invited young scholars and talented students to his home and worked hard with them.

Academician Giorgi Chitaya left important scientific heritage to the Georgian people, in which is clearly seen that over his long scientific carrier the most important for him was the national culture created by the Georgian people.

### **Alexi Robakidze – he has laid the basis for study of ethnology of Caucasus in Georgia.**

On 22 November 2017 was marked 110<sup>th</sup> (1907-1990) anniversary from birth of Alexi Robakidze, a remarkable representative of the Georgian ethnographical science, member-correspondent of the Academy of Science of Georgia. Alexi Robakidze is among those ethnologists, who stood at the origins of the Georgian ethnology. In 1961 in the Institute of History he, together with Rusudan Kharadze, prepared the ground for the Department of Ethnology of Caucasus, brought up many good ethnologists in Caucasuan studies. Ethnological study of the Caucasian peoples served the research of the Georgian culture as well, because study of the ethnic culture was impossible without scientific study of the neighbors.

Alexi Robakidze has important works on research of the problems of the Georgian ethnic culture. The sphere of his interest was also the problems of general ethnology. In his opinion ethnology was not science studying the past only and considered it necessary to put the ethnological science into the area of interests of modernity. The area of his interests involved all the spheres of this science. His first works as of an ethnologist were dedicated to study of the traditions of hunting, beekeeping, folk sport games.

Scientific researches of Alexi Robakidze were of special importance, which concerned material culture of the Georgian and North Caucasian peoples. The forms of settlements and residential buildins



of the highlanders of Georgia and Caucasus were also of his special interest. The scholar was widely interested to study the social relations as well and has special interest in the highlands of West Georgia – Svaneti. Most time of his creative work he dedicated to study of Georgian Muslims – Adjarians. He clarified that despite joining the Ottoman Empire Adjara has not suspended inner agricultural-economic relations with other parts of Georgia, which was one of the basic factors of preserving the old Georgian everyday life. Alexi Robakidze considered important to study the Abkhazian ethnology, to reveal the Georgian-Abkhazian ethnographic parallels, due to which he planned and conducted joint expeditions of Abkhazian and Georgian ethnologists (1983-1988).

Alexi Robakidze dedicated the book to the history of Georgian ethnography from XIX to the 80s of XX century, in which he properly evaluated the contributions of all scholars in this sphere.

Alexi Robakidze used his rich knowledge of the ethnology of Georgia to unite historical-ethnographic parts of similar economic life and culture into larger parts and called them historical-ethnographic regions. He separated three such main regions, i.e. historical-ethnographical areas. They are: 1. Lowland of East Georgia; 2. Lowland of Colchis; and 3. Highland of Georgia.

Alexi Robakidze took an active part in compilation of Georgia's historical-ethnographic atlas.

### **Mikheil Gegeshidze – scholar of the Georgian ethnic culture.**

Mikheil Gegeshidze occupies a special place in the Georgian ethnology. In 2018 he could have been 100 years old. From 1948 he started work in the Institute of History of the Academy of Science of Georgia, and from 1949 he began his teaching activity at Tbilisi State University. From 1951 till 1954 M. Gegeshidze headed the Department of Ethnography at Simon Janashia State Museum; in 1954-1959 he was scientific secretary of the Department of Social Sciences at the Academy of Science of Georgia; in 1961-1966 headed the Department of Georgian ethnology at the Institute of History, Archaeology and Ethnology; from 1966 he was head of the Department of Concrete Sociological Studies.

M. Gegeshidze belonged to those scholar-ethnologists, whose area of interests was not only one sphere of tradition, customs-habits created by the Georgian people. He equally mastered all the problem of Georgian and general ethnology: agriculture, material culture, ethnic

culture and traditions, cultural-historical problems of ecology, problems of concrete sociology and a whole number of other issues. The first large monograph of M. Gegeshidze was published in 1956 – “Georgian Folk Transport, land carrying means”. While writing his monograph on land carrying means, M. Gegeshidze used the ethnographic data collected almost in all historical-ethnographic parts of Georgia, respectively, the book presents rich vocabulary connected with these transport means.

Another large monograph of M. Gegeshidze was dedicated to the agriculture of the Georgian people, namely, irrigation farming. In this monograph he highlighted many issues, from which should be mentioned the conclusion that irrigation farming in Georgia was not brought from outside, but was formed and developed here, and it is not borrowed; irrigation farming formed in Georgia in the foothill zone, from which it spread in the mountains and lowland.

M. Gegeshidze has largely contributed to research of theoretical problems of ethnology. He dedicated to this problem his monograph – “Ethnic Culture and Traditions”. Great importance of the book is that it is not dedicated only to theoretical, but also methodical-practical issues, and is a good textbook on the essence of ethnos, ethnic culture, and traditions. When we talk about M. Gegeshidze’s scientific heritage, we should by all means remember his extended scientific article “Acad. Iv. Jvakhishvili on inner agricultural-cultural relations”, which was equal to a monograph. In it he discussed the problem of people and nature relations, which he expressed as an integral union. In the Georgian ethnology M. Gegeshidze was the first to concentrate attention of the problems of folk ecology, because he considered that the knowledge accumulated in this sphere should be used by all means in practice. M. Gegeshidze proved that main function of Svanetian towers (by today there are calculated 320 towers in Svaneti), along with defence function, was to stop landslides. During landslides and avalanches a tower only swayed and moved.

M. Gegeshidze’s sphere of interests involved also onomastics. Some of his works on traditional culture of the Georgian people are written in Russian.

When he worked as head of the Department for Concrete Social Research, M. Gegeshidze tried to connect ethnology and sociology. And he was quite right when he directed his research to a complex study of social development of mountainous regions of Georgia.

# სარჩევი

შესავალი.....	6
ილია ჭავჭავაძე და ეთნოლოგია.....	8
ეთნიკური, რელიგიური და სოციალური პრობლემები იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში.....	29
ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოლოგია.....	57
აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია: ქართული მეცნიერული ეთნოლოგიის ფუძემდებელი.....	88
ალექსი რობაქიძე – საქართველოში კავკასიის ეთნოლოგიის კვლევის საფუძველჩამყრელი.....	107
მიხეილ გვეგშიძე – ქართული ეთნიკური კულტურის მკვლევარი.....	110
რეზიუმე ინგლისურ ენაზე At the Origins of Georgian Ethnology.....	136



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)

# თსუ 100

1918-2018

საქართველოს მეცნიერებათა  
აქადემიის წევრი



როლანდ თოფჩიშვილი  
ქართული ეთნოლოგიის  
სათავეებთან